# საქართველოს რესპუბლიკა

სამშაბათი, 8 თებერვალი, 2005 წელი. №30 (5063) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, * ფასი 50 თეთრი





◎ გამოთხოვება

# „თუ გვინდა, ვისწავლოთ გამარჯვება, უნდა ვიცოდეთ ტრაგედიის ჟამს გაერთიანება“

## სრულიად საქართველო იყო მისი ჭირისუფალი

**კვირას**, 6 თებერვალს სრულიად საქართველოს მოქალაქეებმა უკანასკნელ გზაზე გააცილეს ქვეყნის ღირსეული შვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია.

ალალი, გულწრფელი ცრემლით დაიტირეს ტრაგიკულად გარდაცვლილი ზურაბ ჟვანია ერმა და ბერმა, ჩინიანმა თუ უჩინომ, მეგობრებმა და თანამოაზრეებმა, 34 ქვეყნიდან ჩამოსულმა დელეგაციის წევრებმა.

... დილიდან უწყვეტ ნაკადად მიდიოდნენ თბილისელები, საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი, თბილისში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, დაკრძალვაზე ჩამოსული დელეგაციის წევრები წმინდა სამების საკათედრო ტაძრისკენ, სადაც დასვენებული იყო ზურაბ ჟვანიას ცხედარი, რათა პატივი მიეგოთ გამორჩეული პოლიტიკური მოღვაწის ხსოვნისთვის.

ტაძრიდან ზურაბ ჟვანიას ცხედრის გამოსვენებამდე გამოსათხოვარი სიტყვები წარმოთქვეს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ, საქართველოში ევროკავშირის ყოფილმა ელჩმა დენის ქორბოიმ. წაიკითხეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშისა და ლეგენდარული ვაცლავ ჰაველის სამძიმრის წერილები, რომლებიც მათ ამ დღეებში გამოუგზავნეს საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს.

ზურაბ ჟვანია დაკრძალეს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთი ლიდერის ხსოვნის პატივსაცემად ჰოლანდიის მთავრობის მიერ გამოგზავნილმა ათასმა წითელმა ვარდმა დაფარა ახლად გაჭრილი საფლავი.



## იგი მუდამ პირველი იყო, პირველი — აზროვნებაში, პირველი — სიკეთის ქმნაში

### სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II სიტყვა

**ყოველი** ადამიანის მოვალეობაა, აირჩიოს ის გზა, რომელიც მიდის სასუფეველში, რომელიც მიიყვანს მას სასუფეველში. უფალი ჩვენი იესო ქრისტე ბრძანებს: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“. ბედნიერია ის ადამიანი, რომელიც გაიგებს, სად არის გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე.

აღმოსავლური სიბრძნე ამბობს: „სიხარულო, შენ საწყისი ხარ მწუხარებისა. მწუხარებავ, შენ საწყისი ხარ სიხარულისა“. მრავალ დღეს დასდგომია ასეთი ჟამი საქართველოს, როცა მწუხარებაში ყოფილა, მაგრამ მწუხარება სიხარულით შეცვლილა.

დღეს ჩვენ უნდა მივაბაროთ მშობლიურ მიწას ჩვენი საყვარელი ადამიანი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბატონი ზურაბ ჟვანია. ბატონი ზურაბ ჟვანია იყო ის ადამიანი, რომელიც გამოირჩეოდა თავისი დიდი ინტელექტით, დიდი კულტურით, მაგრამ, ამავე დროს, დიდი რწმენით. იგი მუდამ პირველი იყო, პირველი — აზროვნებაში, პირველი — სიკეთეში, სიკეთის კეთებაში. და, აი, დღესაც ბატონი ზურაბ ჟვანია არის პირველი ამ ახლად აშენებულ ტაძარში, იგი პირველი დაესვენა აქ, ამ წმიდა ტაძარში. ალბათ ეს არის ნიშანი ღვთისა, რომ იგი ახლოსაა უფალთან. ჩვენ ყველას გვაკლია ბატონი ზურაბი. ჩვენ განსაკუთრებით ვიზიარებთ ოჯახის მწუხარებას. ბატონი ზურაბი აკლია მთელ საქართველოს. მაგრამ მე მინდა ვთქვა, რომ ბატონი ზურაბი განსაკუთრებით დააკლდა ჩვენს პრეზიდენტს.

და ის სული ღვთისა სახიერი, დაე, უმღოდეს ბატონი ზურაბის უკვდავ სულს სასუფეველში. ღმერთმა აცხოვნოს და ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული და დააწესოს იგი აქ, სადაც ჩვენი წინაპარნი და მართალნი განისვენებენ.

ამინ!

## ძალიან ცოტას ვიცნობ ისეთ ადამიანს, რომელმაც ისე აზრიანად იცხოვრა, როგორც ჩვენმა მეგობარმა ზურაბ ჟვანიამ

### საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სიტყვა

თქვენო უწმიდესობავ!

ქალბატონო რემა, ჩემო ნინო, ჩემო საყვარელო ბავშვებო!

ნამდვილად არ ვგეგმავდი და ვერც წარმომედგინა, რომ აქ, ამ სიტუაციაში მომიხდებოდა თქვენს წინაშე დგომა. ჩვენთვის, ყველასთვის ეს ბოლო ოთხი დღე დიდი ცხოვრებისეული გამოცდა არის. პრაქტიკულად, ჩვენს უმრავლესობას არასდროს არ ჰქონია მსგავსი ადამიანის დაკარგვის ასეთი გამოცდილება. მინდა ვთქვა, რომ, რა თქმა უნდა, ყველა თავისებურად ვეგუებით და თავისებურად ვიტანთ ამ ყველაფერს, რაც თავს დაგვატყდა.

არც ერთი ადამიანი ამ ქვეყნიდან ასე უაზროდ არ უნდა მიდიოდეს. მაგრამ მე ძალიან ცოტას ვიცნობ ისეთ ადამიანს, რომელმაც ისე აზრიანად იცხოვრა, როგორც ჩვენმა მეგობარმა ზურაბ ჟვანიამ.

დღეს აქ არიან მთელი მსოფლიოდან ჩამოსული ჩვენი მეგობრები, ვინც ყველა საქმე მიატოვა. ბევრად მეტს უნდოდა ჩამოსვლა. თქვენ ნახეთ, რომ წაიკითხეს პრეზიდენტ ბუშისა და ლეგენდარული ვაცლავ ჰაველის წერილები. ამ ბოლო დღეებში ასეთი ასობით წერილი მივიღე. ამ წერილების წაკითხვისას, უბრალოდ, მინდა რომ ყველანი დავფიქრდეთ, თუ რა წერია მათში. ყველანი ხედავთ, როგორი დაფასებულია ზურაბ ჟვანია, ყველანი ხედავთ, ამ დღეებში როგორ გამოდიან ტელევიზიით, აქებენ, ადიდებენ, ხოტბას ასხამენ. და განა აუცილებელია, რომ ადამიანი წავიდეს ამ ქვეყნიდან, რათა იგი დავაფასოთ? როდის ვისწავლით ცოცხალი ადამიანების დაფასებას, ცოცხალი ადამიანების ღირსების დაცვას? როდის ვისწავლით იმის დაფასებასა და ცნობას, რაც გვაქვს და როდის არ იქნება ჩვენი ქვეყნის ვექტორი მუდმივად წარსულისკენ მიმართული?

ეს არის ის კითხვა, რომელსაც საქართველოში მცხოვრებმა თითოეულმა ადამიანმა უნდა უპასუხოს. მიუხედავად პესიმიზმისა, მიუხედავად ნიჰილიზმისა, მიუხედავად ცინიზმისა, მე და ჩვენ ყველამ ხომ გადავიტანეთ ეს წლები, როცა ყველა იძახდა, „არაფერი არ გამოვა, ესენიც ისეთები არიან, ამათ ყველაფერი ჩაუფლავდებათ“. ამათ ჯინაზე და ყველა ცინიკოსის ჯინაზე საქართველო, როგორც სახელმწიფო, შედგა. და ეს გააკეთა, უპირველეს ყოვლისა (და ეს ჩვენ ყველამ ერთად გავაკეთეთ) ზურაბ ჟვანიას მცდელობამ. ამ გზას უკვე ვერავინ ვეღარსაიდან ამოშლის.

მინდა, უბრალოდ, ყველას ვუთხრა, ჩვენს მეგობრებს ვუთხრა: ნუ გეშინიათ, რადგან, ყველაზე მეტი, რისიც უნდა გვეშინოდეს ამ უბედურების შემდეგ, ეს თვითონ შიშია.

მინდა ვუთხრა ყველას, ვინც გვისმენს: თუ გვინდა, ვისწავლოთ გამარჯვება, უნდა ვიცოდეთ ტრაგედიის ჟამს გაერთიანება. უნდა შეგვეძლოს ყველაფრის გადატანა გამარჯვებაში გაერთიანებისთვის. ამ დღეებში ყველას დავანახეთ, რომ შეგვიძლია გაერთიანება ტრაგედიაში. ესე იგი, ჩვენს საერთო გამარჯვებაშიც შეგვეძლება გაერთიანება.

ასევე მინდა ვუთხრა საქართველოს არაკეთილმოსურნეებსაც: ნურაფრის იმედი ნუ გექნებათ, ნურანაირი ილუზიები ნუ გექნებათ. ზურაბ ჟვანია აღარ არის, მაგრამ ყველანი ჯერჯერობით ცოცხლები ვართ. და თუ ვინმეს აქვს ილუზია, რომ შესაძლებელი იქნება იმ საქმის შერყევა, იმისთვის ფუძის, ძირის გამოთხრა, რომელიც ყველამ ერთად დავიწყეთ, იმ თაობამ დაიწყო, რომელიც სწორედ ზურაბის მცდელობით მოვიდა, ძალიან ტყუილად აქვს ამის იმედი. ჩვენ ამის საშუალებას არ მოგცემთ ჟვანიას გამო, ყველა ჩვენგანის გამო, მისი შვილების გამო, ყველა ჩვენი შვილის გულისთვის და ყველა ჩვენი შვილის საკეთილდღეოდ.

საქართველო გახდება ძლიერი ქვეყანა. ეს არის ასევე ჩემი პირადი მოვალეობა და ყველა ჩვენგანის მოვალეობა ჩვენი მომავლის, ჩვენი მეგობრის ზურაბ ჟვანიას წინაშე.

◎ საეკლესიო კალენდარი

## წმიდა კეთილმსახური მეფე — დავით აღმაშენებელი

**8 თებერვალს** ხსენება წმიდისა კეთილმსახურისა დავით მეოთხისა, მეფისა ყოვლისა საქართველოისა და აფხაზეთისა, აღმაშენებლად წოდებულისა.

XI საუკუნის საქართველო ფიზიკური და სულიერი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. ერთ დროს ქრისტესმოყვარე ერი უსჯულოებამ და ცოდვამ მოიცვა. 1089 წელს, საქართველოს იმედად და პატრონად მოევლინა განსწავლული, ღვთის მოშიში, ბრძნადმეტყველი, ქვრივ-ობოლთა განმკითხავი, სამართლიანი მსაჯული, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა — წმიდა დავით აღმაშენებლი. გიორგი II თვითონ დაადგა მეფის გვირგვინი თავის ძეს.

დავით მეფემ, უპირველეს ყოვლისა, დაიწყო დიდი თურქობის დროს გაქცეული მოსახლეობის დაბრუნება ძველ ნამოსახლარზე, აზნაურები შემოიკრიბა და მათთან ერთად შეუდგა ერის შეკრებას; ურჩი დიდებულების დათრგუნვის შემდეგ მეფე მიხვდა, რომ ძლიერი სახელმწიფოს ქვაკუთხედი ქვეყანაში მშვიდობისა და ერთობის დამყარება იყო.

მეფემ თავისი გონიერი მზერა მიაპყრო ეკლესიას. მან მოიწვია საეკლესიო კრება, მის მეგლისწერაში აღნიშნულია, რომ მართლმადიდებლობას ერის და პიროვნების გადარჩენის საქმეში სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

კეთილმსახურმა მეფემ ქვეყნის შიდა პოლიტიკის რეფორმის და აღმშენებლობის შემდეგ თურქთაგან საქართველოს გაწმენდას მიჰყო ხელი. რამდენიმე წლის შემდეგ, დიდგორთან ომის მოგების (1121 წელს), თბილისის აღების (1122 წ.), დმანისის შემოერთების შემდეგ მან საქართველოს გაერთიანება დაასრულა.

აღსანიშნავია, რომ უფალი შეეწეოდა ღვთის მადიდებელ მეფეს, გამარჯვება გამარჯვებას მოსდევდა... ჯერ კიდევ 1106 წელს დაიწყო დავით მეფემ თავისი აღმშენებლობითი მოღვაწეობის გვირგვინის — გელათის მონასტრის — მშენებლობა... დავითმა მონასტერს დიდძალი განძი და ომებში მოპოვებული ნადავლი შესწირა, მისი მზრუნველი ხელი დაეტყო **საქართველოს**



**საზღვრებს გარეთ წმიდა ადგილებში მრავლად არსებულ ქართულ სავანეებს.**

კაცთმოყვარე მეფემ სნეულთათვის ქსენონი ააშენა. სიუხვით და წყალობით სავსე თვითონაც ხშირად ნახულობდა ავადმყოფებს, უხვად გასცემდა მოწყალებას...

მწიგნობარი მეფე თავისუფალ დროს საღმრთო წერილის და სხვა წიგნების კითხვას ანდომებდა. მას წიგნები ომშიც დაჰქონდა, როცა დაიღლებოდა, სხვას აკითხებდა. ის სწორუპოვარი ჰიმნოგრაფიც იყო, მისი „გალობანი სინანულისანი“ თავისი ღრმა სულიერებით უტოლდება ეკლესიის უდიდესი ჰიმნოგრაფების ნაწარმოებებს. ქართველთა ყველაზე ძლევამოსილმა მეფემ შთამომავლობას დაუტოვა თავისი სულის საოცარი აღსარება, შეწყალება გამოთხოვა ღმერთს.

წმიდა დავითი აღესრულა 53 წლის ასაკში, დაკრძალეს მის მიერვე აგებულ და სამეფო სამვალედ დადგენილ გელათის მონასტრის შესასვლელში.

**მოამზადა**
**გიული ლიპარტიამ.**

◎ გვისამძიმრებენ

## „ზურაბ ჟვანია დაგვამახსოვრდება, როგორც ერთ-ერთი უდიდესი პიროვნება თქვენი უძველესი ქვეყნის თანამედროვე ისტორიაში“

**პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!**

ღრმა მწუხარებით შევიტყვე თავზარდამცემი ცნობა პრემიერ-მინისტრის ბატონ ზურაბ ჟვანიას ტრაგიკული აღსასრულის შესახებ. ზურაბ ჟვანია დაგვამახსოვრდება, როგორც ერთ-ერთი უდიდესი პიროვნება თქვენი უძველესი ქვეყნის თანამედროვე ისტორიაში. ის ეტაპები, რომლებიც მან გაიარა სტუდენტი აქტივისტიდან პარლამენტის სპიკერამდე და მშვიდობიანი დემოკრატიული საქართველოს ლიდერამდე, ასახავს თქვენი ქვეყნის გარდაქმნას იმედის სიმბოლოდ ყველა იმათთვის, ვინც იბრძვის თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის.

როგორც პრემიერ-მინისტრმა, ზურაბ ჟვანიამ წამოიწყო რეფორმები, რომლებმაც გააძლიერა თქვენი მთავრობის სწრაფვა კორუფციასთან ბრძოლისა და ქვეყნის წარმატებისკენ. მან შეასრულა კონსტრუქციული როლი სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან მშვიდობიანი პოლიტიკური შეთანხმების მიღწევაში, რომლის თანახმადაც საქართველო შეინარჩუნებს ტერიტორიულ მთლიანობას და ამავდროულად შესთავაზებს ავტონომიას ამ რეგიონების მცხოვრებლებს.

პრემიერ-მინისტრ ჟვანიას ყოველივე ეს მცდელობა ასახავს ქართველი ხალხის სწრაფვას თავისუფლების და მშვიდობისკენ და მათ ეს სწრაფვა გამოხატეს, როდესაც თქვენ აგირჩიეს საქართველოს პრეზიდენტად.

ამ მწუხარების ჟამს მე კიდევ ერთხელ გიდასტურებთ ამერიკის შეერთებული შტატების მზადყოფნას თქვენთან თანამშრომლობის გაღრმავებისთვის, რათა საქართველო გახდეს მშვიდობიანი და დემოკრატიული ქვეყანა.

მე და ლორა ვუსამძიმრებთ ქალბატონ ნინო ჟვანიას და ჟვანიების მთელ ოჯახს, თქვენ, როგორც ზურაბ ჟვანიას უახლოეს მეგობარს და საქართველოს მთელ მოსახლეობას.

ჩვენ ყველას მოგიხსენიებთ ჩვენს ლოცვებში.

**პატივისცემით,**
**ჯორჯ ბუში.**

## „ახალი საქართველო რთულ პერიოდს დაძლევს და არჩეული გზის ერთგული დარჩება“

**პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!**

ვიცი, რომ პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალება ქართველი ხალხისთვის დიდი ტრაგედიაა. როგორც „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, მან საერთაშორისო საზოგადოების ღრმა პატივისცემა მოიპოვა.

მჯერა, ახალი საქართველო რთულ პერიოდს დასძლევს და ერთგული დარჩება იმ გზისა, რომელიც მან ერთი წლის წინათ აირჩია.

**ვაცლავ ჰაველი.**








CYAN MAGENTA YELOOW BLACK

გამოთხოვება

# ჩვენ შევძლებთ სრულ მობილიზებას იმისთვის, რომ ჩვენმა შვილებმა იცხოვრონ ისეთ საქართველოში, რომელსაც ჩვენ აუცილებლად ავაშენებთ

## საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის სიტყვა

**ძალზე რთულია იპოვო სიტყვები, რომლებიც დღეს უნდა ითქვას. ძალზე რთულია, ილაპარაკო თანამებრძოლზე, საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ და იმედისმომცემ პოლიტიკოსზე წარსულ დროში.**

მე მინდა, უპირველეს ყოვლისა, მთელი გულწრფელობით, თქვენთან ერთად მივუსამძიმრო ეს აუნაზღაურებელი დანაკლისი მის ოჯახს, მის დედას, მის მეუღლეს – ქალბატონ ნინოს, მის შვილებს, რომლებიც არასდროს არ დაივიწყებენ თავიანთ მამას იმის მიუხედავად, რომ ისინი ჯერ ძალიან პატარები არიან.

მე ძალიან ვწუხვარ, რომ დღეს ჩემი და პარლამენტის სახელით ვემშვიდობები ადამიანს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართულ პარლამენტარიზმს ახალ, დამოუკიდებელ საქართველოში. ბატონი ზურაბი მთელი ბოლო 10-12 წლის მანძილზე ყოველდღიურად დგამდა ნაბიჯებს, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისკენ იყო მიმართული.

ბატონი ზურაბ ქვანია იყო პოლიტიკოსი, რომელმაც თავისი არცთუ დიდი ასაკის მიუხედავად, მოახერხა ძალიან სერიოზული ადგილი დაეჭირა არა მარტო ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, არამედ ევროპულ და მსოფლიოს პოლიტიკურ ასპარეზზე. იგი იყო ადამიანი, რომლის სიტყვებსაც უსმენდნენ და პატივს სცემდნენ საქართველოს მეგობრებიც და საქართველოს მტრებიც.

აქ ბატონმა დენის ქორბოიმ გაახმოვანა ის არაჩვეულებრივი სიტყვები, რომლებითაც ბატონმა ზურაბმა ევროპის ერთ-ერთ ყველაზე მაღალ ტრიბუნაზე არაჩვეულებრივად წარმოაჩინა ქართველი ხალხი და ქართული სახელმწიფოს მისწრაფება – იყოს დემოკრატიული, ცივილიზებული, ევროპული სახელმწიფო.

ბატონმა ზურაბმა არაერთი მოყვარე შესძინა საქართველოს, არაერთი ადამიანი, რომელიც თავის თავს საქართველოს მეგობრად თვლის. ამ ადამიანების დიდი ნაწილი დღეს ჩვენთან ერთად არის.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ ძალიან დიდი ტრაგედიის მიუხედავად, ამ მართლაც აუნაზღაურებელი დანაკლისის მიუხედავად, საქართველოს პოლიტიკური ელიტა, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს მთავრობა, პარლამენტი შეძლებენ ამ მძიმე წუთებში გავაერთიანოთ ჩვენი ძალისხმევა და კიდევ უფრო უკეთესად ვაკეთოთ ის საქმე, რომელიც ჩვენ ყველამ ერთად დავიწყეთ.

ჩვენ, დღევანდელი საქართველოს პოლიტიკური ლიდერები ბოლო 10 წლის მანძილზე ერთად ვიყავით როგორც ლხინში, ასევე ჭირში. ჩვენ დავანახეთ ჩვენს სამშობლოს და მსოფლიოს, რომ ჩვენ შეგვიძლია ერთად ვიზეიმოთ გამარჯვება, ჩვენ შეგვიძლია ერთად გავუძლოთ გამარჯვების ეიფორიას. ჩვენ დავანახეთ მთელ მსოფლიოს და, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ხალხს, რომ ჩვენ შეგვიძლია ერთად ვიყოთ გაჭირვების ჟამსაც და ტრაგიკული დღეების ჟამსაც, რომ ჩვენ შევძლებთ სრულ მობილიზებას იმისათვის, რომ მართლაც განვახორციელოთ ის გადაწყვეტილებები, რაზეც ყველანი ერთად ვოცნებობდით, რომ ჩვენმა შვილებმა, ბატონი ზურაბის შვილებმა იცხოვრონ ისეთ საქართველოში, რომლის აშენებაც ჩვენ გვინდოდა, რომლის აშენებაც გვინდა და რომელსაც ჩვენ აუცილებლად ავაშენებთ.

მინდა კიდევ ერთხელ დავემშვიდობო ბატონ ზურაბს და კიდევ ერთხელ გამოვუცხადო სამძიმარი მის ოჯახს, ყველა მის ახლობელს, ყველა ჩვენს მოკეთეს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ, ყველა იმ ადამიანს, რომელიც ბატონი ზურაბის წასვლით დიდ ტკივილს განიცდის.

# პარლამენტის ბიუროს სხდომა



**გუშინ გაიმართა პარლამენტის ბიუროს სხდომა, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე უძღვებოდა. ბიუროს წევრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ამ დღეებში ტრაგიკულად დაღუპული პრემიერ-მინისტრის ზურაბ ქვანიას ხსოვნას.**

ნინო ბურჯანაძემ გულთბილად გაიხსენა ზურაბ ქვანია, რომელიც პარლამენტს წლების განმავლობაში ედგა სათავეში და რომელმაც ქართულ პარლამენტარიზმს საფუძველი ჩაუყარა. მისი თქმით, პარლამენტი იმ წლებში სწორედ ის ორგანო იყო, სადაც ქვეყნისთვის სასიკეთოდ ბევრი გადაწყვეტილება მიიღეს.

– ეს იყო განსაკუთრებით წარმატებული წლები არა მარტო პარლამენტისთვის, არამედ საქართველოსთვის, რაშიც დიდია ბატონი ზურაბის ღვაწლი, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ. როგორც მან აღნიშნა, ამ ეტაპზე საქართველომ დაკარგა პოლიტიკოსი, რომელსაც ქვეყნის სასიკეთოდ კიდევ მრავალი სერიოზული ნაბიჯის გადადგმა შეეძლო.

ბიუროს გადაწყვეტილებით, ზურაბ ქვანიას სახელის უკვდავსაყოფად, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარეს ხათუნა გოგორიშვილს შესაბამისი წინადადებების წარმოდგენა დაევალა.

ბიუროს წევრებმა გაიზიარეს პარლამენტის თავმჯდომარის წინადადება, რომლის მიხედვით პარლამენტის პირველი პლენარული სხდომა ხუთშაბათს, 10 თებერვალს გაიხსნება. მანამდე, ორი დღე საკომიტეტო მოსმენებს დაეთმობა, ვინაიდან კომიტეტებმა ცნობილი ტრაგიკული მოვლენების გამო წინა კვირას კანონპროექტების განხილვა ვერ შეძლეს. **პარლამენტი პირველ პლენარულ სხდომაზე საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ყოველწლიურ მოხსენებას მოისმენს. პრეზიდენტი, სავარაუდოდ, ამ სხდომაზე პრემიერ-მინისტრის კანდიდატურასაც დაასახელებს.**

ამის შემდეგ, ბიუროს წევრებმა პლენარული სხდომების დღის წესრიგზე, საკანონმდებლო ინიციატივებსა და საორგანიზაციო საკითხებზე იმსჯელეს.

გვისამძიმრებენ

# რამდენ ვინმეს ჰყვარებია აქაც – ისრაელის ბიბლიურ მიწაზე

**ალბათ, ვერავითარი სიტყვა ვერ გამოხატავს იმ ტრაგედიის სიმძაფრეს, რაც ზურაბ ქვანიას გარდაცვალებით დაატყდა თავს მის ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებსა და თანამებრძოლებს, მთელ საქართველოს.**

ზურაბ ქვანია მარტო დღევანდელ საქართველოს კი არ დააკლდა – ის მომავალ თაობებს, მომავალ საქართველოსაც დააკლდა.

თქვენთან ერთად, მთელ საქართველოსთან ერთად ვგლოვობთ ქვეყნის უთვალსაჩინოესი შვილის დაკარგვას.

თურმე, რამდენ ადამიანს ჰყვარებია აქაც – ისრაელის ბიბლიურ მიწაზე.

იშრომა, ილვაწა, იბრძოლა.

და რაოდენ დასანანია, რომ წარსულ დროში გვიხდება მასზე ლაპარაკი.

ისღა გვანუგეშებს, რომ ჭეშმარიტი გმირები მარტო წარსულში არ რჩებიან.

ზურაბ ქვანიამ თავის ხანმოკლე სიცოცხლეში იმდენი რამ მოასწრო, რომ მისი ცხოვრების მაგალითი სამომავლო საგზლად გაჰყვება კიდევ არაერთ თაობას.

ასეთი ადამიანები მარადიული აწმყოს ბინადარნი არიან.

**ისრაელში საქართველოს საელჩოს სახელით,**
**ჯემალ აჯიაშვილი.**

### საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს

თქვენო აღმატებულებავ!

გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულწრფელი სამძიმარი ბატონ ზურაბ ქვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით, რომელიც გახლდათ ჩემი კარგი მეგობარი და ყოფილი კოლეგა.

გთხოვთ გადასცეთ ჩემი სამძიმარი საქართველოს მთავრობის წევრებს.

**თქვენი ერთგული ტოომას სადი,**
**ევროპარლამენტის წევრი, ლიტვის პარლამენტის თავმჯდომარე.**

### საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, მის აღმატებულებას ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს

კოპენჰაგენი.

ძვირფასო ქალბატონო თავმჯდომარევ,

პირადად ჩემი და ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის წევრების სახელით მინდა გადმოგცეთ ჩემი ღრმა მწუხარება პრემიერ-მინისტრის ზურაბ ქვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით და გთხოვთ, ჩემი სამძიმარი გადასცეთ პარლამენტის ყველა წევრს. როგორც მოგეხსენებათ, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა ძალიან მაღალ შეფასებას აძლევდა ბატონ პრემიერ-მინისტრის ზურაბ ქვანიას საქმიანობას.

მოუთმენლად ველოდები თქვენთან შეხვედრას ვენის საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სხდომაზე რამდენიმე დღეში.

**გულწრფელად თქვენი, ალსი ლ. ჰასტინგსი,**
**ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი.**

### საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, მის აღმატებულებას ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს

ვარშავა.

ძვირფასო ქალბატონო ბურჯანაძე,

ღრმად შეგვძრა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბატონ ზურაბ ქვანიას ტრაგიკულმა სიკვდილმა. პოლონეთის რესპუბლიკის სენატის და პირადად ჩემი სახელით მიიღეთ გულწრფელი სამძიმარი.

ბატონი ზურაბ ქვანიას სახით დაიღუპა ნიჭიერი პოლიტიკოსი და რეფორმატორი.

**გულწრფელად თქვენი ლონგინ პასტუსიაკი,**
**პოლონეთის რესპუბლიკის სენატის მარშალი, პროფესორი.**

### საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, მის აღმატებულებას ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს

სტრასბურგი.

ძვირფასო თავმჯდომარე,

მსურს გადავცე ღრმა სამძიმარი ბატონ ზურაბ ქვანიას ოჯახს და ქართველ ერს, რომელმაც უცაბედად და ტრაგიკულად დაკარგა ქვეყნის დემოკრატიული სტაბილურობის ერთ-ერთი უმთავრესი არქიტექტორი.

საქართველომ თავისი პრემიერი დაკარგა იმ დროს, როდესაც მისი ენერგია, პოლიტიკური გამჭრიახობა და ევროპული ღირებულებისადმი ერთგულება უდიდეს მნიშვნელობას იძენდა. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ დაკარგა თავისი ყოფილი წევრი და ძალიან ახლო მეგობარი.

**გულწრფელად თქვენი რენე ვან დერ ლინდენი,**
**ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე.**

ინფორმაცია

## პატრიარქის ინიციატივით საქველმოქმედო ფონდი დაფუძნდა



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის ინიციატივით საქველმოქმედო ფონდი „სულიერების, მეცნიერების და კულტურის აღორძინება და განვითარება" დაფუძნდა. ფონდის პრეზენტაცია დღეს სამების საკათედრო ტაძარში გაიმართება.

პატრიარქი საზოგადოებას ფონდს წმინდა მეფის, დავით აღმაშენებლის ხსენების დღესთან დაკავშირებული წირვის დასრულების შემდეგ წარუდგენს.

როგორც „ინტერ-პრესს" საპატრიარქოში განუცხადეს, საქველმოქმედო ფონდს თავად უწმიდესი უხელმძღვანელებს. ფონდი საინტერესო პროექტების განხორციელებას და ქველმოქმედების ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

## დევნილები შიმშილობით იმუქრებიან

სასტუმრო „აჭარაში" დარჩენილი დევნილები ხელისუფლებისგან სასტუმროდან გასვლის შესახებ მიღწეული შეთანხმების პირობების შესრულებას მოითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შიმშილობის დაწყებით იმუქრებიან.

სასტუმრო „აჭარაში" მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი ოთარ კვარაცხელიას ინფორმაციით, დღემდე სასტუმროში აფხაზეთიდან დევნილი 9 ოჯახი რჩება, რომელსაც, ქალაქის მერიის, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს და სასტუმროს ადმინისტრაციის მიერ შექმნილი ერთობლივი კომისიის გადაწყვეტილებით, სხვა 238 ოჯახისგან განსხვავებით, კომპანია „სელფორდ საქართველოსთან" ხელშეკრულების გაფორმების უფლება არ მიეცა.

ოთარ კვარაცხელიას მტკიცებით, ხელისუფლება არ ასრულებს შეთანხმებას სასტუმროდან გასახლებულთათვის დევნილთა კომპაქტური განსახლების სხვა ადგილებში საცხოვრებელი ფართის გამოყოფის შესახებ. გარდა ამისა, მისი თქმით, სასტუმროს, სადაც ამჟამად მცირეწლოვანი ბავშვები მშობლებთან ერთად ცხოვრობენ, კარგა ხანია, არ მიეწოდება წყალი და ელექტროენერგია, სასტუმროს ადმინისტრაცია კი მე-3 დღეა, აღარ უშვებს შენობაში დევნილებს, რომლებიც სასტუმროს სხვადასხვა მიზეზით დატოვებენ. კვარაცხელიას განცხადებით, თუ ხელისუფლების წარმომადგენლები უახლოეს დღეებში არ მიიღებენ გადაწყვეტილებას მათი პრობლემების გადასაჭრელად, სასტუმროში დარჩენილი დევნილები პროტესტის ნიშნად შიმშილობას დაიწყებენ.

## აზროვნებისა და ქცევის პროვინციალიზმი თბილისის საკრებულოში

თბილისის საკრებულოს სხდომა გუშინ ფრაქცია „ლეიბორისტებისა" და საკრებულოს საპრეზიდენტო უმრავლესობის წევრებს შორის ფიზიკური დაპირისპირებით დაიწყო.

დაპირისპირება ფრაქცია „ლეიბორისტების" ერთ-ერთი წევრის პაატა ჯიბლაძის გამონათქვამს მოჰყვა. მან თბილისის საკრებულოს „პროჭიაბერიშვილისეული ორგანო" უწოდა, რამაც დეპუტატების აღშფოთება გამოიწვია. თავდაპირველად ჯიბლაძის გამონათქვამთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის დაფიქსირება ცალკეულმა დეპუტატებმა სცადეს. მათ „ლეიბორისტებს" ზრდილობისკენ და თბილისელებისა და კოლეგების პატივისცემისკენ მოუწოდეს. თუმცა, სიტყვიერი დაპირისპირება საბოლოოდ ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.



თავად საკრებულოს თავმჯდომარე აცხადებს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში მსგავსი სიტუაციის გაგრძელებას აღარ დაუშვებს. „ყველა ზომას მივიღებთ იმისთვის, რომ საკრებულოს ზოგიერთი ფრაქციის მხრიდან მსგავსი ქმედებები შეწყდეს", – განაცხადა ზაზა ბეგაშვილმა, თუმცა, არ დაუკონკრეტებია თუ რა ზომებს მიმართავს მომავალში.

საკრებულოს ერთ-ერთი დეპუტატი გიორგი მურღულია გუშინ ეთიკის ჯგუფის შექმნის ინიციატივით გამოვიდა. მისი თქმით, ეთიკის ჯგუფმა საკრებულოში ქცევისა და ზრდილობის წესების დაცვა უნდა უზრუნველყოს. საკრებულოს წევრები ერთხმად აღნიშნავენ, რომ დედაქალაქის საკანონმდებლო ორგანოს მუშაობისთვის დისკუსია აუცილებელია, თუმცა თბილისის საკრებულო დაცული უნდა იყოს „აზროვნებისა და ქცევის პროვინციალიზმისგან".

საკრებულოს გუშინდელ სხდომაზე ერთ-ერთ ძირითად საკითხად განიხილებოდა ადგილობრივი თვითმმართველობისა და მართველობის ორგანოებში საატესტაციო-საკონკურსო საკითხები.

## წლეულს გრიპის ეპიდემია მოსალოდნელი არ არის

მიმდინარე ზამთრის პერიოდში გრიპის ეპიდემიის გავრცელება მოსალოდნელი არ არის. როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა პაატა იმნაძემ „მედიანიუსთან" საუბრისას განაცხადა, მიუხედავად ამინდის საგრძნობლად გაუარესებისა, დაავადების მატება ჯერჯერობით არ შეინიშნება.

გრიპის ეპიდემიას არც შარშან ჰქონია ადგილი. 2003 წლის თებერვალში იყო გახშირებული შემთხვევები, როდესაც დაავადებულთა რიცხვმა 14 ათასი შეადგინა, თუმცაღა ეპიდემიად არც ეს ითვლებოდა.

გრიპს იწვევს 200-ზე მეტი სხვადასხვა ვირუსი და იშვიათად ბაქტერიები. ამიტომ ანტიბიოტიკებით მკურნალობა ეფექტს არ იძლევა.

„ინტერ-პრესი", „მედია-ნიუსი".

სულთათანა

## გლოვის ზარი საქართველოში და სამების ახალ ტაძარში

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ქვანიას ტრაგიკულად დაღუპვის გამო

ვაება და ცრემლები
ღმერთმა მტერსაც
აშოროს, —
კიდევ ერთი ზურაბი
შეეწირა სამშობლოს...
ტაძრის გუმბათს
ეხლება
მტრედი წითელფეხება,
მეგობარი ერთგული
კუბოს ფრთხილად
ეხება...
ტაძრად მოედინება
ხალხმრავალი
მდინარე, —
სამძიმარზე მოდიან
ცრემლებჩამომდინარე...
..................................
წუხელ კიდევ
მოუკლავთ
კაცი ლომის ხადარი,
შვილო ზურაბ! —
რამდენჯერ!..
შვილო ზურაბ, —
ხადამდე!..
შემრა ციხე
სურამის
შორეულმა ტკივილმა
და გააჰო სამყარო
დედის მწარე
კივილმა...
სულ ვაი და ცრემლები
ღმერთმა ყველას
აშოროს,
კიდევ ერთი
ზურაბი
შეეწირა სამშობლოს...

**ნანა ღვინეფაძე.**
2005 წლის 6 თებერვალი.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ზურაბ ქვანიას იდუმალებით მოცული დაღუპვა

**6 თებერვალს საქართველომ უკანასკნელ გზაზე გააცილა თავისი პრემიერი – ზურაბ ქვანია. თბილისის წმიდა სამების საკათედრო ტაძარში, სადაც გაიმართა პანაშვიდი, ზურაბ ქვანიასთან გამოსათხოვებლად მივიდნენ ათი ათასობით თბილისელი, საზღვარგარეთიდან ჩამოსული ოფიციალური დელეგაციების წევრები. რუსეთს წარმოადგენდა ტრანსპორტის მინისტრი იგორ ლევიტინი, ამერიკის შეერთებულ შტატებს კი – სენატორი რიჩარდ ლუგარი. ზურაბ ქვანიას მოულოდნელი დაღუპვა საქართველოს მოქალაქეებისთვის არა მარტო შოკის მომგვრელი იყო, არამედ ამ უბედურმა შემთხვევამ უამრავი კითხვაც დაბადა, რომელთაგან ცხრა, ჩვენი აზრით, ყველაზე საინტერესოა. ადამიანები კიდევ უფრო დააბნია საქართველოს პრეზიდენტთან არსებული შეწყალების სახელმწიფო კომისიის აპარატის უფროსის გიორგი ხელაშვილის დაღუპვის ამბავმა, რომელმაც, ოფიციალური ვერსიის თანახმად, თავი მოიკლა.**

მაშ ასე, გაგაცნობთ ამ ცხრა კითხვას.

**პირველი.** რატომ მოხდა, რომ ხელისუფლებამ პრემიერის დაღუპვას ასე ნაჩქარევად მისცა უბედური შემთხვევის კვალიფიკაცია? რატომ არ დაელოდნენ გამოძიების დასრულებას, ან, თუნდაც, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებს?

**მეორე.** რატომ მოხდა, რომ რაულ უსუპოვმა – სახელმწიფო კანცელარიის 25 წლის თანამშრომელმა, რომელიც ქვანიასთან ერთად დაიღუპა, იქირავა ბინა საბურთალოს ქუჩაზე, როცა მას ისედაც ჰქონდა ბინა თბილისის სხვა უბანში? რატომ არ იცოდნენ ამ ბინის დაქირავების შესახებ არც უსუპოვის მშობლებმა, არც მისმა ცოლმა და მეგობრებმა?

**მესამე.** რამდენად სარწმუნოა ხმები იმის თაობაზე, რომ ამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ხელისუფლებასთან დაახლოებული პირების დახმარებით მოხდა რამდენიმე ათეული ასეთი „კონსპირაციული ბინის" დაქირავება?

**მეოთხე.** რატომ მოხდა, რომ უსუპოვი, რომელიც ოფიციალური ვერსიის თანახმად, ქვანიას ახლო მეგობარი იყო, მთელი ერთი კვირის განმავლობაში დაჟინებით ცდილობდა შეხვედრას პრემიერთან პარლამენტარ ვასილ მაღლაფერიძის შუამავლობით?

**მეხუთე.** იმ ავბედით ღამეს ქვანიამ რატომ დატოვა ქუჩაში თავისი დაცვის წევრები, რომლებიც, წესით, მუდამ მის გვერდით უნდა ყოფილიყვნენ?

**მეექვსე.** რატომ მოხდა, რომ უსუპოვმა ბინაში სამი თვის წინათ დამონტაჟებული ირანული წარმოების გაზის გამათბობელი „ნიკალა" შეცვალა ზუსტად ისეთივე გამათბობლით, მაგრამ გამონაბოლქვი გაზის გამოფრქვევისთვის გათვალისწინებული გაცილებით უფრო მოკლე მილით, რაც ექსპლუატაციის ყველა ნორმის უხეში დარღვევა იყო?

**მეშვიდე.** რატომ მოხდა, რომ უსუპოვის მეზობლებმა ვერაფერი ვერ გაიგეს მაშინ, როცა ქვანიას პირადი დაცვის წევრებმა შეამტვრიეს ბინის ფანჯრები და კარი?

**მერვე.** დეპუტატ მაღლაფერიძის გარდა ვინმემ კიდევ თუ იცოდა, რომ სწორედ იმ ღამეს ზურაბ ქვანია აპირებდა უსუპოვთან მისვლას?

**მეცხრე.** თუ იმყოფებოდა უსუპოვის ბინაში კიდევ ვიღაც მესამე პირი? როგორც ჟურნალისტებისთვის ცნობილი გახდა, გამოძიება ასეთ ვერსიას არ გამორიცხავს.

რაც შეეხება გიორგი ხელაშვილის – „ქვანიას გუნდის" წევრის, კიდევ ერთი პოლიტიკოსის დაღუპვას, აქაც საკმაოდ ბევრი კითხვა ჩნდება. თვითმკვლელობამდე ერთი დღით ადრე, სახელმწიფო მოხელემ მისცა ჩვენება გამოძიებას პრემიერ-მინისტრის დაღუპვის საქმესთან დაკავშირებით. პროკურატურიდან შინ დაბრუნების შემდეგ, მან მეზობელთან შეიარა და ითხოვა თოფი – როგორც უთხრა, სანადიროდ აპირებდა წასვლას. ამის შემდეგ შევიდა თავის ბინაში, და, ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, თავისი დედის თვალწინ მოიკლა თავი. მეორე ვერსიით კი (სწორედ ამ ვერსიას იზიარებენ ხელაშვილის ოჯახთან დაახლოებული პირები), მოხდა უბედური შემთხვევა იარაღთან მოუფრთხილებელი მოპყრობის გამო. საინტერესოა, რომ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურატურა ჯერჯერობით არ ჩქარობს სისხლის სამართლის საქმის აღძვრას. განიხილავენ მხოლოდ თვითმკვლელობასთან დაკავშირებულ ვერსიას და იგი ეფუძნება იმას, რომ განსვენებულმა დატოვა ბარათი, რომელშიც იხდიდა ბოდიშს მის მიერ მიღებული ასეთი გადაწყვეტილების გამო.

ხელაშვილი 32 წლის იყო, ჰყავდა ცოლი და ორი შვილი. ბოლო საპარლამენტო არჩევნებში იგი მონაწილეობდა „ბურჯანაძე-დემოკრატების" ბლოკიდან. მაგრამ კენჭისყრამდე რამდენიმე დღით ადრე მისი გვარი სიებიდან ამოიღეს – როგორც ამბობენ, „რუსთავი-2" ტელეკომპანიის ეთერით პრეზიდენტის კრიტიკის გამო. თუ რა თქვა ხელაშვილმა მაშინ, დღეს არავის აღარ ახსოვს. უფრო სარწმუნოა ის ვერსია, რომ ხელაშვილის გვარი სიებიდან ამოიღეს მას შემდეგ, რაც სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ მოითხოვა „პრემიერის ხალხის" ხარჯზე „თავისი ხალხისთვის" კვოტის გაზრდა. სწორედ მაშინ გავრცელდა კიდეც პირველი ხმები რევოლუციურ ტრიუმვირატში რაღაც განხეთქილების შესახებ. ამ შემთხვევას არც ოფიციალურად და არც კულუარებში არ უკავშირებენ ქვანიას და უსუპოვის დაღუპვას. ან, იქნებ, ჯერ არ უკავშირებენ...

**ალექსანდრე იაშვილი,**
**„იზვესტია", 7 თებერვალი.**

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ ზურაბ ქვანია და რაულ უსუპოვი დაიღუპნენ მხუთავი გაზით – CO ინტოქსიკაციის შედეგად.

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მზად არის, ირწმუნოს უბედური შემთხვევის ვერსია. მათ მხოლოდ ამის დადასტურება სჭირდებათ, ისევე, როგორც ოპოზიციონერი პოლიტიკოსების მტკიცებათა უარყოფა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ არ არის გამორიცხული ქვანიასა და უსუპოვის მკვლელობის ვერსია. ერთ-ერთმა პირველმა ასეთი განცხადება გააკეთა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყოფილმა ლიდერმა ირინა სარიშვილმა-ჭანტურიამ. „საეჭვო ასპექტებს" მიანიშნებს ასევე დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილიც. როგორც მან თქვა, „არსებობს პრეპარატები, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ ისეთივე კლინიკური სიმპტომები, როგორიც ეს არის ხოლმე მხუთავი გაზით მოწამვლის დროს, მაგრამ საქართველოში ამის გამოვლენა შეუძლებელია, რადგან არ გვაქვს აპარატურა".

ზურაბ ქვანიას დედას და რაულ უსუპოვის მშობლებსაც სურთ იცოდნენ, მოკლეს თუ არა მათი შვილები. იაშირ უსუპოვი, მაგალითად, დარწმუნებულია, რომ მისი ვაჟი მოკლეს სადღაც სხვაგან და მხოლოდ ამის შემდეგ გადაიტანეს ცხედარი იმ ავბედით ბინაში (საბურთალოს ქუჩის № 53 სახლის პირველი სართული). უკვე დაკითხეს ასზე მეტი ადამიანი. გენერალური პროკურორის მოადგილის გიორგი ჯანაშიას თქმით, ეძებენ ადამიანს, რომელიც პრემიერს ტელეფონით დაუკავშირდა 3 თებერვალს, ღამის 01 საათსა და 19 წუთზე. ეს ბოლო სატელეფონო საუბარი იყო.

ამავე დროს, თბილისში უკვე განიხილავენ „ქვანიასშემდგომ პერიოდში" მოვლენათა შესაძლო განვითარებას. ექსპერტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ არ არის მოსალოდნელი პოლიტიკური კურსის შეცვლა. თუმცა, ალბათ, დაირღვევა ბალანსი ხელისუფლების ზედა ფენებში რადიკალური და ზომიერი ფრთების წარმომადგენლებს შორის, ქვანიას გარეშე კი ქართული პოლიტიკა „უფრო სწორხაზოვანი და ულმობელი გახდება". გარკვეულია ასევე „გაერთიანებული დემოკრატების" ბედიც – ქვანიას მსგავსი ლიდერი მათ ნამდვილად აღარ ეყოლებათ, ამიტომაც ამ ჯგუფის დაშლა თითქმის გარდუვალია.

სამაგიეროდ, თანდათანობით იკვეთება პრემიერის პორტფელის პრეტენდენტთა წრე. უწინარეს ყოვლისა, ესენი არიან, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, სახელმწიფო მინისტრი ეკონომიკურ რეფორმათა საკითხებში კახა ბენდუქიძე, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი გელა ბეჟუაშვილი, თბილისის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კემულარია, აფხაზეთის დევნილი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ალასანია და განათლების მინისტრი ალექსანდრე ლომაია. ასახელებენ ასევე პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის კანდიდატურას.

მაგრამ ყველა ეს ადამიანი, ოქრუაშვილის გარდა, პრემიერის მოვალეობას შეასრულებს მხოლოდ დროებით, მანამ, სანამ შეარჩევენ ძლიერ, მაგრამ სააკაშვილისადმი მორჩილ პოლიტიკურ ფიგურას. სხვათა შორის, არ არის გამორიცხული, რომ პარლამენტმა საერთოდ გააუქმოს კონსტიტუციური ცვლილებები, რომელთა შედეგადაც სპეციალურად ქვანიასთვის შეიქმნა მთავრობა. გასული წლის თებერვალში მიღებული ეს ცვლილებები ისედაც საკმაოდ აღიზიანებდა საქართველოს დასავლელ პარტნიორებს. ასეთ შემთხვევაში, სააკაშვილი შესაძლოა დაადგეს ედუარდ შევარდნაძის გზას და თვითონ უხელმძღვანელოს მთავრობას.

**მოამზადა**
**სიმონ კილაძემ.**

ჩვენი თანამემამულე

# დავით ქვანია უკრაინის საგანგებო სიტუაციათა მინისტრია

**უკრაინის საგანგებო სიტუაციათა მინისტრის პორტფელი წილად ხვდა ვიქტორ იუშჩენკოს შტაბის ერთ-ერთ ხაზინადარს დავით ქვანიას. ეს მისი პირველი თანამდებობაა აღმასრულებელ ხელისუფლებაში.**

დავით ქვანია დაიბადა 1967 წელს. მას აქვს უმაღლესი ეკონომიკური განათლება, უპარტიოა. პარლამენტში მოვიდა 2002 წლის არჩევნების შემდეგ „ნაშა უკრაინას“ საარჩევნო ბლოკის სიებით. რადაში ხელმძღვანელობდა ორგანიზებული დამნაშავეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხთა კომიტეტის ქვეკომიტეტს.



ქართული ფესვების მქონე უკრაინელი ხელისუფლებაში ახალბედაა. მეოთხე მოწვევის პარლამენტის სახალხო დეპუტატის სავარძელში იგი გადაჯდა დახურული სააქციო საზოგადოება „ბრინკფორდის“ პრეზიდენტის სავარძლიდან (ეს კომპანია არის მისი ძირითადი ბიზნეს-საქმიანობა). სხვათა შორის, ქვანიამ, როგორც მეწარმემ, ყველაფერი დაიწყო მამონტის ეშვების რეალიზაციასთან დაკავშირებული ოპერაციებით, ახლა კი იგი მთელი რიგი საკმაოდ მსხვილი საწარმოების თანამფლობელია.

ქვანია როცა უკრაინაში ჩამოვიდა, 30 წლის იყო და მუშაობდა კვიპროსის Brinkford Cons. LTD ფირმის გენერალურ დირექტორად. შემდეგ რეგისტრაციაში გაატარეს ამავე სახელწოდების დახურული სააქციო საზოგადოება „ბრინკფორდი“, რომელიც დაედო კიდეც საფუძვლად მის წარმატებულ ბიზნესს. ცნობილია, რომ ამ მეწარმეს აქვს წილი უკრაინის მთელ რიგ მსხვილ სამრეწველო საწარმოებში. მათ შორის არის ქერჩის გემთსაშენებელი ქარხანა, ბახჩისარაის „მშენინდუსტრიის“ ქარხანა, ლუგანსკის ჩარხსაშენებელი ქარხანა და სხვა. გასაკვირი არ არის, რომ დავით ქვანია და მისი პარტნიორი ნიკოლოზ მარტინენკო გახდნენ იუშჩენკოს წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი ფინანსური დონორები.

ქვანიას არც თუ ისე თბილი ურთიერთობა აქვს იულია ტიმოშენკოსთან, მაგრამ ამ პოლიტიკოსებს, რომლებიც ორივე დიდი ბიზნესიდან მოვიდა, ბევრი რამ აკავშირებთ, ასე რომ, ერთობლივი მუშაობა არ უნდა გაუჭირდეთ. ძველი ხელისუფლება ცდილობდა როგორც დავით ქვანიასთვის, ისე იულია ტიმოშენკოსთვის შეექმნა „კაპიტალიზმის საფრთხობელის“ იმიჯი. ამ ადამიანებს არაერთი ბრალდება წაუყენეს კანონის დარღვევის შესახებ, თუმცა ამ ბრალდებების დასაბუთება ვერ შეძლეს.

ქვანია ერუდირებული, გონებამახვილი ადამიანია. ფლობს ინგლისურ და, რა თქმა უნდა, ქართულ ენებს. მას ახლო ურთიერთობა აკავშირებს საქართველოს პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან, რომელსაც თავის დროზე გააცნო ვიქტორ იუშჩენკო (დავით ქვანია ტრაგიკულად დაღუპული საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ქვანიას ნათესავია).

ფართო პუბლიკისთვის ეს ახალი ტალღის პოლიტიკოსი ცნობილი გახდა იმით, რომ მონაწილეობდა უკრაინის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის (იმ მომენტისთვის) ვლადიმერ საციუკის აგარაკზე გამართულ „საიდუმლო სერობაში“, რომლის მეორე დღესაც ვიქტორ იუშჩენკომ იგრძნო თავისი „იდუმალებით მოცული“ დაავადების პირველი სიმპტომები. ჟურნალისტებს მოსვენებას არ აძლევს ასევე ამ ადამიანის კავშირურთიერთობა შერისხულ ოლიგარქთან ბორის ბერეზოვსკისთან. თუმცა, კვირის დამლევს ქვანიამ ასეთი რეაგირება მოახდინა ბორის ბერეზოვსკის განცხადებაზე, რომელიც აღნიშნავდა, რომ უკრაინაში აპირებდა ჩასვლას. მაშინ ქვანიამ თქვა: „თუ ამ ადამიანს რუსეთს არ გადასცემს არც იუშჩენკო და არც ტიმოშენკო, ამას გავაკეთებ მე“.

საგანგებო სიტუაციათა სამინისტრო არის თავისებური „თეთრი ლაქა“ იულია ტიმოშენკოს მთავრობის საქმიანობის გეგმებში. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის, რომ ახალი მთავრობის პროგრამაში ამ სამინისტროს შესახებ ერთი სიტყვაც არ წერია (პრემიერი ტიმოშენკო მის დაშლაზეც კი ფიქრობდა).

თუმცა, ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს საგანგებო სიტუაციათა მინისტრის პოსტი არ იყოს მნიშვნელოვანი. ეს თანამდებობა ძალზე მიმზიდველია თუნდაც იმ დიდი სახსრების გამო, რომლებსაც გამოყოფს ბიუჯეტი მის წინაშე დასახული ამოცანების გადასაწყვეტად.

მაგრამ, მთავარია ის, რომ ამ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ, ქვანია იძულებული იქნება ჩამოშორდეს ბიზნესს, რადგან პრეზიდენტი იუშჩენკო აპირებს, მკაცრად გამიჯნოს ერთმანეთისგან ბიზნესი და ხელისუფლება.

**კომენტარი:**

**ნიკოლოზ კულჩინსკი, სახალხო დეპუტატი (ფრაქცია „ნაშა უკრაინა“):** „გარწმუნებთ, რომ დავით ქვანიას შეუძლია გაართვას თავი უფრო რთულ პოსტზე მუშაობასაც კი. მას გააჩნია ამისთვის საჭირო ორგანიზატორული უნარ-ჩვევები. იგი მშვიდი და, ამავდროულად საკმაოდ გაბედული ადამიანია. უნდა ითქვას, რომ ბევრ პოლიტიკოსს არ აქვს ასეთი კომუნიკაბელური ნიჭი. ქვანიას ზურგს უმაგრებს დიდ ბიზნესში მუშაობის გამოცდილება. ამ ადამიანის სიტყვას ყოველთვის მოჰყვება ხოლმე საქმე.

ვფიქრობ, რომ იგი ძალზე მალე ჩაწვდება ახალ ადგილზე წამოჭრილ ყველა პრობლემას და შეძლებს საკადრო საკითხების გადაწყვეტას“.

**სერგეი სლეძი,**
**„ზერკალო ნედელი“**
**(უკრაინა).**

პრობლემა

# მოგვხედეთ!

## ქუთაისელი მრავალშვილიანი დედების მიმართვა ხელისუფლებისადმი

**ქართველი ერის გამრავლების, შესაბამისად, ქვეყნის სიძლიერის პრობლემა, ოდითგანვე მრავალშვილიანი ოჯახების ზურგზე წყდებოდა.**

**21-ე საუკუნეშიც ჩვენ სრულფასოვანი და ცივილიზებული მოქალაქეები უნდა აღვუზარდოთ სამშობლოს, მაგრამ დღევანდელ პირობებში მოვახერხებთ კი ამას?**

უმძიმესმა სოციალურ-ეკონომიკურმა ყოფამ, რომელიც ქვეყნის ადრინდელმა ხელისუფლებამ თავის ხალხს მოუტანა, ყველაზე მძიმე დაღი ქართველ მრავალშვილიან დედებს, მათ ოჯახებს გვარგუნა. სამსახურის, ხელფასისა და სტაბილური შემოსავლის უქონლობამ წელში გატეხა და ლუკმაპურის მაძიებლებად გადააქცია მრავალშვილიანი ოჯახების შემქმნელნი და მარჩენალნი.

ოჯახის მამები საცოდავ, ხელგაშვერილ მათხოვრებად იქცნენ, ხოლო მრავალშვილიანი დედები, — ნევროზიან ავადმყოფებად... სრულიად იგნორირებულნი, შეურაცხყოფილნი და დამცირებულნი ვართ. დღეს ჩვენ აღარ გვჯერა აღარც მომავლისა და აღარც ხელისუფლებისა, რადგან, ჩვენი შვილებისა და ჩვენი ოჯახებისთვის სასიკეთო ძვრებს, ჯერჯერობით, ვერაფერს ვხედავთ. გვპირდებიან მრავალს, შედეგები კი არ ჩანს. ქუთაისელი მრავალშვილიანი ოჯახების 50-60 პროცენტი არასრულფასოვანი კვებისა და მედიკამენტების უქონლობის გამო, ტუბერკულოზითაა ავად! ბავშვებს შიათ და საჭმელს ვერ ვაძლევთ, ჩასაცმელი სჭირდებათ და ვერ ვაცმევთ, წიგნები და სწავლა სურთ და სასკოლო ნივთებს ვერ ვიძენთ, ავადდებიან და ავადმყოფებადვე რჩებიან, რადგანაც მედიკამენტების შეძენის საშუალება არა გვაქვს. ოჯახში რამდენი შვილიცაა, იმდენი პრობლემაა. რა უნდა ქნას მარტო ერთმა შრომისუნარიანმა მამამ, რითი არჩინოს შვილები, ზოგჯერ თავად უმუშევარმა! დედები ხომ თავიანთ არასრულწლოვან შვილებს არიან მიჯაჭვულები, მათ არც დრო და არც ენერგია აღარ რჩებათ იმისთვის, რომ სადმე რაიმე მოიპოვონ.

დღეს, განათლებულ და ცივილიზებულ მსოფლიოში, ცხოველთა უფლებების, „გადამფრენი ფრინველების“ დასაცავად ქმნიან კანონებს, ჩვენს ქვეყანაში კი უმწეო თაობის დასაცავად თითქმის არაფერი კეთდება. ქვეყნის ახალმა ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა შეიმუშაოს რაღაც მექანიზმი მრავალშვილიანი დედების დასახმარებლად, რადგან ის პერმანენტული დახმარებები, რომლებიც მრავალშვილიან ოჯახებს გვეძლევა, არ არის საკმარისი ჩვენი პრობლემების მოსაგვარებლად. ძნელია წელიწადში ერთხელ მოცემული ერთჯერადი დახმარების იმედად დედამ ერის გამრავლებაზე და შვილების რჩენაზე იფიქროს. თუკი ყოფილმა ხელისუფლებამ 22-ლარიანი დახმარებები დაუნიშნა მარტოხელებს, ხშირ შემთხვევაში ახალგაზრდებსა და ჯანმრთელებს, რომელთაც ხელიც ერჩით, გონებაც უჭრით, უმრავლესობა მუშაობს კიდეც, რატომ არ გვეხმარებიან მრავალშვილიან დედებს, რომლებსაც სახლში ხუთი ან შვიდი სასკოლო და სკოლამდელი ასაკის მოზარდი გვყავს? ეს ხომ აუხსნელი სოციალური ანომალიაა?

დედებს უკანასკნელი ნივთები გაგვაქვს სახლიდან, შვილებს საჭმელი რომ ვაჭამოთ. გასულ წელს ქუთაისის ბიუჯეტიდან მრავალშვილიანთა პრობლემების მოსაგვარებლად 50 ათასი მანეთი გამოიყო. წლეულს — 60 ათასი. ეს თანხა, ძირითადად, ახლადშეძენილ შვილებზე ნაწილდება და ნისლივით ქრება, რადგანაც ამ პერმანენტული დახმარებებით არც ერთი მრავალშვილიანი ოჯახის ელემენტარული პირობები არ უმჯობესდება.



ნიკო ფიროსმანი: „უშვილო მილიონერი და ღატაკი მრავალშვილიანი“.

**ჩვენი პრობლემები კი სასწრაფოდ ითხოვს რეაგირებას.**

დღეს საქართველოში პოზიციური ძვრები აშკარად შეინიშნება. ჩვენ კი ისევ ძველებურად გვიჭირს. თუკი ამჟამინდელ ხელისუფლებას სურს, რომ გადამწყვეტი ღონისძიებები გაატაროს მრავალშვილიანი ოჯახების გადასარჩენად, კონკრეტულად კი ქუთაისელ დედათა დასახმარებლად, პრეზიდენტის, პარლამენტის, აღმასრულებელი ხელისუფლებისგან სამართლიანად მოვითხოვთ შემდეგს:

**მრავალშვილიანი ოჯახები გავთავისუფლდეთ კომუნალური გადასახადებისგან, რათა შეღავათი გაგვეწიოს საოჯახო ბიუჯეტში, რომლის უზრუნველყოფაც მთავრობას არ შეუძლია;**

**შეიქმნას მერიებში, გამგეობებში სპეციალური სამსახურები — „მრავალშვილიან დედათა საკოორდინაციო საბჭო“, რომელთა თანამშრომლებად შეირჩევიან მრავალშვილიანი, განათლებული, მრავალჭირგადანახადი დედები, რადგანაც მერიის (გამგეობების) სოციალური დაცვის სამსახურის თანამშრომლები ვერასოდეს შეძლებენ მრავალშვილიანი დედის გასაჭირის გათავისებას, რადგანაც ჩვენი პრობლემები განიხილება სოციალურად დაუცველი სხვა ფენების წარმომადგენლებთან ერთად.**

**მრავალშვილიანი ოჯახების მამები (ზოგჯერ — დედებიც!) დაასაქმონ მაღალანაზღაურებად სამსახურებში ან მოგვეცეს ყოველთვიური შემწეობა არასრულწლოვან შვილებზე, თითოეულზე მინიმუმ 20 ლარის ოდენობით, რათა შევძლოთ არსებობა და ოჯახების ნგრევის შეჩერება.**

**გამოიყოს კრედიტები ან მცირე სამეწარმეო ბიზნეს-სესხები ჩვენი ოჯახების მატერიალური დონის განსამტკიცებლად და ასამაღლებლად.**

**მოგვარდეს უბინაოთა და მცირეფართიანთა საბინაო პრობლემები.**

**შეიქმნას სპეციალური განყოფილება რომელიმე დიდ პოლიკლინიკაში, პოლისებით მრავალშვილიანი დედების უფასო სამედიცინო მომსახურებისთვის.**

ყველა ეს მოთხოვნა საიმისოდაა გათვალისწინებული, რომ ქართველმა დედამ საკუთარი თავი ქვეყნის დამსახურებულ მოამაგედ იგრძნოს და არა სოციალურად დაჩაგრულმა და გასაცოდავებულმა არსებამ, როგორსაც დღეს წარმოვადგენთ.

**მრავალშვილიან ქუთაისელ დედათა სახელით: ნ. ბურჯიძე — 4 შვილის დედა; ე. გამყრელიძე — 4 შვილის დედა; თ. ჭეიშვილი — 6 შვილის დედა; ლ. ღიღბარიძე — 5 შვილის დედა; ლ. ფხაკაძე — 5 შვილის დედა; ე. კუპატაძე — 5 შვილის დედა; ც. ენუქიძე — 4 შვილის დედა; უ. გამეზარდაშვილი — 4 შვილის დედა; მ. ნიშნიანიძე — 7 შვილის დედა; მ. მინდიაშვილი — 5 შვილის დედა; მ. ჩხეტიანი — 5 შვილის დედა; ნ. ჯანგველაძე — 4 შვილის დედა და სხვა. სულ 25 ხელმოწერა.**

* * *

**ნომრის მორიგე რედაქტორისგან: ეს სულისშემძვრელი ბარათი ქუთაისიდან ერთ-ერთმა მრავალშვილიანმა დედამ გვაახლა. გამხდარი, სანთელივით ჩამოქნილი ოცდაათიოდე წლის ქალბატონი უკვე ხუთი შვილის დედა ლ. ფხაკაძე გამოდგა, ქუთაისში კარგად ცნობილი ფოტოხელოვანის ჯ. ფხაკაძის შვილი. თვითონაც შვიდშვილიან ოჯახში გაზრდილა და კარგად იცის რას ნიშნავს გაჭირვება, წარმოუდგენელი სიღარიბე და სახელმწიფოსგან უყურადღებობა. არადა, სხვა მრავალ პრობლემათაგან ეს ეროვნული, მართლაც პატრიოტული საკითხი თუ პრიორიტეტად არ გამოვაცხადეთ და მრავალშვილიან დედებს რეალურად არ დავეხმარეთ, შთამომავლობა დაგვწყევლის.**

**დარწმუნებული ვარ, რომ დღევანდელი ხელისუფლება, განსაკუთრებით ქუთაისელთა მაჟორიტარი დეპუტატი, პარლამენტის თავმჯდომარე, ორი ვაჟკაცის დედა ნინო ბურჯანაძე პრაქტიკულად გადაწყვეტს ამ გლობალურ, სახელმწიფოებრივ პრობლემას.**

**სპარტაკ ქოზულია.**

ინფორმაცია

### ფოთში მკვლელობა მოხდა

**გუშინწინ, ღამით ფოთში, მეშვიდე კილომეტრის დასახლებაში მკვლელობა მოხდა. დაუდგენელმა პირებმა საკუთარ სახლში ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით ჩაცხრილეს ლუბა მირცხულავა.**

**სამართალდამცველები მომხდართან დაკავშირებით ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებენ. ამ წუთებში ისინი შემთხვევის ადგილს ათვალიერებენ, მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები.**

**მომხდარის ერთ-ერთ არაოფიციალურ ვერსიად ძარცვის მცდელობა სახელდება.**

**ლუბა მირცხულავა ფოთის №11 საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი იყო.**

### მამუკა ჯინჭარაძეს „სახალხო ბანკთან“ არაფერი აკავშირებდა

**მოსკოვში მოკლულ ქართველ ბიზნესმენს მამუკა ჯინჭარაძეს „სახალხო ბანკთან“ არაფერი აკავშირებდა. ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე „სახალხო ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა გიორგი გოგუაძემ განაცხადა.**

**მისი თქმით, ქართული საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა მცდარი ინფორმაცია, თითქოს მამუკა ჯინჭარაძე ბანკის აქციონერი იყო.**

**„ეს ინფორმაცია არ არის ზუსტი, რადგან მამუკა ჯინჭარაძე ბანკის აქციონერად 2003 წლის 15 ოქტომბრამდე ირიცხებოდა, 15 ოქტომბრიდან კი მან თავისი აქციები გაასხვისა. არსებობს დამოუკიდებელი რეგისტრატორის ცნობა, რომლითაც ეს ინფორმაცია დასტურდება“, — განაცხადა გოგუაძემ.**

**მისი თქმით, ამჟამად „სახალხო ბანკის“ 1200 აქციონერს შორის აქციების 19 პროცენტს მამუკა ჯინჭარაძის ყოფილი მეუღლე ირინა ჯინჭარაძე ფლობს, რომელიც ამავდროულად ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა.**

**მამუკა ჯინჭარაძე 2003 წლის 15 ოქტომბრამდე „სახალხო ბანკის“ აქციათა 12 პროცენტის მფლობელი იყო. როგორც ბანკის პრეზიდენტი გიორგი გოგუაძე აცხადებს, მოსკოვში მომხდარმა მკვლელობამ არ შეიძლება, ბანკს ფუნქციონირებაში პრობლემები შეუქმნას, ამიტომ მუშაობა ჩვეულებრივ გაგრძელდება.**



### კონკურსი შიდა ქართლის საეთერო მაუწყებლობაზე

**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შიდა ქართლში საეთერო ტელემაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად კონკურსი გამოაცხადა.**

**რადიოს დაფარვის ზონა მცხეთის, კასპის, გორის, ხაშურის, ქარელის, ცხინვალის, ჯავის, ახალგორის, დუშეთის და ყაზბეგის რაიონები იქნება. კომისიამ სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა 34 382 ლარით განსაზღვრა.**

**კონკურსი მიმდინარე წლის 15 აპრილს გაიმართება, განცხადებების წარდგენის ვადა კი 24 თებერვალს, 17 საათზე იწურება.**

**შიდა ქართლის სამაუწყებლო ზონაში საეთერო ტელემაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას გასული წლის ბოლოს მოქალაქე დავით კაკაურიძემ მიმართა.**

### შიდსით ინფიცირებული ბავშვი

**შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ეროვნულ ცენტრში იანვარში შიდსით ინფიცირებული ბავშვი აღირიცხა.**

**როგორც „ინტერ-პრესს“ ცენტრში განუცხადეს, 4 წლის გოგონა დედისგან დაინფიცირდა. დედამისი გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა. ბავშვს ამჟამად ცენტრში იმუნოლოგიური გამოკვლევა უტარდება, რის შემდეგაც მას შესაბამისი მკურნალობის კურსი დაენიშნება.**

**იანვარში შიდსის ცენტრში აივ-ინფექცია შიდსის სულ 13 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა. ინფიცირებულთაგან 4 ქალია, 9 — მამაკაცი. მათგან 4 ინტრავენური ნარკომანია. ინფიცირებულები თბილისიდან, ბათუმიდან, ზუგდიდიდან, წყალტუბოდან, ოზურგეთიდან და სხვა რაიონებიდან არიან.**

**აივ/ინფექცია შიდსის პირველი შემთხვევის (1989) გამოვლენიდან დღემდე საქართველოში 652 შემთხვევაა რეგისტრირებული.**

### ზუგდიდელი ექიმები გაიფიცნენ

**ზუგდიდის მრავალპროფილიანი საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალმა სახელფასო დავალიანების დაფარვის მოთხოვნით დღეს გამაფრთხილებელი საპროტესტო აქცია გამართა.**

**აქციის მონაწილეთა განცხადებით, მათ სამი თვის ხელფასი არ მიუღიათ და თუ პრობლემა დღესვე არ მოგვარდება, ხვალიდან მედპერსონალი პაციენტების მიღებას შეწყვეტს.**

**დაახლოებით 100-კაციანი სამედიცინო კოლექტივი მრავალპროფილიანი საავადმყოფოს შემადგენლობაში მას შემდეგ დარჩა, რაც რეორგანიზაცია განხორციელდა და საავადმყოფოს ახალ დირექტორად ქირურგიული განყოფილების ყოფილი უფროსი როლანდ ახალაია დაინიშნა.**

**თავად ახალაია კომენტარს არ აკეთებს, ექიმები კი აცხადებენ, რომ 17 თვის სახელფასო დავალიანებაა გასასტუმრებელი, რომელიც ჯერ კიდევ საავადმყოფოს წინა ხელმძღვანელობის დროს დაგროვდა.**

### უახლოეს დღეებში ტემპერატურა კიდევ უფრო დაიკლებს

**უახლოესი დღეების განმავლობაში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ტემპერატურა კიდევ უფრო დაიკლებს.**

**როგორც „ინტერ-პრესს“ ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტში განუცხადეს, ტემპერატურის დაწევა ციმბირის ანტიციკლონმა განაპირობა, რომელმაც ციმბირიდან კასპიის ზღვისკენ გადმოინაცვლა და ამიერკავკასიაში შემოვიდა.**

**ამ კვირის განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველოში ტემპერატურა მინუს 7-გრადუსამდე დაეცემა, დასავლეთ საქართველოში კი მინუს 2 გრადუსამდე.**

**სინოპტიკოსთა ვარაუდით, ჰაერის ტემპერატურა მომავალი კვირიდან მოიმატებს.**

**ინტერ-პრესი.**

ფიქრი

# სიკვდილმა ჩამოიარა...

**ჯერაც არ მოსულიყო გონს გორი და შიდა ქართლის მხარე იმ შემაძრწუნებელი სტრესისგან, პირველი თებერვლის ტერორისტულ აქტს რომ მოჰყვა და სამი ადამიანის სიცოცხლე წაიღო, რომ ახალმა ელდამ გადაუარა საქართველოს: დაიღუპა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ზურაბ ქვანია.**

და მაინც, ვინ იყო ზურაბ ქვანია, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში მეტეორივით რომ შემოიჭრა, სულ რაღაც თხუთმეტიოდე წლის მანძილზე დიდი საქვეყნო საქმეები აკეთა და მეტეორივით დაიწვა, რომ ბნელი გაენათებინა, საქართველოს უახლეს ისტორიაში კვალი ნათელი დაეტოვებინა?

კითხულობ ჩვენი ქვეყნისა თუ უცხოელ სახელმწიფო მოღვაწეთა გამონათქვამებს, პრემიერ-მინისტრის საქმიანობის შეფასების სტრიქონებს და არამც და არამც არ გეჩვენება რაიმე პათეტიკური ან გაზვიადებულად ნათქვამი. ზურაბ ქვანია ფართო მასშტაბის სახელმწიფო მოღვაწედ წარმოგვიდგება. „ცნობილი პოლიტიკოსი და ჭეშმარიტი პატრიოტი“, „სამშობლოს ღირსეული შვილი“, „დიდი პიროვნება და ერისკაცი“, „დინამიური ლიდერი“, „დემოკრატიული რეფორმების მამოძრავებელი“...

ამ შეფასებას კი ყველა იცნობს, იგი ზურაბ ქვანიას ტრაგიკულად დაღუპვის პირველივე საათებში ითქვა: „სახელმწიფომ დაკარგა დიდი პატრიოტი, რომლის მთელი ცხოვრება ეძღვნებოდა ჩვენი ქვეყნის თავგადაკლულ და უანგარო სამსახურს. მე დავკარგე ჩემი ყველაზე ახლო მეგობარი, ყველაზე სანდო მრჩეველი, ყველაზე დიდი მოკავშირე“... — ასე გამოხატა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თავისი ოჯახისა და მთელი საქართველოს წუხილი ზურაბ ქვანიას გარდაცვალების გამო.

გლოვის დღეებში გამხნევების, თანადგომის, თანაგრძნობის ასობით დეპეშა მოდიოდა საწარმოებიდან, ორგანიზაციებიდან, მოქალაქეებისგან, საქართველოს მეგობარი ქვეყნებიდან. ერთ დეპეშაზე შევჩერდები. შეიძლება ვინმემ ჩათვალოს, რომ იგი არ ესადაგება ამ წერილის სევდიან სულისკვეთებას, მაგრამ განა იყო დღე, საათი ან წუთი, როცა ზურაბ ქვანია ჩახმახივით არ იყო შემართული თავისი ქვეყნის ღირსებისა და სახელის დასაცავად? რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრზე სერგეი ლავროვსა და ზურაბ ქვანიას დაღუპვაში რუსეთის შესაძლო მონაწილეობის შესახებ საქართველოს პარლამენტის ზოგიერთი წევრის ბრალდებასთან დაკავშირებით მის რეაქციაზე მოგახსენებთ. „იმ პირთა მიერ გაკეთებული განცხადებები, რომლებიც ნაჩქარევად ცდილობენ პოლიტიკურად ანგაჟირებული დასკვნების გამოტანას, მათს სინდისზე იყოს“, — განაცხადა განაწყენებულმა სერგეი ლავროვმა.

მახსენდება ჩრდილოეთ ოსეთში ბესლანის № 1 საშუალო სკოლაში განხორციელებული ტერაქტი, რომელიც ტრაგიკული შედეგებით დამთავრდა. სკოლიდან საკაცეებით დაჭრილ-დახოცილები ჯერ ისევ გამოჰყავდათ, ცეცხლმოდებულ შენობას ჯერ ისევ ასდიოდა კვამლი, რომ რუსეთის ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლები მთელი მსოფლიოს გასაგონად ცრუ განცხადებებს აკეთებდნენ ბესლანის ტერაქტში „ქართული კვალის“ აღმოჩენის შესახებ.



რა თქმა უნდა, ასეთი კვალის არსებობა დღემდე ვერავინ დაამტკიცა, თუმცა საქმეს დღესაც რუსეთის ფედერაციის საუკეთესო გამომძიებლები იძიებენ. ვერც დაამტკიცებენ. მაშ, რა უნდოდათ ცილისმწამებლებს? ქართველებისა და ოსების ახალი ძალით ერთმანეთზე გადაკიდება. „წაჰკიდე და იხეირე“, — ეს რუსული საგარეო პოლიტიკის ანაბანაა და ყოველთვის სარგებელი მოაქვს რუსეთისთვის. საინტერესო კია, მაგრამ ამ ხრიკმა ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიაში არანაირად არ იმუშავა. ეს ცილისმწამებლური განცხადება იმდენად აბსურდული იყო, რომ ოსებმა, ვის წასაქეზებლადაც ეს ითქვა, სერიოზულად არცკი აღიქვეს.

ვის სინდისზე იყოს ბესლანში გაკეთებული ეს „პოლიტიკურად ანგაჟირებული“ განცხადება? მით უმეტეს, რომ თურმე „მოსკოვს სურს საქართველოსთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება და განვითარება“.

მაპატიოს ზურაბის სულმა ამ გადახვევისთვის, მაგრამ მე მის სათაყვანებელ სამშობლოზე ვსაუბრობდი...

* * *

ბევრი შესაშური ადამიანური თვისებით იყო დაჯილდოებული ზურაბ ქვანია. მე მხოლოდ ერთ ასეთ — ადამიანებთან მისეულ დამოკიდებულებაზე ვიტყვი ორიოდ სიტყვას: განათლება, ფართო ერუდიცია, საუბრის თემაში ღრმად წვდომის უნარი, კომუნიკაბელობა და იუმორის გრძნობა ზურაბ ქვანიას საინტერესო და სასურველ მოსაუბრედ აქცევდა. მისთვის უცხო იყო პოზიორობა, „დაყენებული“ მიმიკითა და ხმის ტემბრით საუბარი.

სახელმწიფო კანცელარიაში ზურაბ ქვანიას კაბინეტისკენ მუდმივი მოძრაობა იყო — პოლიტიკოსები, ეკონომისტები, მინისტრები, ბიზნესმენები, ფინანსისტები, დიპლომატები, შინაური თუ გარეშე ხალხი, მაგრამ მისი გულისკენ მიმავალ ბილიკებსაც კარგად იცნობდნენ უბრალო და გაჭირვებული ადამიანები. როგორ არ ჰგავდა იგი იმ კაცუნა-ჩინოვნიკებს, „მოუცლელობის გამო“ რომ ვერ პოულობენ დროს რიგითი მოქალაქეების მისაღებად და მოსასმენად.

* * *

3 თებერვალს თბილისში გაიხსნა წარმომადგენლობითი საერთაშორისო კონფერენცია — „სამხრეთ კავკასია. XXI საუკუნის პრობლემები და პერსპექტივები“. ამ ფორუმს 32 ქვეყნის 120-ზე მეტი დელეგატი ესწრებოდა, მისი გამართვის იდეა ზურაბ ქვანიას ეკუთვნის და გახსნის დღეს იგი სიტყვითაც უნდა გამოსულიყო.

„ამ კონფერენციის გადაწყვეტილებები მომავალში საქართველოს გამოადგება“, — ამბობენ მისი მონაწილეები. ფორუმი ჯერ კიდევ მიმდინარეობდა, მისი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი კი კუბოში იწვა. ეს კონფერენცია ზურაბ ქვანიას უკანასკნელი ღონისძიება იყო, რომელიც „მომავალში საქართველოს გამოადგება“. ბუნებრივია, მეცნიერ-პოლიტოლოგების ამ საერთაშორისო შეკრებაზე ხშირად გაისმოდა მისი სახელი. ახალი პოლიტიკური ფორმაციის ლიდერი, დინჯი და ენერგიული, ფრთხილი და გაბედული — აი, ზურაბ ქვანიას პორტრეტი ყველაზე ძუნწი შტრიხებით კონფერენციის დელეგატების მიერ დახატული.

* * *

5 და 6 თებერვალი მთელ საქართველოში გლოვის დღედ გამოცხადდა. მიზეზიც ჰქონდა ქვეყანას: ზურაბ ქვანიასთან ერთად იმ ღამით მისი მეგობარი, ქვემო ქართლის მხარის გუბერნატორის მოადგილე რაულ უსუპოვიც დაიღუპა, 1 თებერვალს კი გორში მომხდარმა ტერაქტმა სამი ვაჟკაცი პოლიციელის — ვიცე-პოლკოვნიკ თამაზ იაკობიძის, ვიცე-პოლკოვნიკ სოსო მინდიაშვილის და კაპიტან გიორგი მთვარელიძის სიცოცხლე წაგვართვა.

რაულ უსუპოვი შაბათს თელავის რაიონის მშობლიურ სოფელში, ყარაჯალაში დაკრძალეს, თამაზ იაკობიძე, სოსო მინდიაშვილი და გიორგი მთვარელიძე კი გორში მიაბარეს მიწას. კვირას, თბილისში, დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში შესაფერი პატივის მიგებით, უცხოეთის ქვეყნების დელეგაციებისა და ათასობით თბილისელის თანდასწრებით დაიკრძალა საქართველოს დიდი ჭირისუფალი და მოჭირნახულე, 41 წლის ზურაბ ქვანია.

კუბო საფლავში ჩაუშვეს. მიწის ზევით კი — ყარაჯალაშიც, გორშიც, დიდუბის პანთეონშიც ცოცხალ ყვავილებთან ერთად ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა დარჩა. პასუხი ამ კითხვაზე ცოცხლებს სჭირდებათ, თორემ მიცვალებულები, როგორც მწერალი ამბობს, მხოლოდ ერთს გვთხოვენ — ხშირად მოვიგონოთ ისინი.

* * *

თებერვლის ცრიატი დღე იდგა — მოღრუბლული, თოვლიანი და ცივი. გააპატიოსნეს, მიწა მიაყარეს ზურაბ ქვანიას საფლავს. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ამ კაი ყმის სამარესთან მთელი საქართველო შეყრილიყო — შეკრულ-შეკავშირებული და ერთი მიმართულებით მზირალი.

საქართველომ ისწავლა გაერთიანება ტრაგედიაში, საქართველო გამარჯვებაშიც გაერთიანებას ისწავლის.

**გურამ ვაშაკიძე,**
**„სრ“ მიმომხილველი.**

⊙ გულის ბუხარი

# ფესვებს ვწყდებით?!

## მთლად ეგრეც არ არის საქმეო, გვამშვიდებს ახალგაზრდა მომღერალი და ლოტბარი გიორგი უშიკიშვილი

### პროტესტი

**გვწერენ, პროტესტს გამოთქვამენ მკითხველები, ახალმა წელმა ისე ჩაიარა, მრავალჟამიერი არ მოგვისმენია ტელეეკრანებიდანო, „შოუბიზნესზეა“ აგებული ქართული ტელევიზიების მუსიკალური პროგრამებიო... „მაყურებელი (თინეიჯერთა გამოკლებით) დანატრებულია ეროვნული დერიტით გამსჭვალულ ნაწარმოებებს, რაც, ჯერ კიდევ იმპერიული რუსეთის შემადგენლობაში ყოფნის დროს გვასულდგმულებდა. გავიხსენოთ: „დები იშხნელები“, „ჯანო ბაგრატიონის ჯაზი“ და „რერო“, „ფიროსმანი“, „ქართული ხმები“, „ცისფერი ტრიო“ და მათი სოლისტები. გვეამაყება დედამიწის თანამგზავრის მიერ სიმღერა „ჩაკრულოს“ გატანა კოსმოსურ სივრცეში!“.. — გვწერს მწერალი და ჟურნალისტი ზურამ შარაშიძე.**



ახლახან, გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილი ბატონი ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსიც სწორედ ჩვენი სწორუპოვარი ჰანგების მონატრებას ეძღვნება:

**„რა ეშმაკების**
**გავხდით ნათლული,**
**სად გაქრა სული,**
**სული ქართული.**
**გზა „კრიმანჭულის“**
**რომ ვერ განჭვრიტა,**
**მღერის ესტრადა —**
**კრინის მანჭვითა“...**

ჩემთვის, როგორც ჟურნალისტისთვის, არახალია ეს თემა. ამ სამიოდე წლის წინათ (კოსმოპოლიტები რომ ნელ-ნელა იკრებდნენ ძალას) ქართული ფოლკლორის ამაგდარ მოღვაწეს, სულმნათ კუკური ჭოხონელიძესაც ვესაუბრე ჩვენი ფოლკლორის პრობლემებზე.

მახსოვს, რა გაცხარებული იყო ბატონი კუკური, დაწყებით კლასებში ქართული სიმღერის გაკვეთილები გააუქმეს და, ერთი ვიცოდე, უკეთესს რას ასწავლიანო...

თუ რა როლს ასრულებს მშობლიური ჰანგი მოზარდის სულიერ ჩამოყალიბებაში, ეს საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ მაინც მოვიხმობ ერთ ნაწყვეტს ექიმისა და მომღერლის, პოპულარულ ანსამბლ „ჩიქოვანების ოჯახის“ დამაარსებლის ზურაბ ჩიქოვანის წერილიდან, რომელიც მან რედაქციას გამოუგზავნა:

„მკითხველს შევახსენებთ ბუმბერაზი მწერლის, პოეტისა და მოაზროვნის ვიქტორ ჰიუგოს გამონათქვამს, რომ ბავშვის აღზრდაში სამი ძირითადი რგოლია: „რიცხვის, სიტყვისა და ნოტის გრძნობა!“ ამ მრავლისმთქმელ პოსტულატში, ვფიქრობ, ნაგულისხმევია — რიცხვის (ანგარიშის ანუ არითმეტიკის) და სიტყვიერების (ენის) შესწავლასთან ერთად, მუსიკალური განათლების მიღების საჭიროებაც... აკი ჩვენი თანამემამულე, გამოჩენილი ფიზიოლოგი და ჰუმანისტი ივანე თარხნიშვილიც ყმაწვილთა სრულყოფილ მოქალაქედ აღზრდის მეთოდიკაში გადამწყვეტ როლს ხელოვნებას და, განსაკუთრებით, მუსიკას ანიჭებდა.

„მუსიკას, — აღნიშნავდა იგი, — შეაქვს ჰარმონიული წესრიგი ჩვენს გრძნობებში, იგი გვამაღლებს, გვასწავლის მშვენიერის შეგრძნებას და ამით გვაშორებს ადამიანთა ბუნებისათვის დამახასიათებელ უხეშ გამოვლინებებს: ეგოიზმს, შურს და სხვა მავნე თვისებებს! მუსიკისადმი ლტოლვა, მისი ზეშთაგონებული ძალისადმი რწმენა ქართველობას ოდითგანვე მოგვდევს და გვამხნევებს ჭირში თუ ლხინში... გავიხსენოთ ხალხური სიმღერა „მოუოხეთ ბატონებო“, მძიმე საყმაწვილო სენით („წითელა“, „ყივანახველა“, „ქუნთრუშა“) დაავადებულ ბავშვებს რომ უმღერდნენ, ნერვულ სისტემას უწყნარებდნენ და ამ გზით უადვილებდნენ ავადმყოფობის დაძლევას, ისევე როგორც პატრიოტული სულით დამუხტული ლექსები და სიმღერები გვამხნევებდა ჩვენი მოსპობის მსურველ მტრებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში“.

მადლობა ღმერთს, როგორც შევიტყვეთ, ზოგ სკოლაში (არა ყველგან) აღუდგენიათ ქართული სიმღერის გაკვეთილი.

ამას რა სჯობს!..

თუმცა (აკი, ჩვენი ავტორებიც წერენ) ეროვნული ფოლკლორის პოპულარიზაციის საქმეში უდიდესი როლის შესრულება შეუძლია ტელევიზორს — ამ „ჯადოსნურ ყუთს“, დღე და ღამ, დიდ-პატარა, თვალმოუცილებლად რომ მივჩერებივართ. ჩვენდა სავალალოდ, ქვეყნის ტელეკომპანიებმა (უფრო — კომერციულმა) ნელ-ნელა უარყვეს ის ფესვი, რაც საუკუნეების მანძილზე ქართველი კაცის სულსა და ზნეობას ასაზრდოებდა. გახშირდა პოპ-მუსიკა, გახშირდა უცხოური, რასაც, ძალიანაც რომ მოვინდომოთ, ვერ შევაკავებთ, მაგრამ, ხომ არსებობს რაღაც დოზა?! ხომ არსებობს, რაღაც ნორმა?! ნუთუ შეიძლება ყოველ ცისმარეს ჰამლეტ გონაშვილის ყელის სიღუღუნით, ანდა „ჩაკრულოს“ გუგუნით არ ხვდებოდეს დამარცხებული, რწმენადაკარგული, ნიჰილიზმმოჭარბებული ხალხის ქვეყანა?! მახსოვს, ბავშვობაში, საქართველოს რადიოთი გადმოსცემდნენ ხოლმე „სიმღერის გაკვეთილს“. მთელი ნახევარი საათი სულგანაბული ვუსმენდით ჩვენი ცნობილი ლოტბარების საუბრებს ხალხური სიმღერების თანხლებით. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი, თემურ ქევხიშვილისა და „მის ბიჭებს“ საკმაო დროს უთმობდა სიმღერის გაკვეთილისთვის. ჰოდა, დავიჯეროთ, რომ ახლადშექმნილ საზოგადოებრივ ტელევიზიას ასე ძვირი დაუჯდება დღეს ხალხური სიმღერის გაკვეთილების ჩატარება?!

ნუთუ კომერცია პატრიოტულმა სულისკვეთებამ არ უნდა გადასძალოს?!

### იმედი

იმედი ჩამისახა ახალგაზრდა მომღერალთან და ლოტბართან, ფოლკლორულ ანსამბლ „ლაშარის“ ხელმძღვანელ გიორგი უშიკიშვილთან შეხვედრამ.

თავს ნებას მივცემ ვთქვა, რომ გიორგი უშიკიშვილი და ანსამბლ „ლაშარის“ წევრები ჩემი მეგობრები არიან. ამ ნიჭიერი ბიჭების თითქმის ყოველი მნიშვნელოვანი გამოსვლა და საგასტროლო ტურნე ჩვენი გაზეთის ფურცლებზეა აღნუსხული. მახარებს მათი ძიება, საუკუნეებში მიკარგული ჩვენი უძვირფასესი მელოდიების აღმოჩენისა და აღდგენის სურვილი. მერედა, როგორ საუბრობს გიორგი, ეროვნული ფოლკლორისადმი რა ფანატიკური სიყვარული იგრძნობა მის ყოველ ფრაზაში. **საგულისხმოა, რომ იგი, ახლახან, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორად დანიშნეს. ეს უწყება ხალხური შემოქმედების სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის მაგიერ შეიქმნა საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიასა და კულტურის სამინისტროს ინიციატივით.**

**— მთლად ეგრეც არ არის საქმე, — გვამშვიდებს გიორგი უშიკიშვილი, — მართალია, კერძო ტელეკომპანიები, ძალიან ხშირად, კომერციული თვალსაზრისით, უცხოურ მუსიკალურ „ჰიტებს“ ატრიალებენ და თუ იქ ვინმე მამულიშვილურად მოაზროვნე არ ზის, ჩვენი „სამუზეუმო სიმღერები“ (როგორც, ახლახან, ერთ-ერთ ტელეარხზე, თითქოსდა, ძალზე საპატივცემულო პერსონებმა ქართულ ფოლკლორს უწოდეს) ვის გაახსენდება, მაგრამ დიდი იმედი უნდა ვიქონიოთ ახლადშექმნილი საზოგადოებრივი ტელევიზიისა, რომლის ხელმძღვანელობას, კერძოდ, ბატონ ზაზა შენგელიას ახლახან შევხვდი და გავაცანი ფოლკლორის ცენტრის 2005 წლის გეგმა, რომელიც, საინტერესოდ გვეჩვენება: ჩვენ სულ მალე უნდა დავიწყოთ პროექტი — „XXI საუკუნის ოქროს ფონდი“, რომლის თანაორგანიზატორი იქნება საზოგადოებრივი ტელევიზია და, რაც ძალზე სერიოზულ ღონისძიებებს ითვალისწინებს. მაგალითად: შეიქმნება ქართული ფოლკლორის ინტერნეტგვერდი, საქართველოს ყველა კუთხეში გაიმართება ხალხური მუსიკის კონცერტები, იქვე, ცნობილი ლოტბარები და მომღერლები ჩაატარებენ მასტერ-კლასებს, ისაუბრებენ ეროვნული ფოლკლორის მნიშვნელობაზე, მომზადდება კლიპები ქართული ფოლკლორის ამაგდარ ადამიანებზე, თვეში ერთხელ ეთერში გავა 25-წუთიანი გადაცემა, სადაც 10 წუთი დაეთმობა იმას, თუ რა გააკეთა ცენტრმა გასული ერთი თვის განმავლობაში, მოვიწვევთ სტუმარს — ქართული კულტურის ცნობილ მოღვაწეს, რომელიც ისაუბრებს ფოლკლორის მნიშვნელობაზე, მის სადღეისო პრობლემებზე, აქვე გადაიცემა სიუჟეტი რეგიონებში ფოლკლორისტთა საქმიანობაზე. ეს ყოველივე ისეთი ფორმით უნდა მივაწოდოთ მაყურებელს, რომ, უპირველესად, ახალგაზრდობა დაინტერესდეს. ამ გადაცემას წაიყვანს ანსამბლ „ლაშარის“ მომღერალი და მსახიობი ირაკლი ჩოლოყაშვილი.**

**ამ ზაფხულზე ცენტრი გეგმავს ძალზე მნიშვნელოვან ყოველწლიურ საერთაშორისო ფესტივალს — „დმანისი-2005“. ჩვენი იდეით, დმანისის ძველ ნაქალაქარში, სადაც არქეოლოგებმა ამ ცოტა ხნის წინათ, პირველი ევროპელების თავის ქალები აღმოაჩინეს, 5-6 დღის განმავლობაში „აშენდება“ პატარა ქალაქი, თავისი ღვინის სარდაფებით, გამოეფინება ცნობილ ქართველ მხატვართა ნამუშევრები, ხოლო თავად ფესტივალი უმასპინძლებს საზღვარგარეთის ქვეყნების (უფრო — ეგზოტიკური ქვეყნების) ფოლკლორულ ანსამბლებს. ყოველი დღე, ცხადია, დაიწყება საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხური ანსამბლის გამოსვლით...**

**ჩვენ კიდევ გვაქვს გეგმები, რომელთა შესახებაც დროულად გაიგებს ხოლმე თქვენი გაზეთის მკითხველი და ტელემაყურებელი.**

* * *

ხედავთ, ხალხო?!.. თურმე, არც მთლად წყალწაღებული ვყოფილვართ! სასიამოვნოა, რომ სწორედ ახალგაზრდობას (ვაი, რომ მცირე ნაწილს!) აქვს გადაწყვეტილი ჩვენი ფასდაუდებელი საგანძურის პატრონობა. თუმცა, საზოგადოების განგაშიც დროული და ყურადსაღებია: დღეს იმდენი ანტიეროვნული „გამოხდომების“, ზოგჯერ, გადაწყვეტილებების მოწმენი ვართ, ისე დაუდევრად ხელყოფენ ჩვენს სულიერებას, ისე მოგვეძალა და ჩვენც ისე ხარბად ვითვისებთ უცხოურ სუროგატს, რომ ერის უძველესი კულტურა თითქოს იჩქმალება კიდეც. არადა, თავისმოსაწონებლად რაღა დაგვრჩა? წინაპართაგან დანატოვარი კულტურა, ხელოვნება, ფოლკლორი... ჰოდა, ემანდ, ფრთხილად, მამა-პაპის ფესვებს არ მოვწყდეთ!

**ვილენ მარდალეიშვილი.**

**სურათზე: ანსამბლი „ლაშარი“, ცენტრში — გიორგი უშიკიშვილი.**

⊙ ინფორმაცია

### ირინა სარიშვილის ვერსიით...

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას დაკრძალვიდან მეორე დღეს არასამთავრობო ორგანიზაციის „სახალხო დაცვის ლიგის“ ლიდერი ირინა სარიშვილი-ჭანტურია საგანგებო პრესკონფერენციას მართავს და პრემიერის დაღუპვის საკუთარ ვერსიებზე საუბრობს. იგი დარწმუნებულია, რომ ზურაბ ჟვანია მოკლულია და მისი მკვლელები ქვეყნის ხელისუფლებაში მყოფი „გარკვეული ავანტიურისტული ჯგუფის წარმომადგენლები არიან“. თუმცა კონკრეტული პირების დასახელებისგან სარიშვილი-ჭანტურია თავს იკავებს.**

**პირველი, რაც „სახალხო დაცვის ლიგის“ თავმჯდომარეს საეჭვოდ ეჩვენება, ის ფაქტია, რომ ხელისუფლებამ პრემიერ-მინისტრის გარდაცვალებას პირველივე წუთებიდან უბედური შემთხვევა უწოდა. სარიშვილისთვის გაუგებარია, რატომ მიეცა ასეთი შეფასება პრემიერის დაღუპვას მაშინ, როცა ექსპერტიზა და გამოძიება ჯერ დასრულებული არ არის.**

**გარდა ამისა, მისი აზრით, საეჭვოა ამერიკის შეერთებული შტატების როლიც, რადგან მომხდარს სახელმწიფო დეპარტამენტმაც უბედური შემთხვევა უწოდა.**



**ირინა სარიშვილი-ჭანტურიას განცხადებით, „მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი საქართველოში დესტაბილიზაციით ყოველთვის იყო დაინტერესებული, ის ერთადერთი სახელმწიფოა, რომელიც მომხდართან დაკავშირებით ნაჩქარევ დასკვნებს არ აკეთებს“.**

**ამასთან, მისი აზრით, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რეალურად ვის მიერ იყო დაქირავებული ბინა, რომელშიც ცხედრები იპოვეს, რა კავშირი შეიძლება, ჰქონდეს ყოველივე ამას გორის 1 თებერვლის ტერაქტთან და არის თუ არა კავშირი ზურაბ ჟვანიას დაღუპვასა და ბიზნესმენ მამუკა ჯინჭარაძის მკვლელობას შორის.**

**კიდევ ერთი დეტალი, რომელიც ირინა სარიშვილი-ჭანტურიას აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია, არის ის, თუ რა სახეობის გაზით არის მოწამლული საქართველოს პრემიერ-მინისტრი. მისი შეფასებით, შეუძლებელია, ჩვეულებრივი, სამომხმარებლო გაზით ორი ჯანმრთელი ადამიანი მომენტალურად გარდაცვლილიყო.**

**ამასთან, მისი შეფასებით, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალება პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისთვის სერიოზული დარტყმაა და შესაძლოა, ეს ფაქტი მისი ხელისუფლების დასასრულის დასაწყისიც გახდეს. ამასთან, ირინა სარიშვილი-ჭანტურია არ გამორიცხავს, რომ ამ ფაქტის შემდეგ საქართველოში დიქტატურა დაიწყება და მკვლელობების სერია განხორციელდება.**

### თამაზ მაღლაკელიძეს თვალებახვეულს აწამებდნენ...

**უზენაეს სასამართლოში გუშინ „გაერთიანებული ქართული ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თანათავმჯდომარე თამაზ მაღლაკელიძე დაკითხეს. მან სასამართლოს საკუთარი გატაცების ფაქტთან დაკავშირებით ჩვენება მისცა.**

**როგორც მაღლაკელიძემ განაცხადა, 2003 წლის 5 დეკემბერს იგი იოსელიანის ქუჩიდან 10-მდე ნიღბიანმა პირმა გაიტაცა. გამტაცებლები თავდაპირველად გარკვეული ინფორმაციის მოპოვებას ცდილობდნენ, მოგვიანებით კი გამოსასყიდ თანხაზე — 200 ათას ამერიკულ დოლარზე შეთანხმდნენ.**

**როგორც დაზარალებულმა განმარტა, ტყვეობის პერიოდში მას ორმოში, არაადამიანურ პირობებში მიჯაჭვულს ამყოფებდნენ, რამდენჯერმე მასზე ფიზიკური და სიტყვიერი ზეწოლა განხორციელდა. მისივე თქმით, გატაცებიდან 38-ე დღეს სპეცოპერაციის შედეგად იგი გაათავისუფლეს.**

**როგორც მაღლაკელიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, 35 დღის განმავლობაში იგი თვალახვეული იმყოფებოდა და ამ პერიოდის განმავლობაში გამტაცებელთა სახეები არ უნახავს. აქედან გამომდინარე, მას დამნაშავეთა ცნობა მხოლოდ ხმის მიხედვით შეუძლია.**

**„გაერთიანებული ქართული ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თანათავმჯდომარის გატაცებასთან დაკავშირებით სამ პირს — გია ვაშაკიძეს, ელდარ გოგბერაშვილს და ბენიამინ სანებლიძეს ასამართლებენ. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში მათ საკმაოდ ხანგრძლივი პატიმრობა ემუქრებათ.**

### „კავკასიონი“ კვლავ ავარიულად გამოირთო

**გუშინ 13.25 საათზე ავარიულად გამოირთო 500-კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი „კავკასიონი“, რის გამოც რუსეთიდან საქართველოში ელექტროენერგიის იმპორტი შეწყდა.**

**როგორც „ინტერ-პრესს“ კომპანია „თელასში“ განუცხადეს, თბილისს 110 მეგავატის სიმძლავრე აკლია, რის გამოც შეზღუდულია დედაქალაქის გარეუბნების ენერგომომარაგება.**



**ავარიის მიზეზები ჯერჯერობით დგინდება. სავარაუდოდ, ავარია დიდთოვლობას უკავშირდება.**

**„კავკასიონის“ მეშვეობით საქართველოში პიკის საათებში — 360 მეგავატი, ხოლო დღის საათებში 250 მეგავატი სიმძლავრე შემოდიოდა. ამ წუთებში ელექტროენერგია არ მიეწოდება ვაკისა და საბურთალოს რაიონებსაც, თუმცა, ამის მიზეზი ქვესადგურ „საბურთალო 1“-ში არსებული ავარიაა.**

**ინტერ-პრესი.**

⊙ მემკვიდრეობა

# რაც ერთობლივი ძალისხმევით უნდა მოგვარდეს



**უცხოეთში დაცული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და მათზე ზრუნვა მეტად დელიკატური საკითხია და იგი სახელმწიფოებრივ მიდგომას საჭიროებს; ამასთანავე, უნდა განიხილებოდეს როგორც საერთო კულტურული მონაპოვარი.**

მდგომარეობა, რომელიც დღეისთვის თვალსაჩინოა, რბილად რომ ვთქვათ, არადამაკმაყოფილებელია. ის მცდელობები და ძალისხმევა, რასაც იჩენენ ცალკეული უწყებები, ფონდები თუ კერძო პირები, ხშირ შემთხვევაში ხელს უშლიან ამ მეტად საშური საქმის მოგვარებას, რადგანაც ადგილი აქვს უსისტემო, სტიქიურ ქმედებებს. რაც არ უნდა კეთილშობილური მიზნები ამოძრავებდეთ მათ (რაშიც ეჭვი არ მეპარება), სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ, ვიმეორებ, თუ ეს არ გახდება სახელმწიფო სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი საგანი. დღესდღეობით საერთაშორისო ორგანიზაციები თუ ნორმები იძლევა პრობლემის დადებითად გადაწყვეტის საშუალებას.

მხედველობაში მაქვს, როგორც საქართველოსა და სხვა სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებები, გაცვლითი პროგრამები და შეთანხმებები, ისე საერთაშორისო კონვენციები, კერძოდ:

1. ევროპის კულტურული კონვენცია (პარიზი — 1954 წ.);
2. ძეგლთა და ღირსშესანიშნაობათა დაცვისა და აღდგენის საერთაშორისო წესდება (1964 წ.);
3. მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია (პარიზი — 1972 წ.);
4. არქიტექტურული მემკვიდრეობის ევროპული ქარტია (ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტი) (ამსტერდამი — 1975 წ.);
5. საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ;
6. მაასტრიხტის ხელშეკრულება (1993 წ.);
7. შავი ზღვის ქვეყნების კონვენცია კულტურის, განათლების, მეცნიერების და ინფორმაციის დარგში თანამშრომლობის შესახებ (სტამბოლი — 1993 წ.);
8. ეუთოს კონვენცია მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ (1972 წ.) და სხვა.

ბედნიერება მქონდა, წლების განმავლობაში მემუშავა როგორც ისტორიულ დოკუმენტებზე (ვატიკანი), ისე უშუალო მონაწილე ვყოფილიყავი თურქეთის ტერიტორიაზე დაცული ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების შესწავლისა და მათი პერსპექტიული პროგრამის შემუშავებისა. ამდენად გაგიზიარებთ ჩემეულ მოსაზრებას, თუ როგორ მაქვს წარმოდგენილი საქართველოს როლი თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ისტორიულ ტაო-კლარჯეთში განფენილი ხუროთმოძღვრების ძეგლების გადარჩენის საქმეში (ტაო-კლარჯეთში, გარდა საკუთრივ ტაოსა და კლარჯეთისა, მოიაზრება შავშეთი, კოლა, არტაანი, ერუშეთი, სპერი, ფოცხოვის ხეობის ზედა ნაწილი და დასავლეთ ჯავახეთი, თორთუმი).

ამ საკითხთან დაკავშირებით ქართულ საზოგადოებაში ერთგვარი წუხილი შეინიშნება, რისი მიზეზიც ადგილობრივ თუ უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციები გახდა; მათში საუბარია იმ საფრთხეზე, რაც თურქეთში კაშხლების სისტემათა მშენებლობის შედეგად (რომელიც შეუქცევადი პროცესია) ჩვენს საერთო კულტურულ მემკვიდრეობას ემუქრება.

მოკრძალებულად მინდა ვუთხრა პუბლიკაციის ავტორებს, ობივატელზე გათვლილი სანტიმენტალური ფრაზებით ხშირად უხერხულ მდგომარეობაში ვვარდებით. ინფორმაციის სიმწირის გამო, ზოგჯერ, უსაფუძვლო აჟიოტაჟი ვნებს იმ საკითხების მოგვარებას, რომელიც დელიკატურია და ფაქიზ მიდგომას საჭიროებს. პრობლემა უნდა განვიხილოთ ერთიანი კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის კონტექსტში.

ვფიქრობ, კაშხლების მშენებლობასთან და მის მოსალოდნელ შედეგებთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობა გამართლებული იქნება მას შემდეგ, რაც გვექნება ქართველი და უცხოელი ექსპერტების დასკვნები.

თურქეთი უნიკალური ქვეყანაა. მის ტერიტორიაზე განლაგებულია უძველესი ცივილიზაციების, სხვადასხვა ხალხებისა თუ რელიგიურ აღმსარებლობათა კულტურული მონაპოვრები. ხეთური, რომაული, ბერძნული, ბიზანტიური, ბულგარული, ქართული, სომხური, წარმართული,



ქრისტიანული თუ საკუთრივ მაჰმადიანური, როგორც საკულტო, ისე სხვა დანიშნულების მატერიალური კულტურის ძეგლები. ყველაფერ ამას იცავს თურქეთის კანონი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს მოსახლეობის, უბრალო მოქალაქეთა შესაშური დამოკიდებულება ხსენებული ძეგლებისადმი. ცხადია, ხშირ შემთხვევაში ეს გახლავთ უტილიტარული მიდგომა, რადგან ძეგლთან შექმნილი ინფრასტრუქტურა მრავალი ოჯახის საარსებო საშუალებაა. მაგრამ, როგორ უნდა შეფასდეს მივარდნილ, მაღალმთიან, მიუდგომელ სოფლებში, მხედველობაში გვაქვს ისტორიული ტაო-კლარჯეთი, მცხოვრებთა კეთილი ნება ტაძრების, შეძლების ფარგლებში, მოვლის საქმეში.

დიდი გულისტკივილით უნდა მოგახსენოთ სამწუხარო ფაქტიც — 60-იან წლებში ეთნიკურ კონფლიქტებს შეეწირა ოპიზის და ტბეთის უდიდესი ნაწილი, როცა ქართული ტაძრები შეცდომით მიაკუთვნეს გრიგორიანულს.

მიზანშეწონილად მიმაჩნია ამ კონტექსტში გავიხსენო ერთი ამბავი ოსმალეთის ისტორიიდან.

1452 წლის ნოემბერში, ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღებამდე რამდენიმე თვით ადრე, იმპერატორ კონსტანტინეს დახმარების სანაცვლოდ, რომის პაპმა მოსთხოვა კათოლიკურ და მართლმადიდებელ ეკლესიათა უნიის ბოლომდე გატარება (1439 წელს ფლორენციის საერთაშორისო საეკლესიო კრებაზე ბიზანტიის იმპერატორმა იოანე VIII პოლიტიკური მოსაზრებებით ხელი მოაწერა კათოლიკურ და მართლმადიდებელ ეკლესიათა გაერთიანებას), რაც ცხადია, მასებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა; მათ დახმარებისთვის მიმართეს ბერად აღკვეცილ გიორგი სქოლარს, რომელიც ალყაშემორტყმულ კონსტანტინოპოლში ამხედრებდა ხალხს იმპერატორისა და ეკლესიათა გაერთიანების მომხრეთა წინააღმდეგ.

სულთანმა ფათიჰ მეჰმედ II (დამპყრობელი) კონსტანტინოპოლი აიღო.

გამოხდა ხანი და მეჰმედ II შეხვდა გიორგი სქოლარს, აწ უკვე პატრიარქ გენადი II, უწყალობა მიწები ქალაქის საუკეთესო ადგილას, აღუთქვა ყველანაირი დახმარება.

როგორც არ უნდა აღვიქვათ მუსლიმი სულთნის ეს მოქმედება, რელიგიურ შემწყნარებლობად, ტოლერანტობად თუ შეპირობებულად პოლიტიკური მოსაზრებებით, ფაქტი რჩება ფაქტად და მსოფლიო მართლმადიდებლური საპატრიარქო მუსლიმურ ქვეყანაში არსებობას განაგრძობს!

ცნობილი ფაქტია, რომ ტურიზმმა, როგორც აღიარებულმა ინდუსტრიამ, არაერთი ქვეყანა გამოიყვანა უკიდურესი ეკონომიკური კრიზისიდან.

არსებობს სხვადასხვა სახის ტურიზმი შესაბამისი ინფრასტრუქტურით, რომლის გარეშეც ძნელი წარმოსადგენია მისი განვითარება. ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში უპირველესი, რაც უნდა გაკეთდეს ორივე ქვეყნის ხელშეწყობით, ეს არის ე. წ. კულტურული ტურიზმის დანერგვა, რომელიც არსებითად განსხვავდება სხვა სახის ტურიზმისგან. იგი თავისებურ მოთხოვნებს უყენებს მოგზაურებს, რისი დაცვაც სავალდებულოა.

2002 წელს ანკარაში გაიმართა ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში ტურიზმის განვითარებისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი; მასში მონაწილეობდნენ როგორც პრაქტიკოსი, ისე მეცნიერი სპეციალისტები. მათ მიერ შემოთავაზებული კონცეფციები ჩვენთვის საინტერესო საკითხს სასიკეთოდ წაადგება.

უკანასკნელ წლებში რამდენჯერმე გამოიცა (თურქულ და ინგლისურ ენებზე) წიგნი-გზამკვლევი, რომლის ავტორები არიან სომეხი ეროვნების თურქეთის მოქალაქეები სევან და მუჟდე ნიშანიანები. წიგნის ავტორები უდიდეს ადგილს უთმობენ თურქეთის შემადგენლობაში შემავალ ისტორიულ ქართულ ტერიტორიებს. წარმოჩენილია ქართული ძეგლები, სოფლები, სადაც საუბრობენ ქართულ და ლაზურ ენებზე, მოთხრობილია ტაო-კლარჯეთის სამეფოსა და ბაგრატიონთა დინასტიის ისტორია. ყველაფერი განხილულია ობიექტურად და საქართველოს მიმართ უაღრესი კეთილგანწყობით.

აქვე უნდა გავიხსენოთ მოსკოვში სომეხი და რუსი მეცნიერების მიერ გამოცემული „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ III ტომი, სადაც ქართული ძეგლები წარმოდგენილია როგორც სომხური.

ტურიზმი, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას, რისი შესანიშნავი მაგალითებიც თურქეთში მრავლად მოიპოვება. ყოველივე ამისთვის საჭიროა ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები მოექცეს ევროპის შესაბამისი სტრუქტურების ინტერესებში.

თურქეთში კულტურული მემკვიდრეობის დაცვას ქვეყნის შიგნით აწესრიგებს კულტურისა და ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვის შესახებ მიღებული № 2863 კანონი (მოქმედებს 1983 წლიდან). ამ საკითხებში საერთაშორისო აქტები ევროსაბჭოსა და იუნესკოსთან თანამშრომლობით წარიმართება.

საგულისხმოა, რომ კულტურული მემკვიდრობის დაცვასთან დაკავშირებით მიღებულია საერთაშორისო კონვენციები და ხელშეკრულებები, რაც ითვალისწინებს ძეგლების სავალდებულო და იძულებით დაცვასა და შენარჩუნებას. ამ დოკუმენტების მიხედვით დაცვა და კონსერვაცია ნებაყოფლობითი ღონისძიებაა.

შესაბამისი საერთაშორისო კონვენციებია:

1. (ევროსაბჭო) ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია (03.10.1985 გრანადა), ძალაში შევიდა 01.12.1987;
2. (ევროსაბჭო) ევროპის არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია (16.01.1992 ლა ვალეტა), ძალაში შევიდა 25.05.1995.
3. (იუნესკო) მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია (23.11.1971 ნიუ-იორკი);
4. (იკომოსი) ძეგლებისა და ისტორიული ადგილების კონსერვაციისა და აღდგენის საერთაშორისო ქარტია (31.05.1964 ვენეცია).

ვფიქრობ, საქართველოსა და თურქეთის კულტურის სამინისტროებს შორის უნდა შედგეს თანამშრომლობის ოქმი უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თაობაზე, რაც დაეფუძნება ორი ქვეყნის მთავრობებს შორის გაფორმებულ შეთანხმებას კულტურის, განათლებისა და მეცნიერების სფეროებში თანამშრომლობის შესახებ.

ხელშეკრულების განხორციელებით ორივე მხარე ხელს შეუწყობს თავისი ვალდებულებების ხორცშესხმას ევროპის კულტურულ კონვენციასთან, ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციასთან და მსოფლიო ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ იუნესკოს კონვენციასთან მიმართებაში.

ოქმის თანახმად, ორივე მხარისთვის საინტერესო უძრავი კულტურული მემკვიდრეობა უნდა განიმარტოს როგორც ორივე ქვეყნის კულტურის უძრავი ნივთიერი მტკიცებულება მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე; იგი ასევე უნდა შეესაბამებოდეს ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციაში 1 მუხლის განსაზღვრებას.

მხარეები ითანამშრომლებენ უძრავი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დასადგენად (იდენტიფიკაციისთვის) კვლევის, ლოკალიზაციისა და ავთენტურობის დადგენის გზით.

მხარეები ერთმანეთს წარუდგენენ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდებარე მათთვის საინტერესო ობიექტების ნუსხას.

შედგება თანამშრომლობის პროგრამა, რომლითაც მხარეები შეთანხმდებიან, ჩაატარონ სამუშაოები ერთმანეთის ტერიტორიაზე განლაგებული კულტურული მემკვიდრეობის საიდენტიფიკაციოდ და დაცვის უზრუნველსაყოფად. ასევე ერთობლივად მოამზადებენ დოკუმენტაციას ობიექტების იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეტანის მიზნით.

ამისათვის, ვფიქრობ, საჭიროა შეიქმნას უცხოეთში დაცული ქართული კულტურული მემკვიდრეობის შემსწავლელი მეცნიერთა და სპეციალისტთა კოლეგია, რომელიც ვალდებული იქნება გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები და ითავოს კოორდინატორობა.

ასევე სასურველია შეიქმნას ერთობლივი თურქ და ქართველ მეცნიერთა ჯგუფები (ხელოვნებათმცოდნეები, ისტორიკოსები, ფილოლოგები, არქეოლოგები, ეთნოგრაფები, არქიტექტორები, რესტავრატორები, ეკოლოგები, სპეციალისტები ტურიზმის სფეროდან). მათ უნდა განახორციელონ ქართული ძეგლების სრული აღწერა, პასპორტიზაცია, რუკებზე დატანა, კლასიფიკაცია და ასე შემდეგ. უნდა დადგინდეს ტოპონიმები.

შემდეგი საფეხურია უცხოელი მეცნიერებისა და ექსპერტების მოწვევა; რომელთა დასკვნის საფუძველზე მოხდება იუნესკოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში მათი წარდგენა, განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება. დარწმუნებული ვარ, მნიშვნელოვანი ნაწილი შეფასდება როგორც კაცობრიობის მონაპოვარი!

საერთაშორისო, მიღებული ბერკეტები საშუალებას იძლევა ვიმოქმედოთ უკვე აპრობირებული, აღიარებული მეთოდებით. ამისთვის კი სურვილთან ერთად, უპირველესად სახელმწიფოებრივი მიდგომაა საჭირო, კერძოდ, მთავრობის ნება, რისი დიდი იმედიც მაქვს.

**ზურაბ გამეზარდაშვილი,**
**ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, დიპლომატი.**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოსა და უკრაინის ახალი ლიდერების მეშვეობით ევროკავშირი რუსეთის პოლიტიკურ იზოლაციაში მოქცევას ცდილობს

***საქართველოს და უკრაინის პრეზიდენტები — მიხეილ სააკაშვილი და ვიქტორ იუშჩენკო — გახდნენ ყველაზე ძვირფასი და სასურველი სტუმრები სტრასბურგში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე. ორივე ლიდერის გამოსვლების დროს არაერთხელ გაისმა ხმამაღალი ოვაციები, თანაც, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგატები ტაშის გრიალით აღნიშნავდნენ ოფიციალური მოსკოვის წინააღმდეგ ორატორების ყველაზე მწვავე გამოსვლებს. არსებითად, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მთელ სესიაზე და დასავლეთის პრესაში ამ ფორუმის გაშუქების დროს ძირითადი ყურადღება გაამახვილეს „პოსტსაბჭოური მოწინავე ახალგაზრდა დემოკრატიების" დაპირისპირებას „ბარბაროსულ და ველურ" რუსეთთან, ქვეყანასთან, რომელშიც პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის დიდი ძალისხმევით მიმდინარეობს „იმპერიული ტოტალიტარიზმის აღორძინება". ევროპელთა ჩანაფიქრით, რუსეთის წინააღმდეგ ძირითადი მებრძოლი უნდა გახდეს სააკაშვილ-იუშჩენკოს ტანდემი. ევროკავშირი ყოველმხრივ ახალისებს ახლადგამომცხვარი დემოკრატების ანტირუსულ შეფასებებს, და ფაქტობრივად იდეოლოგიურად ასაბუთებს ევროკავშირისგან მოსკოვის იზოლაციისა და ახალი „რკინის ფარდის" ჩამოშვების აუცილებლობას.***

ის, რომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომა გადაიქცა რუსეთის მორიგ საჯარო გაკიცხვა-გამათრახებად, ღონისძიების ორგანიზატორებს არ დაუმალავთ. თანაც, ყოველივე ეს საკმაოდ გონივრულად იყო დაგეგმილი. თავდაპირველად, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მოისმინა გერმანიის წარმომადგენლის საბინა ლოიტჰოიზერ-შნარენბერგერის მიერ მომზადებული მოხსენება „იუკოსის საქმის შესახებ", რომლის ავტორიც, ფაქტობრივად ხაზს უსვამს რუსეთის მართლმსაჯულების არალეგიტიმურობას, ამ ქვეყნის ხელისუფლებას კი ბრალად სდებს იუკოსის ხელმძღვანელი პირების დევნას პოლიტიკური მოტივით. სხვათა შორის, მოხსენების შედეგებისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე, რომელიც ქალბატონმა ლოიტჰოიზერ-შნარენბერგერმა დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელთან მალკოლმ ბრიუსთან ერთად გამართა, შესაბამისი პრაქტიკული დასკვნები გამოიტანეს: დასავლელმა ინვესტორებმა უნდა შეწყვიტონ ინვესტირება რუსეთში, ევროპელმა ლიდერებმა კი — გაყინონ თავიანთი ურთიერთობა მოსკოვთან და უფრო მტკიცედ მოახდინონ ზემოქმედება პრეზიდენტ პუტინზე. „დიახ, ბატონი პუტინი პოპულარულია რუსეთში, მაგრამ ეს ევროპის საბჭოს საქმე არ არის. ჩვენი აზრით, ბატონი პუტინი უცნაურად იქცევა", — განაცხადა ქალბატონმა ლოიტჰოიზერ-შნარენბერგერმა.

რუსეთის იზოლირებისთვის ამ ფაქტობრივი მოწოდების შემდეგ, სამშაბათს და ოთხშაბათს, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომებზე გამოვიდნენ უკრაინის და საქართველოს პრეზიდენტები. ეს ქვეყნები წარმოაჩინეს როგორც დემოკრატიის ეტალონი პოსტსაბჭოურ სივრცეში. ბატონმა იუშჩენკომ ილაპარაკა „ნარინჯისფერი რევოლუციის" მიღწევებზე, იმაზე, რომ უკრაინელი ხალხი მტკიცედ ერთგულობს დემოკრატიულ ღირებულებებს და ევროპული ინტეგრაციის კურსს. რაც შეეხება რუსეთს, უკრაინის ლიდერმა მაღალფარდოვნად განაცხადა, რომ „რუსეთი უკრაინისთვის უზარმაზარი ბაზარია". მომდევნო დღეს გამოსული მიხეილ სააკაშვილი დამსწრეთ მოევლინა არა მარტო უდიდესი დემოკრატის, არამედ მშვიდობისმყოფლის როლშიც, შესთავაზა რა სამხრეთ ოსეთს საქართველოს შემადგენლობაში შესვლა ფართო ავტონომიის უფლებებით. ამასთან, როგორც საქართველოს ლიდერმა აღნიშნა, ამ რეგიონში მშვიდობის დამყარებას მხოლოდ რუსეთის ხრიკები უშლის ხელს.



ევროპელები ძალზე კმაყოფილი დარჩნენ თავიანთი სტუმრების გამოსვლებით და მათ გულთბილი მიღება მოუწყვეს. იმას, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სააკაშვილსა და იუშჩენკოს ევროპელები, მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ „ვარდების და ნარინჯისფერი რევოლუციების" ლიდერებს წილად ხვდათ პატივი, ესადილათ ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან ტერი დევისთან და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარესთან რენე ვან დერ ლინდენთან ერთად. ამის პარალელურად, ევროპელთა ამერიკელმა პარტნიორებმა — დემოკრატმა-სენატორმა ჰილარი კლინტონმა და რესპუბლიკელმა ჯონ მაკკეინმა „საქართველოსა და უკრაინაში შესრულებული ისტორიული როლისთვის" მშვიდობის ნობელის პრემიის მოსაპოვებლად წარადგინეს სააკაშვილის და იუშჩენკოს კანდიდატურები.

რისთვის ჭირდებათ ევროპელებს ახალი „რკინის ფარდის" ჩამოშვება? ექსპერტთა აზრით, ამის მიზეზი, პრინციპში, ძალზე მარტივია. ყველა იმ პრობლემის მიუხედავად, რომელიც ასოცირებულია ქვეყნის ამჟამინდელ პოლიტიკურ რეჟიმთან (ეს, უწინარეს ყოვლისა, არის კორუფცია და ხელისუფლების ჩარევა ეკონომიკაში), პრეზიდენტ პუტინის დროს რუსეთმა შეძლო გამოენახა განვითარების, მართალია, ჯერჯერობით არასრულფასოვანი, მაგრამ მაინც გარკვეული ალგორითმი. ლატაკი, დაშლისპირას მყოფი, ყელამდე ვალებში ჩაფლული ქვეყნიდან რუსეთი იქცა სავსებით „ნორმალურ" სახელმწიფოდ თვით ევროპული საზომითაც კი. როგორც მოსკოვის „ПИР-центр"-ის ექსპერტი დიმიტრი ევსტაფიევი აღნიშნავს, ევროპამ რუსეთის მიმართ თავისი პოლიტიკა შეცვალა სწორედ მას შემდეგ, რაც ამ ქვეყნის ხელისუფლების სათავეში მოვიდა ვლადიმერ პუტინი. „ევროპისთვის სავსებით მისაღები ფიგურები იყვნენ მიხეილ გორბაჩოვი და ბორის ელცინი. ხოლო რაც შეეხება ხელისუფლების ცენტრალიზაციისთვის გამიზნულ პუტინისეულ კურსს, ამან ევროპელები დააშინა", — განაცხადა ბატონმა ევსტაფიევმა. რუსეთის განვითარების იმპულსის ჩასახშობად, ევროპელებმა გადაწყვიტეს იმოქმედონ ძველი სქემით — შექმნან რუსეთის ირგვლივ „არასტაბილურობის სარტყელი". ხოლო რუსეთის ხელისუფლების მომავალი კრიტიკოსებისთვის მეტი წონის მინიჭების მიზნით (სამართლიანობა მოითხოვს და უნდა აღინიშნოს, რომ ბატონები იუშჩენკო და სააკაშვილი თავიანთი პოლიტიკური წონით თვით პოლონეთის პრეზიდენტს ალექსანდრე კვასნევსკისაც კი ვერ უტოლდებიან), დაიწყეს მათი აქტიურად გამოყვანა „ხალხში" და სხვადასხვა ჯილდოების მინიჭება.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ღიმილს მოგვრის კაცს, თუმცა, არსებობს იმის რეალური საშიშროება, რომ გარეშე ძალების სულ უფრო მზარდი ზემოქმედების შედეგად, კრემლმა, შესაძლოა, „გარეშე მტრისთვის" ადეკვატური დარტყმების მიყენების ნაცვლად, კიდევ უფრო მკაცრ ზომებს მიმართოს ქვეყნის შიგნით, როგორც ეს ჩვენში ყოველთვის იყო მიღებული. და მაშინ, რუსეთის ოპონენტებს გაცილებით უფრო გაუადვილდებათ მსჯელობა ქვეყანაში ტოტალიტარიზმის აღორძინების შესახებ.

**მიხეილ ჩერნოვი.**
**BBC daily (რუსეთი).**

RBC daily

◉ ვინ მოკლა მამუკა ჯინჭარაძე?

# დეპუტატი პირველად ქილერმა იპოვა

**შაბათს, მოსკოვის დასავლეთ ნაწილში მოხდა გახმაურებული მკვლელობა, რომელსაც პოლიტიკური ელფერიც დასდევს. ქილერმა ჩაცხრილა მეწარმე მამუკა ჯინჭარაძე. სკანდალურად ცნობილი ბიზნესმენი ტიუმენის ოლქის ნიჟნევარტოვსკის საქალაქო სათათბიროს დეპუტატი იყო. ამ ადამიანმა, უწინარეს ყოვლისა, სახელი გაითქვა თავისი ექსტრავაგანტური ქცევით და განცხადებებით.**

როგორც „მოსკოვსკი კომსომოლეცმა" გაარკვია, გასულ შაბათს, 37 წლის პარლამენტარი ეწვია „ვორდ კლასის" სპორტულ კლუბს, რომელიც ვერნადსკის პროსპექტზე მდებარეობს. დაახლოებით 19 საათისთვის იგი გამოვიდა ფიტნეს-ცენტრიდან და გაემართა იქვე გაჩერებული შავი „მერსედესისკენ". როცა მამუკა ჩაჯდა მანქანაში, მას მიუახლოვდა უცნობი მამაკაცი, რომელმაც ამოიღო მაკაროვის სისტემის პისტოლეტი და ცეცხლი გაუხსნა დეპუტატს. ყოველივე ეს იმდენად მოულოდნელად მოხდა, რომ ჯინჭარაძემ რეაგირებაც კი ვერ მოასწრო. მკვლელმა ახლო მანძილიდან ესროლა მას შვიდი ტყვია (მათ შორის — საკონტროლო გასროლა თავის არეში), შემთხვევის ადგილზე დააგდო იარაღი და გაიქცა. მძიმე ჭრილობების მიუხედავად, მამუკა ჯინჭარაძემ კიდევ რამდენიმე ხანს იცოცხლა. იგი მანქანით გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც გარდაიცვალა გვიან ღამით. აღსანიშნავია, რომ მამუკას მკვლელობის ამბავმა დიდად არ გააკვირვა ნიჟნევარტოვსკელები. ადგილობრივ პარლამენტართა თქმით, დეპუტატის სტატუსის მიუხედავად, მამუკა ბოლო ორი წლის განმავლობაში ამ ქალაქში თითქმის არ გამოჩენილა.



მამუკა ჯინჭარაძე დაიბადა 1967 წელს ქალაქ ქობულეთში. დაამთავრა სოჭის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი. 1990-იანი წლების დამლევს მამუკამ ალექსანდრე პეტერმანთან ერთად დააარსა ფირმა „სლავტეკი" (ამ კომპანიას ეკუთვნის რამდენიმე სასურსათო მაღაზია, კვების მრეწველობის, სამშენებლო კომპლექსის საწარმოები). მაგრამ პარტნიორების ურთიერთობაში ბზარი გაჩნდა და ჯინჭარაძე დაითხოვეს ამ ორგანიზაციიდან. იგი გარკვეული დროით დაბრუნდა საქართველოში, სადაც მიჰყო ხელი სამეწარმეო საქმიანობასა და ქველმოქმედებას. მაგალითად, ბიზნესმენმა ადგილობრივ ტაძარს შეწირა შვიდმეტრიანი მოოქროვილი ჯვარი. გარდა ამისა, გასული წლის იანვარში ჯინჭარაძემ გაიღო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაციის ერაყში მოგზაურობის ხარჯები და თვითონაც ეწვია „ცხელ წერტილს". სხვათა შორის, მეწარმეს საკმაოდ სერიოზული კონფლიქტიც ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსთან, რადგან მამუკამ ერთხელ მოისურვა გასეირნება ამ უწყების კუთვნილი სასამსახურო ვერტმფრენით და დაამტვრია იგი, თუმცა, ზარალის ასანაზღაურებლად მილიონი დოლარი გადაიხადა.





ბიზნესის გარდა, ჯინჭარაძე პოლიტიკითაც აქტიურად იყო დაინტერესებული. იგი ერთბაშად რამდენიმე პროექტს წამოიწყებდა ხოლმე, თუმცა, საკმაოდ მალე უნელდებოდა ინტერესი მათ მიმართ. 2002 წელს, სათათბიროში ჯერ კიდევ აქტიურად მუშაობის დროს, მამუკამ გამოთქვა წინადადება ჩრდილოეთი ტერიტორიების მცხოვრებთათვის განკუთვნილი შეღავათების ნუსხის გაფართოების შესახებ. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, გასული წლის გაზაფხულზე, ჯინჭარაძემ სცადა შეესრულებინა შუამავლის როლი ცენტრალური ხელისუფლებისა და აჭარის ხელმძღვანელობის კონფლიქტის დროს. დეპუტატის საქმიანობას იმ მომენტისთვის იგი უკვე აღარ ეწეოდა. მაგრამ, 2004 წლის მაისში პარლამენტარი დაბრუნდა ნიჟნევარტოვსკში, მოიწვია პრესკონფერენცია, რომელზეც თავის ყოფილი პარტნიორი — პეტერმანი დაადანაშაულა იმაში, რომ იგი უკანონოდ ეწევა ბიზნესს და განახორციელა „ადგილობრივი მილიციის პრივატიზაცია". მაშინ პეტერმანმა, „სლავტეკის" ამჟამინდელმა მეთაურმა, აგრეთვე, ქალაქის შინაგან საქმეთა სამმართველოს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა სულეიმან ჰუსეინოვმა მამუკას წინააღმდეგ სასამართლოში აღძრეს სარჩელი და მოითხოვდნენ თავიანთი ღირსებისა და პატივის დაცვას. თემიდის მსახურებმა სარჩელი დააკმაყოფილეს გასული წლის დამლევს. განაჩენის თანახმად, დეპუტატს დაეკისრა ყოველი მოსარჩელისთვის 150-150 ათასი რუბლის გადახდა. გარდა ამისა, ადგილობრივმა კანონის დამცველებმა ჯინჭარაძის მიმართ აღძრეს სისხლის სამართლის საქმე „ცილისწამების" მუხლით. ხოლო რადგან მამუკა იმ დროისთვის ქალაქში არ იმყოფებოდა, მასზე ძებნა გამოაცხადეს. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ მამუკა ჯინჭარაძის სიკვდილით, შესაძლოა, დაინტერესებული ყოფილიყო მრავალი ადამიანი, როგორც საქართველოში, ისე რუსეთში.

**„მოსკოვსკი კომსომოლეცი", 7 თებერვალი.**

МОСКОВСКИЙ МК КОМСОМОЛЕЦ

სს „საქართველოს გეოლოგიისა და სამთო საქმის ეროვნული კომპანიის" სამეთვალყურეო საბჭო აცხადებს, რომ 2005 წლის 28 თებერვალს 12 საათზე იწვევს საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებას შემდეგი დღის წესრიგით:

1. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში საპრივატიზაციო ნუსხაში ობიექტების გადაცემასთან, შენობა-ნაგებობებზე დამაგრებული მიწის ნაკვეთების კაპიტალში შეტანასთან და ფილიალ „სპეცგეოს" ბაზაზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნასთან დაკავშირებით;
2. საზოგადოების კაპიტალში რიცხული, თბილისში, ჯიქიას ქ. №8-ში მდებარე 300 კვ. მ. მიწის ნაკვეთის რეალიზაცია;
3. საზოგადოების 2005 წლის ბიზნეს-გეგმის განხილვა, დამტკიცება;
4. 2004 წლის სამეურნეო შედეგების შემოწმებისათვის აუდიტორული კომპანიის არჩევა.

კრება ჩატარდება მისამართზე: თბილისი, მოსაშვილის ქ. 24, IV სართული.

დაიკარგა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან № 23608/04. 1/16/5/6/12, რომელიც ადასტურებს საკუთრების უფლებას არსენ დავითაშვილის კუთვნილ უძრავ ქონებაზე, მდებარე თბილისი, კიტა აბაშიძის ქ. 14. ტელ: 95-65-16.

# ირანი ამერიკას საპასუხო დარტყმით ემუქრება

**ირანის ერთბაშად ორმა მაღალი თანამდებობის სახელმწიფო მოხელემ განაცხადა, რომ ქალაქ ბუშერის ატომურ კომპლექსზე გარეშე ძალების მიერ განხორციელებული ნებისმიერი თავდასხმის პასუხად მათი ქვეყანა კიდევ უფრო დააჩქარებს ბირთვული ბომბის შექმნას.**

ეს ჟურნალისტებს პირველმა განუცხადა ეროვნული უშიშროების უზენაესი საბჭოს გენერალურმა მდივანმა ჰასან როხანიმ.

კითხვას, ხომ არ არის მოსალოდნელი ამერიკელთა მიერ ირანის ბირთვული ობიექტებისთვის დარტყმების მიყენების შესაძლებლობა იმ შემთხვევაში, თუ ირანი არ შეწყვეტს თავისი ბირთვული პროგრამის განხორციელებას, როხანიმ უპასუხა: „ალბათ, ამერიკა ვერ გაბედავს ასეთი რისკიანი ნაბიჯის გადადგმას, რადგან მან იცის, რომ ჩვენ გავცემთ პასუხს მათ თავდასხმას". ამერიკელებმა ჩინებულად იციან ირანის შესაძლებლობები, დასძინა როხანიმ.



ასეთივე მოსაზრებას იზიარებს ირანის ატომური სააგენტოს მეთაური მოჰამედ აღაზადეც. როგორც მან თქვა, ირანი განახორციელებს საპასუხო დარტყმას იმავე დღეს, როგორც კი მიიტანენ მასზე იერიშს.

როგორც ცნობილია, ირანს აქვს ბალისტიკური რაკეტები, რომლებსაც შეუძლიათ მიღწევა ისრაელის ტერიტორიამდე და სპარსეთის ყურეში განლაგებულ ამერიკელთა ბაზებამდე.

როცა ლაპარაკობენ ირანის ბირთვული ობიექტებისთვის დარტყმების მიყენების შესაძლებლობაზე, გულისხმობენ იმას, რომ შესაძლოა განმეორდეს 1981 წლის მსგავსი მოვლენები, როცა ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებმა გაანადგურეს ოსირაქში ერაყის ბირთვული რეაქტორი.

მართალია, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა განაცხადა, რომ „ამჟამად არ დგას დღის შესრიგში" ირანისთვის პრევენტიური დარტყმის მიყენების საკითხი, პრეზიდენტი ჯორჯ ბუში მაინც უარს ამბობს გამორიცხოს თეირანისთვის სამხედრო დარტყმების მიყენების შესაძლებლობა იმ მიზნით, რომ ირანმა შეწყვიტოს ბირთვული იარაღის შემუშავება.

როხანიმ კვლავ აღნიშნა, რომ ირანის ბირთვულ პროგრამას მხოლოდ სამშვიდობო ხასიათი აქვს, მაგრამ როგორც შეერთებულ შტატებს და ისრაელს მიაჩნიათ, ირანი ბირთვულ სფეროში სამშვიდობო გამოკვლევებს ახორციელებს მხოლოდ იმისთვის, რომ შენიღბოს ქვეყანაში ბირთვული იარაღის შექმნის სამუშაოები.

ამასთან, როხანიმ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა მზად არის განიხილოს თავის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული საკითხები შეერთებულ შტატებთან, მაგრამ აუცილებლად უნდა წარიმართოს „ორი თანასწორი უფლებების მქონე ქვეყნის დიალოგი". ასეთ შემთხვევაში, მოლაპარაკების შედეგად „შესაძლებელი იქნება რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღება", — დასძინა მან.

# კანარის კუნძულებთან 227 მიგრანტი იპოვეს

**კანარის კუნძულების პოლიციამ დააკავა არალეგალურ იმიგრანტთა ერთ-ერთი ყველაზე დიდი ჯგუფი, რომლებიც ცდილობდნენ გადასვლას ესპანეთის კუთვნილ ამ არქიპელაგზე.**

ტენერიფეს კუნძულის მახლობლად გაჩერებულ თევზსაჭერ გემზე 227 კაცი იმყოფებოდა. გემს გაუჩერდა ძრავა და ამ ადამიანებმა ღია ოკეანეში რამდენიმე კვირა გაატარეს.

პოლიცია ეძებს მიგრანტების ესპანეთში გადაყვანის ორ სავარაუდო ორგანიზატორს. თვით მიგრანტთა თქმით კი, ამ ორმა ადამიანმა მანამდე დატოვა გემი, სანამ მას გაუფუჭდებოდა მოტორი.

პოლიციელთა ვარაუდით, კონტრაბანდისტები არიან დამნაშავეთა საერთაშორისო დაჯგუფების წევრები, თევზსაჭერ გემზე მყოფი ადამიანები კი დასავლეთ აფრიკის ქვეყნების — სიერა ლეონეს და გვინეა ბისაუს მოქალაქეები არიან.

კანარის კუნძულებზე არალეგალური გზით ყოველწლიურად გადადის ათასობით იმიგრანტი დასავლეთი აფრიკიდან. ესპანეთის ხელისუფლება, როგორც წესი, ცდილობს დეპორტირებული პირები დააბრუნოს სამშობლოში.

# სპეცსამსახურები აცხადებენ, რომ ტერორისტები ამზადებენ მაჰმუდ აბასის მკვლელობას

**ისრაელის „ჰალეი ცაჰალის" რადიოსადგურის ეთერში გამოსვლისას, ისრაელის უშიშროების სამსახურის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ აქვთ აგენტურული ინფორმაცია, იმის თაობაზე, რომ ტერორისტული ორგანიზაციები, კონკრეტულად კი — „ჰესბოლას" მოძრაობა, ამზადებს თავდასხმას პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის მეთაურზე — მაჰმუდ აბასზე 8 თებერვალს ეგვიპტის ქალაქ შარმ-ეშ-შეიჰში დაგეგმილი სამიტის წინ.**



იმ შემთხვევაში, თუ პალესტინის ავტონომიის მეთაურის მოკვლას ტერორისტები ვერ შეძლებენ, აღნიშნეს ისრაელის უშიშროების ორგანოების წარმომადგენლებმა, ისინი განახორციელებენ დიდ ტერორისტულ აქტს ეგვიპტეში ოთხმხრივი ებრაულ-არაბული მოლაპარაკების ჩაშლის მიზნით.

ისრაელის უპორტფელო მინისტრმა ჰაიმ რამონმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ „მტრებს სურთ აბასის არა მარტო პოლიტიკური, არამედ ფიზიკური განადგურებაც".

„ასეთი გადაწყვეტილება მათ მიიღეს იმის გამო, რომ ეწინააღმდეგებიან აბასის მიერ განხორციელებულ პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს ურთიერთობის ნორმალიზაციას ისრაელთან, და ამიტომაც პალესტინის ავტონომიის მეთაურს თავიანთ მტრად მიიჩნევენ", — დასძინა ჰაიმ რამონმა.

დასავლეთის ქვეყნების წყაროები ადასტურებენ, რომ „ჰესბოლას" მოთარეშეები აპირებენ თავდასხმის განხორციელებას აბასზე იმ შემთხვევაში, თუ სხვა საშუალებებით ვერ შეძლებენ ხელის შეშლას ისრაელ-პალესტინის ურთიერთობის ნორმალიზაციის პროცესისთვის.

ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებთან დახურული მოლაპარაკების დროს აბასმა განაცხადა, რომ „ჰესბოლა" არის ტერორისტული ორგანიზაცია, რომლის საქმიანობაც უქმნის საფრთხეს ვითარების სტაბილიზაციას რეგიონში".

რამდენიმე დღის წინათ ვაშინგტონში გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ევროპის საქმეთა ქვეკომიტეტის წევრების მოლაპარაკება ევროკავშირის წარმომადგენელთან მარკ ოტთან, რომელზეც, კერძოდ, განიხილეს ამერიკელთა თხოვნა იმის თაობაზე, რომ „ჰესბოლა" შეიტანონ ევროკავშირის ტერორისტი ორგანიზაციების ნუსხაში.

კონგრესმენები მაშინ ძალზე გააოცა ოტის პასუხმა, რომელმაც თქვა, რომ ანალოგიური თხოვნით მას პალესტინის ხელმძღვანელობის წარმომადგენლებმაც მიმართეს.

აბასის გარემომცველი პირები დიდ შეშფოთებას გამოთქვამენ პალესტინის მიმართულებით „ჰესბოლას" გააქტიურების გამო, რომელსაც ზურგს უმაგრებენ ირანი და სირია.

# მორიგი აფეთქება ერაყში

**ერაყის ქალაქ მოსულში მომხდარი აფეთქების შედეგად დაიღუპა სულ ცოტა 11 პოლიციელი.**

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აფეთქება განახორციელა კამიკაძემ შენობასთან მაშინ, როცა იქ შეიკრიბნენ პოლიციელები ხელფასის მისაღებად. გარდა ამისა, დაიჭრა პოლიციის კიდევ ექვსი თანამშრომელი.

მეორე ავტომობილში დადებული ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა ქალაქ ბაქუბის პოლიციის უბნის შენობის წინ, სადაც შეკრებილი იყვნენ ახალწვეულები. დაიღუპა სულ ცოტა რვა ადამიანი და კიდევ რამდენიმე დაიჭრა.

ბაღდადის ჩრდილოეთ ნაწილში კი, გზისპირზე დადებული ბომბის აფეთქების შედეგად დაიღუპა ერთი ამერიკელი ჯარისკაცი.

# მოკლედ

**ესპანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები იტყობინებიან, რომ სამმა ფსიქიკურად დაავადებულმა პირმა, რომ-**



**ლებმაც ხელთ იგდეს ესპანეთის საკონსულო შვეიცარიის დედაქალაქ ბერნში, გაათავისუფლეს მძევლები და დატოვეს შენობა. თუმცა, საგარეო საქმეთა წარმომადგენლები არაფერს ამბობენ იმაზე, თუ ამ ადამიანებმა როგორ შეძლეს გაეღწიათ შენობიდან, რომელსაც პოლიციელთა მჭიდრო კორდონები ჰქონდა გარშემორტყმული.**

* * *

**ალპებში ზვავმა იმსხვერპლა 10 სამთო მოთხილამურის სიცოცხლე. ავსტრიის ალპებში დაიღუპა 4 კაცი.**



**ერთი მათგანი იყო 13 წლის გერმანელი მოზარდი, რომელიც თოვლის მასამ მოისროლა სათხილამურო ტრასიდან და იგი შეეჯახა ხეს. გარდა ამისა, 4 ადამიანი დაიღუპა შვეიცარიაში და ორიც — საფრანგეთში.**

* * *

**ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო დათანხმდა გამოაქვეყნოს საბუთები ნაცისტთა დამქაშებთან თანამშრომლობის შესახებ. შარშან ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულმა არქივმა გამო-**



**აქვეყნა 8 მილიონი ფურცელი დოკუმენტები, რომლებსაც მოეხსნა საიდუმლო გრიფი. ამ დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან თანამშრომლობდა „ოსვენციმელი ჯალათის" სახელით ცნობილი ადოლფ ეიჰმანის ხუთი ყოფილი თანაშემწე.**

* * *



**ესპანეთში 18 კაცი მოიწამლა გაზით. ეს ადამიანები ზეიმობდნენ ერთ-ერთი თავიანთი მეგობრის დაბადების დღეს. ტრაგედიის მიზეზად ასახელებენ გაზის გაჟონვას.**

* * *

**ექვსი ინდოელი პოლიციელი ზვავში დაიღუპა. მათი ცხედრები იპოვეს კატასტროფის ადგილზე მისულმა მაშველებმა. ეძებენ კიდევ ოთხ პოლიციელს, რომლებიც შედიოდნენ ინდოეთ-ტიბეტის**



**სასაზღვრო პოლიციის ერთ-ერთი ქვედანაყოფის რიგებში. სავარაუდოდ, ისინიც დაღუპულები უნდა იყვნენ.**

* * *

**სახელგანთქმული სიგარების სამშობლოში დააწესეს მკაცრი შეზღუდვები საზოგადოებრივ ადგილებში თამბაქოს მოწევაზე.**

**ორშაბათიდან თამბაქოს მოწევა აიკრძალა კუბის საწარმოებისა და დაწესებულებების უმრავლესობაში, საზოგადოებრივი ადგილებიდან აიღეს სიგარეტის გასაყიდი ავტომატები, გარდა ამისა, აიკრძალა თამბაქოს გაყიდვა სკოლების მახლობლად.**



საქართველოს რესპუბლიკა
№ 30, სამშაბათი, 8 თებერვალი, 2005 წელი.

# განცხადებები ღია ტენდერების ჩატარების შესახებ

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს სანიტარიული მომსახურების (შენობა-ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა, დასუფთავება) შესყიდვაზე

**და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს**

**დაფინანსების წყარო — სახელმწიფო ბიუჯეტი**

სხვა დამატებითი ინფორმაციების მიღება გასაწევი მომსახურების ადგილმდებარეობაზე და რაოდენობის შესახებ ტენდერში მონაწილე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მათი მოთხოვნის შესაბამისად (ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2 შესყიდვების დეპარტამენტი, მე-6 სართული, ოთახი №609).

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული მომსახურება უნდა განხორციელდეს **2005 წლის 1 აპრილიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე**, ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიულ პირთათვის:**

მსურველის იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ — შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ — შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

მსურველის იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისთვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ — შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

**ფიზიკურ პირთათვის:**

უნდა იყოს ქმედუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ — შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა სასამართლოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ — შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდადებული და შესყიდვის დაწყების მომენტისთვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ — შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

**დამატებითი მოთხოვნები:**

ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა 2004 წლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ);

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

თუ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნას ინგლისურ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს თარგმანი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარიუსის მიერ) და წარმოდგენილი სატენდერო კომისიის აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ **2005 წლის 24 თებერვლიდან 2005 წლის 1 მარტის 12 საათამდე შემდეგ მისამართზე:**

**0177, ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2, შესყიდვების დეპარტამენტი, მე-6 სართული, ოთახი №609, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.**

დაგვიანებით შემოსულ განაცხადებს და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

საკვალიფიკაციო შერჩევა შედგება **2005 წლის 2 მარტს 12 საათზე** წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.

საკვალიფიკაციო პროცედურის დასრულების შემდეგ შერჩეულმა პრეტენდენტებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500 ლარის** ოდენობით მათ სახელზე გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებულ ანგარიშზე. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გადაეცემა პრეტენდენტებს **2005 წლის 8 მარტიდან 2005 წლის 10 მარტის 12 საათამდე** მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა შემდეგ მისამართზე: **0177, ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2. თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტი, მე-6 სართული, ოთახი №609. სატენდერო კომისიის აპარატი.**

პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების მიღების ბოლო ვადაა **2005 წლის 15 მარტს 12 საათი.** სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთ აღნიშნულ მისამართზე **2005 წლის 15 მარტს 12 საათზე.** პრეტენდენტების დასწრება აუცილებელია.

ტენდერის დროს გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საფუძველზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

დამატებითი ცნობებისთვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე **39-96-48.**

**სატენდერო კომისია.**

---

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს რბილი ინვენტარის შესყიდვაზე

**და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს**

**შესყიდვის ობიექტი — რბილი ინვენტარი**
**დაფინანსების წყარო — სახელმწიფო ბიუჯეტი**

| ლოტი № | რბილი ინვენტარი | ზომის ერთ. | რაოდენობა | მიწოდების გრაფიკი | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|
| ლოტი №1 | ლეიბი | ც | 600,00 | 20.03.05-30.06.05 | ქ. თბილისი |
| ლოტი №2 | ბალიში | ც | 2300,00 | 20.03.05-30.06.05 | |
| ლოტი №3 | საბანი | ც | 2300,00 | 20.03.05-30.06.05 | |
| ლოტი №4 | საბანი ([illegible]) | ც | 2300,00 | 20.03.05-30.06.05 | |
| ლოტი №5 | პირსახოცი | წყ. | 33494,00 | 20.03.05-30.06.05<br>01.10.05-31.12.05 | |
| ლოტი №6 | ფეხის გასაწმენდი | ც | 8195,00 | 20.03.05-31.03.05 | |
| ლოტი №7 | ზეწარი | ც | 44592,00 | 20.03.05-30.06.05 | |
| ლოტი №8 | ბალიშის პირი | ც | 19296,00 | 20.03.05-30.06.05 | |
| ლოტი №9 | ლეიბის ქვეშაგები | ც | 2800,00 | 01.04.05-30.06.05 | |

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად ადგილზე მიტანით ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიულ პირთათვის:**

1. მსურველის იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.
2. მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.
3. მსურველის იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისთვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

**ფიზიკურ პირთათვის:**

1. უნდა იყოს ქმედუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.
2. მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა სასამართლოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.
3. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდადებული და შესყიდვის დაწყების მომენტისთვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

**დამატებითი მოთხოვნები:**

ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

ინფორმაცია უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური პროექტების შესახებ.

ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა 2004 წლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ);

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

თუ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნას ინგლისურ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს თარგმანი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარიუსის მიერ) და წარმოდგენილი სატენდერო კომისიის აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ **2005 წლის 24 თებერვლიდან 2005 წლის 1 მარტის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე:**

**0177, ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2, შესყიდვების დეპარტამენტი, მე-6 სართული, ოთახი №609, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.**

დაგვიანებით შემოსულ განაცხადებს და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

საკვალიფიკაციო შერჩევა შედგება **2005 წლის 2 მარტს 17 საათზე** წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.

საკვალიფიკაციო პროცედურის დასრულების შემდეგ შერჩეულმა პრეტენდენტებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500 ლარის** ოდენობით მათ სახელზე გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებულ ანგარიშზე. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გადაეცემა პრეტენდენტებს **2005 წლის 8 მარტიდან 2005 წლის 10 მარტის 18 საათამდე** მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა შემდეგ მისამართზე: **0177, ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2. თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტი, მე-6 სართული, ოთახი №609. სატენდერო კომისიის აპარატი.**

პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების მიღების ბოლო ვადაა **2005 წლის 15 მარტს 15 საათი.** სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთ აღნიშნულ მისამართზე **2005 წლის 15 მარტს 15 საათზე.** პრეტენდენტების დასწრება აუცილებელია.

ტენდერის დროს გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საფუძველზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე **25-17-74.**

**სატენდერო კომისია.**

---

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს პირადი შემადგენლობის თეთრეულის შესყიდვაზე **და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს**

**შესყიდვის ობიექტი — პირადი შემადგენლობის თეთრეული**
**დაფინანსების წყარო — სახელმწიფო ბიუჯეტი**

| ლოტი № | თეთრეული | ზომის ერთ. | რაოდენობა | მიწოდების გრაფიკი | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|
| ლოტი №1 | მაისური | ც | 26000,00 | 01.04.05-31.12.05 | ქ. თბილისი |
| ლოტი №2 | ტრუსი | ც | 26000,00 | 01.04.05-31.12.05 | |
| ლოტი №3 | საცვალი ზამთრის | კომპლექტი | 7050,00 | 01.07.05-30.09.05 | |
| ლოტი №4 | წინდა | წყ. | 30000,00 | 01.04.05-30.06.05 | |
| ლოტი №5 | წინდა თბილი | წყ. | 15000,00 | 01.07.05-30.09.05 | |

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად ადგილზე მიტანით ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიულ პირთათვის:**

1. მსურველის იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.
2. მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.
3. მსურველის იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისთვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

**ფიზიკურ პირთათვის:**

1. უნდა იყოს ქმედუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.
2. მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა სასამართლოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.
3. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდადებული და შესყიდვის დაწყების მომენტისთვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

**დამატებითი მოთხოვნები:**

ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

ინფორმაცია უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური პროექტების შესახებ.

ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა 2004 წლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ);

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

თუ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნას ინგლისურ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს თარგმანი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარიუსის მიერ) და წარმოდგენილი სატენდერო კომიისიის აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ **2005 წლის 24 თებერვლიდან 2005 წლის 1 მარტის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე:**

**0177, ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2, შესყიდვების დეპარტამენტი, მე-6 სართული, ოთახი №609, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.**

დაგვიანებით შემოსულ განაცხადებს და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

საკვალიფიკაციო შერჩევა შედგება **2005 წლის 2 მარტს 18 საათზე** წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.

საკვალიფიკაციო პროცედურის დასრულების შემდეგ შერჩეულმა პრეტენდენტებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500 ლარის** ოდენობით მათ სახელზე გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებულ ანგარიშზე. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გადაეცემა პრეტენდენტებს **2005 წლის 8 მარტიდან 2005 წლის 10 მარტის 18 საათამდე** მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

**სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა შემდეგ მისამართზე: 0177, ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2. თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტი, მე-6 სართული, ოთახი №609. სატენდერო კომიისიის აპარატი.**

პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების მიღების ბოლო ვადაა **2005 წლის 15 მარტს 17 საათი.** სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთ აღნიშნულ მისამართზე **2005 წლის 15 მარტს 17 საათზე.** პრეტენდენტების დასწრება აუცილებელია.

ტენდერის დროს გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საფუძველზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე **25-17-74.**

**სატენდერო კომისია.**

---

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატი**

აცხადებს ღია ტენდერს საავტომობილო საწვავის შეძენასთან დაკავშირებით და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

**შესყიდვის ობიექტი:** **საავტომობილო საწვავი**

**დაფინანსების წყარო:** **სახელმწიფო ბიუჯეტი**

| ლოტი | პროდუქციის დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | მიწოდების გრაფიკი | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|
| ლოტი №1 | საავტომობილო ბენზინი აი-95 (ხუთჯერ, მიწოდება ტალონებით) | ლიტრი | 37 000 ლ | ყოველთვიური 2005 წლის განმავლობაში | ქ. ბათუმი |
| ლოტი №2 | დიზელის საწვავი ლ-62 (მიწოდება ბითუმად) | ლიტრი | 28 000 ლ | შეთანხმებისამებრ | ქ. ბათუმი |

ტენდერში გამარჯვებულის მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად ადგილზე მიტანით ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, 25 თებერვლიდან 1 მარტის საღამოს 18 საათამდე, მისამართზე: ქ. ბათუმი, გამსახურდიას ქ. №8, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისთვის:**

— ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მათი ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

— ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მათ ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;

— ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მათი ხელმძღვანელი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო სამართალში მიცემული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის.

**ფიზიკური პირებისთვის:**

— ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

— ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობისას იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო სამართალში მიცემული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკური ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

— ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისთვის:**

— ბანკიდან, რომ ანგარიშზე ერიცხებათ გარკვეული თანხა და არ აქვთ დავალიანება;

— საგადასახადოდან, რომ ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხებათ დავალიანება.

დაინტერესებული პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ზემოთ აღნიშნულ ვადებში არ წარმოადგენენ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე წარმოდგენილი ცნობა, ან ინფორმაცია აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2005 წლის 7 მარტს 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, გამსახურდიას ქ. №8, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

**დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისგან: თენგიზ მესხიძე, ქ. ბათუმი, გამსახურდიას ქ. №8, ტელ. 7-00-85, მობ. 899 20-77-44.**

**სატენდერო კომისია.**

---

## განცხადება

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ მოთხოვნით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად შპს „საქართველოს რკინიგზას“ მიერ წარმოდგენილია I კატეგორიის საქმიანობაზე:**

„სარკინიგზო ხიდი მდ. რიონზე ბათუმი-სამტრედიის 99-ე კმ-ზე“ გარემოზე ზემოქმედების შეფასება.

**საპროექტო დოკუმენტაციის გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია 2005 წლის 24 მარტამდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახურში: თბილისი, თამარაშვილის 15ა. ტელ. 39-91-81.**

**საჯარო განხილვა შედგება 2005 წლის 24 მარტს 12.00 საათზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში. თბილისი, კოსტავას 68ა, VI სართული.**

**გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახური.**

---

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**აცხადებს მიღებას მაგისტრატურაში შემდეგ სპეციალობებზე:**

**1. საერთაშორისო ურთიერთობები;**
**2. საერთაშორისო ეკონომიკური და ენერგეტიკული პოლიტიკა და დიპლომატია;**
**3. გამოყენებითი პოლიტოლოგია. პოლიტიკური მართვა და პოლიტიკური ტექნოლოგიები.**

**(საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სექტორი. ქართული და ინგლისური ჯგუფები).**

სწავლება წარიმართება საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად. მასში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი ქართველი და უცხოელი მეცნიერები, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეები, დიპლომატები.

საბუთები მიიღება **20 თებერვლამდე. თბილისი, კოსტავას ქ. № 77, ჰტფ — VI კორპუსი, IX სართული. პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კათედრა — IV კორპუსი, III სართული.**

**საკონტაქტო ტელეფონები: 33-13-79; 36-10-15; 899 45-50-10; 899 17-64-98; 877 54-15-41.**

---

**მიმდინარეობს შპს „საქნავთობბიექტსერვისის“ ლიკვიდაცია. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებსაც გააჩნიათ რაიმე სახის მოთხოვნა შპს „საქნავთობბიექტსერვისისადმი“, გამოცხადნენ შემდეგ მისამართზე: – ქ. თბილისი, კოსტავას ქ. № 65.**

**ლიკვიდატორი.**

ძიუდო

# უმაღლესი საფეხური კვლავ მიუწვდომელი დარჩა

**გასულ შაბათ-კვირას პარიზში ძიუდოისტთა მსოფლიო სუპერთასი გათამაშდა. ტატამზე 48 ქვეყნის 380 სპორტსმენი (160 ქალი) გამოვიდა. მოასპარეზეთა შორის იყვნენ ქართველი სპორტსმენებიც, რომლებმაც ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.**

60 კილოგრამ წონით კატეგორიაში მონაწილე არ გვყავდა, რადგან ათენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა ნესტორ ხერგიანმა დროებით 66 კილოში გადაინაცვლა.



ხერგიანმა პირველი შეხვედრა ესპანელ უგო გონსალეშს მოუგო, შემდეგ 23-წლიანებში ევროპის ჩემპიონი, გაბერძნებული ტარიელ სონიშვილი (ზიდირიდისი) ჩამოიცილა გზიდან, მეოთხედფინალში თბილისის ტურნირის მესამე ადგილოსან ფრანგს – აჰმედ ოულ საიდს სძლია, თუმცა ნახევარფინალში თავადაც დამარცხდა იაპონელ ჰოროიუკი აკიმოტოსთან, რომელმაც შემდეგ ფრანგ ბენჟამენ დარბელესაც აჯობა და სუპერთასი მოიპოვა. ხერგიანმა კი კორეელი ბანგ გუიმანის ძლევით „ბრინჯაო“ დაიმსახურა.

ამ წონაში გამოდიოდა პარიზის ტურნირის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი დავით მარგოშვილი. მართალია, მან გერმანელ მანუელ მიულერს აჯობა, მაგრამ მეორე წრეში ფინელ აარნე პიტკანენთან დამარცხდა და შეჯიბრებას გამოეთიშა.

შარშან პარიზის ტურნირზე ვერცხლის მედალი მოიპოვა დავით ქევხიშვილმაც (73 კგ), ამჯერად კი იგი კვარცხლბეკიდან ერთი საფეხურით ჩამოქვეითდა, რადგან პირველივე შეხვედრა რუმინელ კლაუდიო ბასტიასთან იუკოთი დათმო, არადა, გონგამდე 4 წამით ადრე კოკათი იგებდა. დამამშვიდებელ წრეში ქართველმა ფალავანმა ზედიზედ სძლია ფრანგ ალენ შმიტს, ბელგიელ კოენ სლეეკსსა და ლატვიელ დენის კოზლოვს.

თბილისის ტურნირის გამარჯვებულმა 20 წლის ზაზა კედელაშვილმა ამჯერად, მწვრთნელების სურვილით, 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში იასპარეზა. ერთი ორთაბრძოლა კი მოიგო მაროკოელ ფაისალ დანდანისთან, მაგრამ მერე ფრანგ ანტონი ფრიჩთან დამარცხდა და მაყურებლებში გადაინაცვლა.

81 კილოგრამ წონით კატეგორიაში ხვიჩა ხუციშვილმა იჭიდავა. მესამე წრეში მას უკრაინის სახელით მოასპარეზე ილია ჩიმჩიურმა აჯობა.

ოლიმპიურ ჩემპიონს – ზურაბ ზვიადაურს პირადი წონა მოეძალა და მწვრთნელებმა იგი 100 კილოში გამოიყვანეს. 90 კილოში მისმა ბიძაშვილმა ჯარჯიმ (ილიას ილიადისი) გაიმარჯვა. ამას წინათ თბილისის ტურნირის მომგები ქართველი ფალავანი კი პარიზში ორ მეტოქეს იოლად კი გაუსწორდა, მაგრამ შემდეგ კორეელ იუ სუნგ კვანთან და ჰოლანდიელ ელკო ფანდერსტთან დამარცხდა და საპრიზო ადგილებს მიღმა დარჩა. სამაგიეროდ, ამ წონაში შარშანდელივით ვერცხლის მედალი მოიპოვა ივერი ჯიქურაულმა, რომელმაც გადამწყვეტი პაექრობა კორეელ კვანთან წააგო.

მძიმე წონაში ალექსი დავითაშვილი ასპარეზობდა. მან ორი შეხვედრა მოიგო, ორიც დათმო და საბოლოოდ მე-7 ადგილზე გავიდა.

საგულისხმოა, რომ პარიზის სუპერტურნირის არსებობის განმავლობაში აქ პირველი ადგილი მხოლოდ ოთხმა სპორტსმენმა დაიკავა. ესენი არიან – შენგელი ფიცხელაური, ამირან ტოტიკაშვილი, გიორგი რევაზიშვილი და გიორგი გუგავა. ბოლო წლებში კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური ჩვენებისთვის მიუღწეველი რჩება.

პარიზშივე გაიმართა ევროპის საკლუბო ჩემპიონატის წილისყრა. D ჯგუფში „საგარეჯოს“ მეტოქეობას გაუწევენ გერმანიის „აბენსბერგი“, თურქეთის „იზმირი“ და საფრანგეთის „რასინგი“.

**ლევან ცინცაძე.**

ფეხბურთი

**თბილისის „დინამომ“ წარუმატებლად დაიწყო ოთხთა ტრადიციული ტურნირი ესპანეთში – მარბელას თასის გათამაშების სტარტზე ჩვენი თანამემამულენი 1:3 დამარცხდნენ სანკტ-პეტერბურგის „ზენიტთან“. პრესტიჟის გოლი ნევისპირელებს პენალტით ოდიკაძემ გაუტანა. ფრედ 1:1 დასრულდა დონეცკის „შახტიორისა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ შეხვედრის ძირითადი დრო. პენალტები უკეთ უკრაინელებმა დაარტყეს – 4:2.**

* * *

# ევროპის სტადიონებზე

**იტალია. XXIII ტური.** „სამპდორია“ – „ფიორენტინა“ 3:0, „პალერმო“ – „იუვენტუსი“ 1:0, „პარმა“ – „ინტერი“ 2:2, „ბრეშია“ – „უდინეზე“ 0:1, „რომა“ – „ბოლონია“ 1:1, „კალიარი“ – „ლეჩე“ 3:1, „კიევო“ – „მესინა“ 1:0, „რეჯინა“ – „სიენა“ 3:3, „ატალანტა“ – „ლივორნო“ 1:0, „მილანი“ – „ლაციო“ 2:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „იუვენტუსი“ – 50, „მილანი“ – 48, „უდინეზე“ – 40, „ინტერი“ – 39, „სამპდორია“ – 38 ქულა.

**ბომბარდირი:** მონტელა („რომა“) – 18 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ლაციო“ – „ატალანტა“, „ინტერი“ – „რომა“, „რეჯინა“ – „მილანი“, „ბრეშია“ – „კალიარი“, „ლეჩე“ – „კიევო“, „სიენა“ – „მესინა“, „ბოლონია“ – „პალერმო“, „ფიორენტინა“ – „პარმა“, „ლივორნო“ – „სამპდორია“, „იუვენტუსი“ – „უდინეზე“.

**ესპანეთი. XXII ტური.** „სოსიედადი“ – „ვალენსია“ 3:3, „რეალი“ – „ესპანიოლი“ 4:0, „ვილიარეალი“ – „რასინგი“ 2:1, „ლევანტე“ – „სევილია“ 0:3, „ალბასეტე“ – „სარაგოსა“ 2:1, „მალაგა“ – „მალიორკა“ 0:0, „ხეტაფე“ – „ნუმანსია“ 1;0, „ბეტისი“ – „ოსასუნა“ 3:1, „დეპორტივო“ – „ბილბაო“ 1:1, „ბარსელონა“ – „ატლეტიკო“ 0:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბარსელონა“ – 51, „რეალი“ – 47, „ვალენსია“, „სევილია“ – 38-38 ქულა.

**ბომბარდირი:** ეტოო („ბარსელონა“) – 16 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ბილბაო“ – „ბეტისი“, „ატლეტიკო“ – „ხეტაფე“, „რასინგი“ – „სოსიედადი“, „სევილია“ – „ვილიარეალი“, „ვალენსია“ – „დეპორტივო“, „სარაგოსა“ – „ბარსელონა“, „მალიორკა“ – „ალბასეტე“, „ოსასუნა“ – „რეალი“, „ნუმანსია“ – „მალაგა“.



**ინგლისი. XXVI ტური.** „ასტონ ვილა“ – „არსენალი“ 1:3, „ლივერპული“ – „ფულჰემი“ 3:1, „ნორვიჩი“ – „ვესტ ბრომვიჩი“ 3:2, „მანჩესტერი“ – „ბირმინგემი“ 2:0, „კრისტალ პალასი“ – „ბოლტონი“ 0:1, „ნიუკასლი“ – „ჩარლტონი“ 1:1, „მიდლსბრო“ – „ბლექბერნი“ 1:0, „ტოტენჰემი“ – „პორტსმუთი“ 3:1, „საუთჰემპტონი“ – „ევერტონი“ 2:2, „ჩელსი“ – „სიტი“ 0:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ჩელსი“ – 65, „მანჩესტერი“ – 56, „არსენალი“ – 54, „ევერტონი“ – 48, „ლივერპული“ – 43 ქულა.

**ბომბარდირი:** ანრი („არსენალი“) – 17 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ევერტონი“ – „ჩელსი“, „ბირმინგემი“ – „ლივერპული“, „ბლექბერნი“ – „ნორვიჩი“, „პორტსმუთი“ – „ასტონ ვილა“, „ბოლტონი“ – „მიდლსბრო“, „არსენალი“ – „კრისტალ პალასი“, „ჩარლტონი“ – „ტოტენჰემი“, „ფულჰემი“ – „ნიუკასლი“, „სიტი“ – „მანჩესტერი“, „ვესტ ბრომვიჩი“ – „საუთჰემპტონი“.

**გერმანია. XX ტური.** „ჰანზა“ – „შალკე“ 2:2, „ნიურნბერგი“ – „ჰამბურგი“ 1:3, „მანცი“ – „ჰერტა“ 0:3, „ბაიერნი“ – „ლევერკუზენი“ 2:0, „ბოხუმი“ – „ბილეფელდი“ 1:1, „ჰანოვერი“ – „ბორუსია“ 1:3, „შტუტგარტი“ – „კაიზერი“ 1:1, „ვოლფსბურგი“ – „ვერდერი“ 2:3, „გლადბახი“ – „ფრაიბურგი“ 3:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბაიერნი“ – 41, „შალკე“ – 38, „შტუტგარტი“ – 35, „ვერდერი“ – „34, „ჰერტა“ – 33 ქულა.

**ბომბარდირი:** მინტალი („ნიურნბერგი“) – 14 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ბორუსია“ – „ბოხუმი“, „ფრაიბურგი“ – „ჰანოვერი“, „ვერდერი“ – „გლადბახი“, შალკე“ – „ვოლფსბურგი“, „კაიზერი“ – ჰანზა“, „ჰამბურგი“ – „შტუტგარტი“, „ჰერტა“ – „ნიურნბერგი“, „ლევერკუზენი“ – „მაინცი“, „ბილეფელდი“ – „ბაიერნი“.

**საფრანგეთი. XXV ტური.** „ლიონი“ – „ტულუზა“, 4:0, „მარსელი“ – „რენი“ 3:1, „ნანტი“ – „მონაკო“ 0:0, „ოსერი“ – „სენტ ეტიენი“ 2:2, „ლილი“ – „სოშო“ 0:0, „ნიცა“ – „მეცი“ 1:1, „ბორდო“ – „ბასტია“ 0:0, „პსჟ“ – „ლანსი“ 0:2, „აიაჩო“ – „ისტრი“ 0:0, „სტრასბური“ – „კაენი“ 5:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ლიონი“ – 52, „ლილი“ – 45, „მარსელი“ – 44, „მონაკო“ – 43, „ოსერი“ – 42 ქულა.

**ბომბარდირი:** პაჟი („სტრასბური“) – 11 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ბასტია“ – „მარსელი“, „კაენი“ – „აიაჩო“, „ისტრი“ – „ოსერი“, „ლანსი“ – „ნანტი“, „მეცი“ – „ლილი“, „მონაკო“ – „ლიონი“, „რენი“ – „ნიცა“, „სენტ ეტიენი“ – „სოშო“, „სტრასბური“ – „პსჟ“, „ტულუზა“ – „ბორდო“.

მსოფლიო ჩემპიონატი

# 9 თებერვალს განახლდება...

**...2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ფეხბურთში. მართალია, ამ დღეს საქართველოს ნაკრები „ისვენებს“ (ამხანაგურ შეხვედრას გამართავს), მაგრამ მისთვის მეტოქეთა ორთაბრძოლის შედეგებს, ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს.**

მეორე ევროპულ შესარჩევ ჯგუფში სატურნირო მდგომარეობა ასეთია: უკრაინელებმა 5 შეხვედრიდან 11 ქულა მოაგროვეს და საგრძნობი უპირატესობით ლიდერობენ. 6-6 ქულა აქვთ დანიელებს, ალბანელებს (4-4 მატჩის შემდეგ) და თურქებს (5). V-VI ადგილებს საბერძნეთისა და საქართველოს გუნდები იყოფენ 5-5 ქულით, ყაზახებმა ოთხივე შეხვედრა წააგეს. შეიძლება უკვე დანამდვილებით ითქვას, რომ ყაზახებს, რომელთაც ახლა რუსი სპეციალისტი სერგეი ტიმოფეევი წვრთნის, ბოლო ადგილს ვერავინ შეეცილება. თუმცა ეს როდი ნიშნავს, რომ მან ბრძოლა შეწყვიტა. პირიქით, ყაზახები დღეს თუ ხვალ, ვინმეს აუცილებლად გაამწარებენ.

**ალბანეთი-უკრაინა.** ოლეგ ბლოხინი არ მალავს, რომ ძალიან ეშინია ამ შეხვედრისა. ჯერ ერთი, ჰანს-პეტერ ბრიგელის შეგირდები ტირანაში მეტად იშვიათად მარცხდებიან. მათი ამასწინანდელი წაგება დანიელებთან უფრო შემთხვევით „ფეხის წამოკვრად“ ჩაითვალა. გარდა ამისა, საკითხავია, უკრაინელებს ეყოლებათ თუ არა წამყვანი თავდამსხმელი შევჩენკო, რომელიც ამას წინათ იტალიის ჩემპიონატში დაშავდა და მოედანს ახლახან დაუბრუნდა! შევჩენკოს გარეშე კი უკრაინის ნაკრები სულ სხვა გუნდია.

შეხვედრა, ცხადია, უკომპრომისო იქნება, რადგან მოგების შემთხვევაში ალბანელები მინიმუმამდე შეამცირებენ ქულათა სხვაობას ლიდერებთან, დაკარგული ქულები კი მათზე ნაკლები ექნებათ.

**საბერძნეთი-დანია.** ამ ჯგუფში შეხვედრების უმრავლესობა ფრედ რომ მთავრდება, ჯერჯერობით პირველი ადგილისათვის ბრძოლის შესაძლებობას ყველა მონაწილეს უნარჩუნებს, ცხადია ყაზახების გარდა. ამდენად, ათენის მატჩში ფრე ამჯერად არც ერთ მხარეს აძლევს ხელს და არც მეორეს.

ბერძენი მიმომხილველები არაერთგზის აღნიშნავდნენ, რომ ევროპის ჩემპიონების ახლანდელი თამაში სულაც არა ჰგავს იმას, რაც მათ პორტუგალიის მინდვრებზე აჩვენეს. ბერძნები არაფრით გამოირჩევიან თავდასხმაში, მძიმე შეცდომები მოსდით დაცვაში. ერთადერთი მოგება ყაზახებთან (3:1) და ისიც პირეოსში, ცხადია, ბევრს არაფერს ნიშნავს. ახლა გაისმა გერმანელი სპეციალისტის




ოტო რეჰაგელის კრიტიკაც, თუმცა იგი, „წლის მწვრთნელად“ აღიარეს მსოფლიოში. დიდად საპატიო წოდებაა, მაგრამ 9 თებერვალს ათენში თუ ვერ მოიგო...

ბერძნებთან შედარებით დანიელები, რომლებსაც სავსებით აძლევდათ ხელს ფრე (2:2) თბილისში, უფრო ოპტიმისტურად არიან განწყობილნი. მორტენ ოლსენი ნათლად ხედავს ბერძნების დაცვაში „ხვრელებს“ და თავისი თავდამსხმელის ტომასონის იმედი აქვს, რომელიც ამ ბოლო ხანებში მშვენივრად თამაშობს „მილანში“ (სადაც მან შევჩენკო შეცვალა და გოლებიც გააქვს).

**გივი თორელი.**

კალათბურთი

# ჟინი ისეთი რამაა

**არაერთხელ დაგვიწერია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კალათბურთელთა გასაჭირზე. სამწუხაროა, რომ ვითარება უცვლელი რჩება – გუნდი ისევ ენთუზიაზმით თამაშობს. მით უფრო დასაფასებელია სტუდენტთა შემართება – მამუკა ტურაშვილის შეგირდები ყველასთან თავდაუზოგავად იბრძვიან.**

ასე მოხდა გათამაშების ერთ-ერთ ლიდერთან – თბილისის „დინამოსთანაც“ – შიო ხეცურიანის გარეშე მოასპარეზე ზურაბ ტომარაძის ბიჭებმა მეტოქის შეუპოვარი წინააღმდეგობა მხოლოდ მეორე ნახევარში გატეხეს – 72:61.

ტურნირის მეორე „ყოჩმა“ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა ასევე შესვენების შემდეგ შეიტანა გარდატეხა რუსთავის „თუჯთან“ მატჩში – 88:77. **ყველაზე შედეგიანები:** შანიძე – (სტუ) 25 ქულა; დანელიანი („თუჯი“) – 21 ქულა.

„მაქაბის“ თავკაცს ჯამლეტ ხუხაშვილს, გული ეტყობა, თავიდანვე უგრძნობდა ფარსაგს – მან ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზი შეხვედრის დებიუტშივე დატოვა და წინა ტურში დამარცხებისგან გამწარებულ „ავიამშენს“ ჯავრის ამოყრა გაუადვილა – 142:73.



III წრის სტარტზე მეორე გამარჯვება მოიპოვა თელავის „ბურჯმა“ – კახელებმა შინ უმაღლეს ლიგაში დასარჩენად გამართულ ბრძოლაში თავიანთი უშუალო კონკურენტი – სსუ დაამარცხეს – 91:66.

**ლიდერთა ჯგუფი:** „დინამო“, სტუ – 13-13, „ავიამშენი“ – 12 მოგება.

**XVI ტურში ითამაშებენ:** „ბურჯი“ – სტუ (9 თებერვალს, 15 საათზე, თელავში), სსუ – თსუ (12 საათზე), „ავიამშენი“ – „დინამო“ (14 საათზე, ვერის ბაღში), „თუჯი“ – „მაქაბი“ (10 თებერვალს, 15 საათზე, რუსთავში).

გამოცა

# ფალავანი № 3

**ამ დღეებში გამოვიდა დამოუკიდებელ სპორტულ ჟურნალ „ფალავანის“ (დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი ზვიად შევარდენიძე) მესამე ნომერი, რომელშიც მკითხველი, ტრადიციისამებრ, საინტერესო მასალებს გაეცნობა.**

სპორტის ქომაგები ჟურნალის ფურცლებზე წაიკითხავენ ექსკლუზიურ ინტერვიუს რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტ მიხეილ მამიაშვილთან, საქართველოს „სახალხო ბანკის“ გენერალურ დირექტორ გიორგი გოგუაძესთან, სამგზის მსოფლიო ჩემპიონ როსტომ აბაშიძესთან, რომელსაც დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა, ნავთობკომპანია „ნუკოილის“ დამფუძნებელ კობა ამირეჯიბთან, ძიუდოისტთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ შოთა ხაბარელთან, ასევე, წერილებს – ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პირველ ვიცე-პრეზიდენტ აკაკი ბორცვაძესა და საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ ბიჭიკო პაპაშვილზე, ინფორმაციებს – საქართველოსა და უცხოეთში გამართულ ტურნირებზე. ჟურნალში გამოქვეყნებულია ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა, ძიუდოისტთა და სამბისტთა 2005 წლის კალენდარული გეგმები. „ფალავანი“ უხვად არის ილუსტრირებული.



ჩოგბურთი

# ისევ და ისევ შარაპოვა!

**მილიონ სამასი ათასი დოლარი იყო იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში დასრულებული ქალთა დიდი საჩოგბურთო ტურნირის – Toray Pan Pacific Open – საპრიზო ფონდი. აქ ერთხელ კიდევ ისახელა თავი რუსეთელმა მარია შარაპოვამ.**

მან დაძაბულ ორთაბრძოლაში დაამარცხა პლანეტის პირველი ჩოგანოსანი ლინდსეი დევენპორტი – 6:1, 3:6, 7:6 (7:5).



აღსანიშნავია, რომ ეს იაპონური ტურნირი ძალზე პოპულარულია ქალ ჩოგბურთელთა შორის – აქ ოთხჯერ გაიმარჯვა შვეიცარიელმა მარტინა ჰინგისმა (1997, 1999, 2000, 2002 წლები), აგრეთვე, მარიას ახლანდელმა მეტოქემ, ამერიკელმა დევენპორტმა (1998, 2001, 2003, 2004 წლები).

ახლანდელი ორთაბრძოლა 1 საათსა და 47 წუთს გაგრძელდა. ამ გამარჯვებით მარიამ მსოფლიო რეიტინგში პირველად მეოთხიდან მესამე ადგილზე გადაინაცვლა, თანაც 189- ათასდოლარიანი საპრიზო თანხა მიიღო.

მარიას ტოკიო თავის იღბლიან ქალაქად მიაჩნია. მან იქ ზედიზედ ორჯერ (2003, 2004 წ.) გაიმარჯვა იაპონიის საშემოდგომო ღია ჩემპიონატზე.

ტურნირი

# ოთხი გუნდის მონაწილეობით

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო განყოფილება ყოველწლიურად მართავს XX საუკუნის ცნობილი მსაჯების ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირებს. ერთ-ერთი ახლახან დასრულდა თბილისის „დინამოს“ ლეგენდარული კაპიტნის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ავთანდილ ღოღობერიძის სახელობის საქართველოს ეროვნული ნაკრების ტექნიკური ცენტრის სტადიონზე. სამდღიან შეჯიბრებაში საქართველოს მსაჯთა აკადემიის, არბიტრთა, ჟურნალისტთა და აფხაზეთის სპორტის დეპარტამენტის გუნდები მონაწილეობდნენ.**

საბოლოოდ მსაჯთა აკადემიისა და აფხაზეთის სპორტის დეპარტამენტის ფეხბურთელებს თანაბარი ქულები აღმოაჩნდათ. ბურთების უკეთესი შეფარდებით პირველობა აკადემიის გუნდს ხვდა. მესამე ადგილზე ჟურნალისტები გავიდნენ.

ტურნირის ორგანიზატორებმა საუკეთესო ფეხბურთელებს საკავშირო და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯების – ვახტანგ (დუკა) რამიშვილის, ოტია ქორდანიას, კარლო ყრუაშვილის, ილია ბოჭორაძის, ნესტორ ჩხატარაშვილის, გიორგი ბაქანიძის, გურამ გაბესკირიას და გურამ აკობაშვილის პრიზები გადასცეს.

**შალვა ქორიძე.**

ხელბურთი

# აფრიკაში ესპანეთმა ინავარდა

**აფრიკელები ანგარიშგასაწევ ძალად უკვე ხელბურთშიც ითვლებიან. ამას ტუნისში დასრულებული მსოფლიო ჩემპიონატი ადასტურებს, სადაც მასპინძლებს სულ ცოტა დააკლდათ საპატიო კვარცხლბეკამდე.**

მეხი ჯერ კიდევ მეორე ჯგუფურ ეტაპზე გავარდა, როცა ჰმემმა, სედოიამ, ბენ აზიზამ, მენაგენმა, ბურსილამ და მათმა პარტნიორებმა ასპარეზობას ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი – რუსეთის ნაკრები ჩამოაშორეს – 35:24(!).

ამ წარმატებით ფრთაშესხმული „შავი კონტინენტის“ შვილები ნახევარფინალში ესპანელებსაც ვაჟკაცურად ეკვეთნენ, მაგრამ მრავალრიცხოვან ქომაგთა მხურვალე მხარდაჭერა მხოლოდ შეხვედრის დებიუტში სამი ბურთით დასაწინაურებლად აღმოჩნდა საკმარისი – შესვენებამდე ენტრერიოსმა, გარსიამ, გარალდამ, არიოსმა და „ძმათა მათთა“ მცირე უპირატესობით გაიყვანეს წინ ევროპელები – 18:16. ბრძოლას სიმძაფრე არც მეორე ტაიმში მოჰკლებია, თუმცა სტუმართა გამარჯვება მაინც ლოგიკურად გამოიყურებოდა – 33:30.

არანაკლებ საინტერესოდ განვითარდა მოვლენები ოლიმპიურ ჩემპიონთა – ხორვატთა და ფრანგთა დუელში. მართალია, თავიდან „სამფეროვნებმა“ გაისროლეს – 6:2, მაგრამ ეს იყო და ეს – ბალკანელთა მეკარე შოლა, აქედან მოყოლებული, შეუვალი გახდა, ძომბამ, ვორიმ, ბალიჩმა და კომპანიამ კი უმოწყალოდ დაბომბეს მოწინააღმდეგე – 35:32.

ფინალი, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ცალკარა სანახაობას დაემსგავსა – ესპანელებმა ყველა კომპონენტში დაჯაბნეს მრისხანე მეტოქე – 40:34 (ერთ მომენტში ისინი 13 ბურთითაც კი იყვნენ წინ – 33:20) და პირველად ავიდნენ ტახტზე. „ბრინჯაოს“ ფრანგები დაეუფლნენ, რომლებმაც უკანასკნელ წამებზე მიაღწიეს საწადელს ტუნისელებთან – 26:25.



ბურთიანი ჰოკეი

# რუსებს „ოქრო“ ენატრებათ



**ბურთიანი ჰოკეი რუსებმა გამოიგონეს და ამიტომაც ჰქვია მეორენაირად რუსული ჰოკეი (ამერიკელები მას ბენდის უწოდებენ). ტრადიციებიც მდიდარი აქვთ ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს, „ყინულის პელეც“ მათი თანამემამულეა – სერგეი ლომანოვს ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრებისა და კრასნოიარსკის „ენისეის“ მრავალი მეტოქე დაუმწუხრებია გასული საუკუნის 70-80-იან წლებში, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ამქვეყნად ყველაფერს აქვს დასასრული – ახალ ათასწლეულში სპორტის აღნიშნული სახეობის კანონმდებლებად უკვე სკანდინავიელები იქცნენ.**

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, გაუწყებთ, რომ ყაზანში დასრულებული მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში შვედებმა 5:2 მოუგეს მასპინძლებს და უტიტულოდ დატოვეს. მესამე ადგილისთვის გამართულ მატჩში ყაზახებმა შარშანდელ ტრიუმფატორებს – ფინელებს სძლიეს – 5:3.

ჭრელაჭრულა

## ოჯახს უნგრევს?

**ფეხბურთის მოყვარულები კარგად იცნობენ მილანის „ინტერის“ ნახევარმცველს – მუქკანიან ჰოლანდიელ ედგარ დავიდს. დიახ, იმას, ფეხბურთს სათვალეებიანი რომ თამაშობს. ის „იუვენტუსიდან“ ჯერ „ბარსელონაში“ გადავიდა, ახლა კი ისევ იტალიაში აღმოჩნდა.**

ამ დღეებში იტალიელმა რეპორტიორებმა ის მილანის ერთ-ერთ ღამის კლუბში ნახეს. ამაში უჩვეულო თითქოს არაფერი უნდა იყოს. მაგრამ ჟურნალისტების ინტერესი გამოიწვია არა თავად ფეხბურთელმა, არამედ იმან, რომ ის აშკარად ეარშიყებოდა ცნობილ ტუნისელ მოდელს აფეფ ქნიფენს. ვგონებთ, არც ეს უნდა



იყოს უცნაური, რომელ ფეხბურთელს არ უყვარს ქალებთან დროსტარება? ჟურნალისტები იმან გააოცა, რომ აფეფი, უკვე 2001 წლიდან არის კლუბ „ინტერისა“ და ავტომანქანების საბურავების მწარმოებელი კომპანიის Pirelli ერთ-ერთი მსხვილი აქციონერის მარკო ტრონკეტის ცოლი. სხვათა შორის, თავად კომპანიაც იმ მილანური კლუბის სპონსორია, სადაც დავიდსი თამაშობს.

ამიტომაც ჟურნალისტები შიშობენ, რომ სახელოვან ნახევარმცველს არ მოუწიოს კლუბისა და აპენინის ნახევარკუნძულის დატოვება.

## გამარჯვებებს გისურვებთ, „საგარეჯო!“

**ბუდაპეშტში, ძიუდოს ევროპული კავშირის შტაბ-ბინაში გაიმართა ევროპის საკლუბო თასის გათამაშების პირველი რაუნდის წილისყრა. 2005 წლის გათამაშების მონაწილე 16 გუნდი დაყოფილია 4 ჯგუფად. მერვედფინალისა და მეოთხედფინალის მატჩები გაიმართება 4 ივნისს.**

ამ პრესტიჟულ გათამაშებაში საქართველოდან მონაწილეობს კლუბი **„საგარეჯო“,** რომელიც D ჯგუფში მოხვდა. ის პირველ შეხვედრას გერმანიაში „აბენსბერგთან“ გამართავს. ამავე ჯგუფში იასპარეზებენ „იზმირი“ (თურქეთი) და „რასინგი“ (პარიზი). ჯგუფებში გამარჯვებულები გადიან ფინალურ ნაწილში, რომელიც 15 ოქტომბრისთვის არის დანიშნული.

## ჯარიმა მსაჯის შეურაცხყოფისთვის

**ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია აპირებს უახლოეს ხანში ყველაზე მკაცრი ზომების გატარებას იმ კლუბების მიმართ, რომელთა მოთამაშეები მატჩის დროს შეურაცხყოფას მიაყენებენ მსაჯებს.**

მსგავსი საქციელისთვის, რაც ბოლო ხანებში სერიოზულ პრობლემად იქცა, ჯარიმამ, შეიძლება, 250 ათასი გირვანქა სტერლინგი (470,6 ათასი დოლარი) შეადგინოს. სწორედ ეს თანხა დაასახელა მსაჯთა კომიტეტის თავკაცმა კეიტ ჰაკეტმა პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში.

## საიდუმლოებით მოცული მკვლელობა

**როგორც ჩანს, სახელოვან სკოტლენდ-იარდსაც კი გაუჭირდება მისი ამოხსნა. მიმდინარეობდა ინგლისის სამოყვარულო, ეგრეთწოდებული საკვირაო, ლიგის მატჩი – „ბრიტანეთი“ – „მეილ სოშიელი“. ერთ-ერთი ფეხბურთელი მინდვრიდან გააძევეს (შემდგომი გამოძიების ინტერესებით მის გვარსა და გუნდს არ ასახელებენ). შეხვედრის შემდეგ, როდესაც ის მანქანაში ჯდებოდა, ვიღაც უკნიდან მიეპარა და რამდენჯერმე ესროლა კეფაში. თუმცა ორივე გუნდის მოთამაშეები მკვლელს გამოედევნენ, მაგრამ ის თვალსა და ხელს შუა გაუსხლტათ. მხოლოდ ის შეამჩნიეს, რომ ბოროტმოქმედს ეცვა შავი ბალახონი და ეკეთა „სიკვდილის“ ნიღაბი.**



არავინ იცის, თუ რა მოხდა ფეხბურთელის მიერ მინდვრის დატოვების შემდეგ. შეხვედრის ანგარიშს – 1:1 – ალბათ ასე არ უნდა აღეშფოთებინა სამოყვარულო გუნდების გულშემატკივარი.

CYAN BLACK



## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



მარცხნიდან მარჯვნივ: ესმა მენთეშაშვილი (სიღნაღი), ვალერიან რუსიშვილი (გურჯაანი), ციალა ციცქიშვილი (ჭიათურა), დავით ბაცაცაშვილი (წითელწყარო), ნუნუ ჭანკოტაძე (ზესტაფონი), ადა საგანელიძე (ამბროლაური), ნოდარ კაციტაძე (ამბროლაური).

10 ნოემბერი, 1965 წელი. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების სტუდენტები.

მოგვაწოდა დავით ბაცაცაშვილმა. დედოფლისწყარო.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა.
ტელ: 99-66-10.

*ფოტოების მომწოდებელთ ვთხოვთ, რომ დაბეჭდვიდან ერთი კვირის ვადაში მოაკითხონ რედაქციას გამოქვეყნებული სურათების წასაღებად.*

## ცოტაც გავიღიმოთ...



— მამიკო, იუმორის ბუნებრივი გრძნობა გაქვს?

— მქონდა, სანამ ბუნებაში უხეიროდ არ ვიხუმრე და შენ არ გაჩნდი...

* * *

— როგორ განვასხვავოთ ხარი ძროხისაგან?

— როდესაც ხარს წველით, მას ეღიმება.

* * *

— ოი, როგორი სიმპათიური ძაღლი გყავთ. ხომ არ იკბინება?

— ძაღლი არ იკბინება, მაგრამ პატრონია მოჩხუბარი.

* * *

ქმარი ცოლს დანით დასდევს, ის კი ყვირის: „ძვირფასო, მუდამ რად გგონია, რომ ჩვენს კარადაში შემთხვევით აღმოჩენილ ნებისმიერ მამაკაცს ჩემთან აქვს კავშირი?“

* * *

გამნაღმველის, მფრინავის, პარაშუტისტის, ავტომრბოლელის, ელექტრიკოსის, ლომთა მომთვინიერებლისა და ალპინისტის ბოლო სიტყვები: „ხელს ნუ მიშლი, ვიცი, რასაც ვაკეთებ!“

* * *

— ძვირფასო, ჩვენი ურთიერთობა შემთხვევით რაიმე რომანტიკულ ისტორიას არ გაგონებს?

— რომეოსა და ჯულიეტას?

— არა...

— ოტელოსა და დეზდემონას?

— არა-მეთქი!

— აჰა, მზეჭაბუკისა და ურჩხულისა?!

* * *

— აბრამ, — წიოკობს სარა, — როგორ გატეხე ჩვენი ახალი სკამი, როგორ გაიმეტე ჩვენი საუცხოო ჭაღი? ამას ჩემი გული ვერ გადაიტანს! შენ რა, სხვა ადგილას არ შეგეძლო თავის ჩამოხრჩობა?

## გიხაროდენ!

# ნინო ღვინიაშვილი ნინოობას დაიბადა



უსაზღვრო იყო მუსიკოს ნათია მაჩიტაძისა და იურისტ დავით ღვინიაშვილის სიხარული. მათ ნინოობას — 27 იანვარს თბილისის დავით ქორიძის სახელობის მე-4 სამშობიარო სახლში, პირველი შვილი — გოგო შეეძინათ, რომელსაც ნინო დაარქვეს. პირველი შვილიშვილის შეძენით ხარობენ ბებიები და ბაბუები — მზია და დავით მაჩიტაძეები, ნანა და გიორგი ღვინიაშვილები. ახალშობილის დედა მადლი პროფესიონალიზმისთვის ემადლიერება სამშობიარო სახლის მეან-გინეკოლოგს ნინო ჭოხონელიძეს, ნეონატოლოგებს — ნინო მარშანიას და ქეთევან ქინქლაძეს, მთელ სამედიცინო პერსონალს.

შვილთა სიმრავლე ვუსურვოთ ღვინიაშვილების ოჯახს, ნინო კი ღირსეულ ქართველ მანდილოსნად გაზრდილიყოს.

ნინო ღიბრაძე.
თბილისი.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

## ლარის კურსი

### 8 თებერვლიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 3.4080 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1.8230 ლარი |
| ევრო | 1 | 2.3405 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0648 ლარი. |

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.**

**ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.**

## ქორწილია, ქორწილი!

# შეყვარებულები

**ბავშვობის მეგობრებმა სტელა გალოიანმა და მიხეილ სეხნიაშვილმა ნამდვილად არ იცოდნენ, რომ ერთმანეთის ბედს სამუდამოდ დაუკავშირებდნენ.**

**ერთ უბანში გაზრდილ თანატოლებს ვერ წარმოედგინათ — ოცი წლის შემდეგ დაოჯახდებოდნენ და ამით კიდევ ერთ ახალ ოჯახს შემატებდნენ თბილისს.**

მაგრამ სიყვარულმა მაშინ „იფეთქა“, როცა სტელამ მიშიკოს პიროვნული ხიბლი შეიცნო. 25 წლის ქალიშვილი, ინჟინერ-პროგრამისტი, ტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, სიამაყით იმასაც აცხადებს, რომ სატრფოს კაცურკაცობაში ეჭვი არასოდეს შეპარვია.

მიშამ კი ჩემთან საუბარში რამდენჯერმე გაიმეორა, — სტელას თვალები და ხასიათი მხიბლავსო.

უკვე ოჯახის პატრონს, ბატონ მიხეილ სეხნიაშვილს, პროფესიით სტომატოლოგს (ამჟამად იგი უშიშროების სისტემაში მუშაობს), პატარძლის არა მარტო უზომო სიყვარული ეტყობა, არამედ ერთი თვალის შევლებითაც ჩანს, რომ კეთილი და საქმიანი ადამიანია.

მათი სიყვარულის შემსწრე და გამზიარებელი მეგობრები წყვილის ბედნიერებით განსაკუთრებით ხარობენ.

— ინტერნაციონალური ოჯახი შეიქმნა, ქართულ-სომხური. ძალა ერთობაშია, სიყვარულს რა მოერევა. სიხარულს და ბევრ, ძალიან ბევრ შვილს ვუსურვებთ ნეფე-პატარძალს, — ბრძანეს მეჯვარეებმა, ანა გევორქიანმა და ირაკლი ბენენაშვილმა.



ჩვენს ტრადიციულ კითხვაზე, თუ რას ისურვებდნენ ამ ბედნიერ წუთებში, ახალდაქორწინებულებმა ასე გვიპასუხეს.

სტელა: — სიყვარულსა და მშვიდობას.

მიხეილი: — მშვიდობასა და სიყვარულს.

ვინაიდან შეყვარებულებს ერთი და იგივე სურვილი ამოძრავებთ, მოდით, ჩვენც ასეთივე სურვილით შევუერთდეთ მათ და კიდევ ერთხელ ვინატროთ უღრუბლო ცა, მშვიდობა ქვეყანასა და ჩვენს ოჯახებში.

ია კალანდარიშვილი.
სერგო კურეგიანის ფოტო.

**გამოგვეხმაურეთ 899-18-51-54, მთელ ქვეყანას ვამცნობთ თქვენს გაბედნიერებას.**

## წინაპართა აჩრდილები

# «...სწრაფია ვით ტალღა, ცხოვრება ჩვენი...»

**ეს სტრიქონია ცნობილი მელოდიისა, რომლის წაღიღინებასაც კი ერიდებოდნენ ჩემს ახალგაზრდობაში — მენშევიკებს უყვარდათ და, ემანდ, არავინ გაიგონოსო.**

არადა, რა იყო მასში პოლიტიკური: „ვინ იცის, რა გველის ან დღეს, ან ხვალე? მაშ ხუხე, ძმობილო, მთლად გამოსცალე!“

პირველად ეს ჰანგი მამაჩემის დედული ბიძისგან, ილიკო წერეთლისგან მოვისმინე. ილიკო რომ ბოლშევიკი არ იყო, ეს ნაღდია, მენშევიკობისაც არაფერი ეცხო. ზედგამოჭრილი თავადიშვილი ბრძანდებოდა — გარეგნობით, ცხოვრების წესით. მაღალი, წარმოსადეგი, ლამაზი, პატარა თავი ედგა ახოვან ტანზე, წელგამართული და ფართე ნაბიჯებით დაიარებოდა, ფეხებს განდაგან ადგამდა.

მე რომ მახსოვს, უკვე ხანში იყო შესული. მოზრდილი ულვაშები, საჩვენებელი და შუა თითი ნიკოტინით ჰქონდა შეყვითლებული. ყოველთვის ხალისიანი და, რაც მთავარია, დიდი იუმორის პატრონი. ომის დროს მთლად გაღატაკდა, ერთი ქცევა მიწის ნაკვეთიც არ გააჩნდა, რომც ჰქონოდა, მისი დამმუშავებელი არ იყო. ერთსართულიანი, პატარა აივნიანი ოდა ედგა დამრეცი ეზოს თავში, ეზოში კი მხოლოდ ერთი მსხლის ხე გაშლილიყო.

ამ მსხლის ძირას უყვარდა ხოლმე ჩამოჯდომა.

მეორე მსოფლიო ომის წლებში, რამდენიმეჯერ ჩამიყვანა მასთან დედამ ზაფხულში. ტოლ-სწორივით მექცეოდა — მომისვამდა გვერდით და ათას თავსგადახდილ ამბებს მიყვებოდა. უთუთუნოდ ვერ ძლებდა, ეზოს ბოლოში თამბაქო ჰქონდა დათესილი, ვინ აცლიდა... მოჭრიდა მწვანე ფოთლებს, დააწყობდა კეცზე ბუხართან და აშრობდა... მერე დაჭრიდა წვრილად, გაახვევდა გაზეთის ქაღალდში, რომელიც ასეთივე ძნელი საშოვნელი იყო, უხერხულად გაუსვამდა ენას გარდიგარდმო, არაზომიერად ახვევდა: ნაკვერჩხლებს დაადებდა და აბოლებდა ნება-ნება. თან ისე ღრმად ახველებდა და ისე ჩაბჟირებით, რომ ცოდვისგან ვიცრემლებოდი.

მამაჩემის ნაბოძებ მწვანე გალიფესა და ჯიბეებიან ხალათში იყო გამოწყობილი. ჩექმებიც ჰქონდა, მაგრამ განსაკუთრებულ დღეებში იცვამდა. ეცვა ჭრელი წინდები და „კალოშებში“ დააბოტებდა, როცა ჩამოჯდებოდა, რეზინის ფეხსაცმელს იხდიდა და სასაცილოდ ათამაშებდა ფეხის თითებს.

მასთან საუბარი, მისი მოსმენა, დიდი სიამოვნება იყო. მაინც საიდან იგონებდა ამდენ სათავგადასავლო ამბებს, თანაც მხიარულსა და უცნაურს.

თავში რომ ვთქვი, ხშირად ღიღინებდა ამ სიმღერას, მერე გამომხედავდა და თემას ცვლიდა — „შენც დამკვრელი, მეც დამკვრელი, თითო კვარტის გადამკვრელი“.

რაც მახსოვს, სულ მჭადის ფქვილისა და კვერცხის სესხებაში იყო.

— გრანო! — გასძახებდა მეუღლეს, — გადადი ერთი გოგუცასთან, ერთი ბათმანი ფქვილი გვასესხოს, მხოლოდ თავდებული და ათი კვერცხი.

ჭიტაძე მისი მეორე მეუღლე იყო. ისიც ქმარმკვდარი და უბირი, გაღატაკებული გლეხის ქალი! ყოველთვის ფეხშიშველი და დამსკდარ-დააბედებული ტერფებით. არასოდეს უბრუნებდა სიტყვას მეუღლეს, პირიქით, პირღიმილიანი ესაუბრებოდა — ბედს შერიგებული.

— ჯერ ადრე ნასესხები არ გაგვისტუმრებია და... — შებედავდა.

— გადადი, გადადი, რასაც გეუბნები, ის გააკეთე! აბა, მოვკლათ ბოვში შიმშილით?

არა, ღმერთი რჯული, შიმშილი არ მაწუხებდა, ოღონდ აქ ვყოფილიყავი. მეორე მსოფლიო ომი ახლადდამთავრებული იყო, როდესაც ილიკოს მეგობარსა და მოგვარეს ვასიკო აბაშიძეს, ოთხი წლის უგზოუკვლოდ დაკარგული შვილი, კიტა ჩამოუვიდა.

სამი დღე სუფრა არ აშლილა იმათ ოჯახში. ნათესავ-ახლობლების სტუმრიანობა არ თავდებოდა. ვისაც რა შეეძლო, ის მოჰქონდა და იყო ლხინი, დარბაისლური, გულწრფელი, სიხარულით სავსე. ერთ-ერთ სადილობაზე ილიკო ბაბუამ მეც წამიყვანა. ეზოში იყო გაშლილი სუფრა. ბონდის ხიდს რომ გადაივლიდი, იქვე იყო მათი სახლი.



მე შორიდან ვაკვირდებოდი უფროსების მადლიან პურის ჭამას, ყურადღების ცენტრში, რა თქმა უნდა, კიტა იყო — მაღალი, ულვაშებდამშვენებული, მარილიან, ლამაზი პირისახით. ილიკო ბაბუა რომ შექეიფიანდა, თვალით მანიშნა, წავიდეთო. მე მორჩილად გავყევი უკან. ბონდის ხიდზე რომ შევდექით, გაღმა მხრიდან რამდენიმე ქალი გამოყვა ხიდს... რკინის მოაჯირს ხელჩაკიდებულები ფრთხილად მოაბიჯებდნენ. ილიკომ შენიშნა ქალები და ისედაც მოქანავე, მოტორტმანე ხიდი ეშმაკურად კიდევ უფრო გააყანყალა. ქალები აფუსფუსდნენ, ფეხი აერიათ, შეშინდნენ, ხმამაღლა ატეხეს კივილი. ილიკო სერიოზული სახით, თვითონაც ბარბაცით მოაბოტებდა.

— ეს ილიკოს ოინებია, ილიკოსი! — გასძახოდნენ ერთმანეთს ქალები.

ილიკო მხრებს იჩეჩავდა, ვითომ, მე რა შუაში ვარო.

ეზოში რომ შევედით, ილიკო მსხლის ძირში ჩამოჯდა.

— გრანო! — გასძახა, — ჩექმები გამხადე!

გრანო არეული ნაბიჯებით ჩამოვიდა აივნიდან. ილიკო მსხლის ძირას იჯდა. ჯერ ერთი ფეხი გაუწოდა, შეგნებულად ფეხის ტერფს მაღლა წევდა, მეუღლეს რომ გახდა გაჭირვებოდა.

— რას შვრები, კაცო, გაასწორე ფეხი!

— უი, უკაცრავად, ა, ბატონო!

მეორე ფეხზედაც ასევე აწვალებდა, თან ხითხითებდა...

მერე ხეს ახედა.

— ვინ არის ბოშო, მსხალზე?! — იკითხა მკაცრად.

— კრაველიძეა ბონდო, ჩვენი მასწავლებელი.

— რა უნდა იქანა!

— მსხალს გვიკრიფავს! სიკეთეს გვიკეთებს.

— ბონდო! — ასძახა, — ჩამოდი აქანა!

მერე მე მომიბრუნდა — დიმიტრიმ რომ ღვინო გამომიგზავნა, ის დოქი გამომიტანე, ჭიქებიც მოაყოლე!

გავვარდი, კვარტიან დოქს დავავლე ხელი და გამოვიტანე მსხლის ძირას.

— გესმის, კაცო?! ჩამოდი ერთი, შეეშვი მაგ მსხალს, მე მაგის დედაც...

— დავკრეფ ბატონო ილიკო და ჩამოვალ!

— რას დაკრეფ, ბიჭო, ვის რა ოხრად უნდა ეგ უსახური ხილი! ჩამოდი თითო ჭიქა დავლიოთ!

— ილიკო ბატონო, ხომ იცით, ღვინოს რომ არ ვსვამ!

— კაცო, ჩამოდი-მეთქი, გეუბნები, ხო ხარ ჩემ მსხალზე ასული, ჩამოდი.

მე გაყუჩებული ვუსმენდი საუბარს.

— წადი, „ქუხნიდან“ ნაჯახი მომიტანე! — მითხრა ილიკო ბაბუამ.

მე დავყოვნდი.

— მომიტანე-მეთქი, გეუბნები!

წავედი, რა მექნა, მოვიტანე.

— ახლა მოვჭრი ამ მსხალს და მაშინაც არ ჩამოხვალ? — აყვირდა და ხეს მიადგა.

— ილიკო ბაბუა მე დამარტყი ეს ნაჯახი! — გადაველობე.

— გაჩერდი, ჩემო სიყვარულო, — ხმამაღლა მითხრა.

მერე დავინახე, როგორ ჩამოდიოდა, ნელ-ნელა, ფრთხილად ბონდო, ხელში გრძელტარიანი ორშიმო ეჭირა მსხლის საკრეფად.

— ბატონო ილიკო, ხომ იცით, რომ მე ღვინოს არ ვსვამ! — მორიდებით უთხრა და იქვე ჩამოჯდა.

— რატომ არ სვამ?

— მწყენს, ბატონო, ნამეტანი!

— სულ არ დაგილევია ღვინო?

— რამდენჯერ დავლიე და ნამეტანი ცუდად გამხადა!

— რამდენიმეჯერ დავლიე და ნამეტანი ცუდად გამხადა!

— მაინც რა გიქნა?

— დამშალა, ბატონო, ლოგინად ჩამაგდო!

— უყურე შენ?

— დამისხი ერთი! — ღვინის ჭიქა მომაწოდა, — შევავსე.

— უყურე ახლა შენ, ა! — გადაკრა. — რა უნდა ამას, ძნელია ამის დალევა?

— კი ბატონო, მარა, მე მიჭირს!

ილიკო დუმდა, მერე აიღო დოქი ხელში.

— ახლა, ასე ქენი! წეიღე სახლში ეს ღვინო! ღმერთმა მოგახმაროს.

— კი, მაგრამ, მე არ ვსვამ და...

— კაცო, შენ რომ არ სვამ, სტუმარი მოგივა და გაუმასპინძლდები. გეკუთვნის ეს ჩემგან.

...უარი ვეღარ შებედა.

— წადი, წადი, კაი კაცო, იცოდე ეს ნამდვილი, სუფთა ყურძნის წვენია!

— დიდი მადლობა!

ჭალაში, ილიკოს სოფელში, ორი სასაფლაო იყო, ერთი უწყინარმა მდინარე დუმალამ, რომელმაც საშინელი ადიდება იცოდა, სასაფლაო წაიღო, მეორე მაღლა იყო მთაზე.

...მამაჩემის უბის წიგნაკში ამოვიკითხე ამას წინათ: „ილიკო სასაფლაომდე შეუცვლელად აიტანეს მთაზე ჭიტაძეებმა კოზმანმა და პარმენმა, კაკო და შოთა აბაშიძეებმა“.

გურამ გომართელი.

## თითქმის ნატურიდან

# ჩამორჩენილი

— თამუნა! — გასძახა ზურიკომ ცოლს, — დღევანდელ ჩვენს სადილს რა ჰქვია?

— იიკუიეტ ბრიჯიტ ფამფი, ზურიკო, გენაცვალე, ახლავე დავიწყებ და ორ საათში მზად იქნება.

— რაო, ბრინჯის ფაფაო?! — შეიცხადა მეუღლემ.

— ფაფა კი არა, კიდევ ბორშჩი არ გინდა?

— მაგას ბორშჩი თუ არ სჯობდეს, თავს მოვიკლავ.

— ამბობ რა, ბორშჩს დღეს რუსებიც აღარ კადრულობენ.

— სამაგიეროდ, ჩერჩილი სიამოვნებით მიირთმევდა...



— ღმერთო ჩემო, რა მეშველება, — აწუწუნდა თამუნა, — ეს კაცი ისევ მეოცე საუკუნეში დარჩა. რით ვერ გაიგე, ახლა მთელი ცივილიზებული სამყარო სალათებზეა გადასული.

— ეგ რაღაც, ფამფია თუ ჩემი ფეხები, სალათას ჰქვია?

— რაღაცა კი არა, ჩინურ-ჰოლანდიურ-ეთიოპიური სურნელოვანი სალათაა. ისეთი გემრიელია, ისეთი, სულ თითებს ჩაიკვნეტ.

— საიდან იცი?

— ტელესამზარეულოდან, რეცეპტიც სწორედ იმათ მომცეს.

— ამ შუა ზამთარში რა დროს სალათაა, ქალო, ეგენი ხომ არ გაგიჟდნენ?

— არავინაც არ გაგიჟებულა, უბრალოდ, შენ ხარ ჩამორჩენილი.

— ჩამორჩენილი? — წამოენთო ზურიკო.

— ჰო, ჩამორჩენილი და გაუნათლებელი, — ტუჩები აათამაშა თამუნამ.

— პლურწკვას თავი გაანებე და სადილი გაამზადე, თორემ...

— თორემ რა, ამდენი სანოვაგე ვათრიე და კიდევაც მემუქრები?

— აკი, მარტო სალათა უნდა გავაკეთოო.

— სწორედ სალათას სჭირდება ამდენი რამ.

— მაინც რამდენი? — დაინტერესდა ზურიკო, — აბა, ამოალაგე!

— აი, ნახე, — დაფაცურდა თამუნა, — როგორი თუნთულა დედალი მოვიტანე, ესეც ღორის სუკები, ასეტრინა...

— ასეტრინა კი არა, თართი, ქალო, თართი... რამდენჯერ უნდა გაგისწორო.

ეს ის თართია, რომელიც ცხონებულ ლუარსაბ თათქარიძესაც კი ნერწყვსა ჰგვრიდა.

— ჰოდა, რაღას მემდურები? — წელში გასწორდა თამუნა.

— გემდურები კი არა, მოსაკლავი ხარ!

— რატომ, კაცო, რა დავაშავე?

— შე დალოცვილო, ღორის სუკები, თართი, დედალი მაგიდაზე გვიწყვია, შენ კი სალათაზე გინდა გადამატარო?

— მერე ეგ ყველაფერი ხომ სალათაში იქნება არეული?

— არეული?

— ჰო, მაგას ყველაფერს მოვხარშავ, დავჭრი, მერე ერთმანეთში ავურევ, ზედ მაიონეზს, ზეითუნის ზეთს, ბარდას, კვრინჩხის წვენს, კიდევ რაღაცეებს დავამატებ და გადასარევი სალათა გამოვა.

— გაგიჟდი, ქალო, თართის ბარდაში არევა ან სუკის მოხარშვა ვის გაუგია? სუკი შევწვათ, ქათამი მრგვლად მოვხარშოთ, თართი — გრძლად და ერთი მადიანად შევექცეთ.

— მერე, სალათა?

— სალათა ჩინელებმა, ჰოლანდიელებმა და ეთიოპელებმა მიირთვან, მე კი, როგორც ჩამორჩენილი, ქართულ კერძებს დავჯერდები.

— რა ვიცი, სულ გავიძახით — ევროპასთან ვართ ინტეგრირებულიო და ეს სალათას აღარ ეხება?

— არა, — გაჯიუტდა ზურიკო, — ეკონომიკაში კი, მაგრამ ჭამაში ინტეგრირება სად გაგონილა?

— აბა, მთელი ჩვენი დიდკაცობა და დეპუტატობა რომ ნაირ-ნაირ სალათებზე არის გადასული?

— მაგათ ბევრი ფული აქვთ და წონაში რომ დაიკლონ, მადას სალათით იზღუდავენ. მე არც ფული მაქვს, არც თანამდებობა და მადა რატომღა გავიფუჭო?

— ჰო, მართლა, — გაიხსენა თამუნამ, — კიტრი და პამიდორიც ხომ მაქვს ნაყიდი?

— აი, სალათა რით უნდა გაგვეკეთებინა, — გაიბადრა ზურიკო, — ეგ თუ გქონდა, ქალო, ამდენი რატომ მაყბედე!

ოთარ ხუციშვილი.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შეწყალების საკითხთა განყოფილება ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ამავე განყოფილების თანამშრომლის

გიორგი ხელაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



თბილისის დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დამსახურებული მუშაკი, მრავალი მედლის კავალერი ქალბატონი

ნორა გიორგის ასული
კორინთელი-შულცი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის კოლექტივი სამძიმარს უცხადებს კოლეგასა და მეგობარს, გაზეთ „შანსის“ მთავარ რედაქტორს ბონდო ქურდაძეს მამის

კარლო ქურდაძის

გარდაცვალების გამო.

აფხაზეთის ფინანსთა სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება ამავე სამინისტროს თანამშრომლის ლელა ჩემინავას მამის

ზაურ ჩემინავას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შპს „თბილმეტრომშენის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს №2 საგვირაბო რაზმის უბნის უფროსის

რაულ სირაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს უზენაესი სასამართლო თანაუგრძნობს უზენაესი სასამართლოს ყოფილ მოსამართლეს ლამარა ისაკაძეს მეუღლის

მერაბ ყალიჩავას

გარდაცვალების გამო.

შვილები ირაკლი, ნანული, შვილიშვილები გიორგი, არჩილი, ანა, რძალი ანი ანდრონიკაშვილი, სიძე მინდია სურგულაძე, ძმისწულები ხათუნა, კაკო, მძახალი ლამარა ანდრონიკაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლელი აკაკის ასული თოხაძე

პანაშვიდი 8, 9, II, 16 სთ. დაკრძალვა 10, II, 14 სთ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. №35, II სად. IV სართ.

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი სპარტაკ ძოგულია.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

CYAN BLACK